

საერთო გაზეთი



მინისტროტყენა

კინეარევილის საქმე თუ არ გაიხსნა, ეს იქნება ისეთი კოზირი, რომელსაც „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენებენ...



ბოლოს და ბოლოს დამასვენეთ და **მითხარით:** ვე თვითონ მოვკვდი თუ მომკლას?



ბოჩის ფარულაჟა: მცემდნენ, მანამებდნენ, ფრჩხილებს მაძრობდნენ — უნდოდათ, ხელი დამედო **ღარიბაშვილისთვის, თაყაიშვილისთვის და ელიზბარაშვილისთვის,** რომ ისინი მიკვეთავდნენ პატიმართა წამების კადრების გადაღებას...

ჯოჯოხეთის ფილიალი დადამინაზა, ანუ ქართული აბუ-ბრეიბის კომპარაბი

დასაწყისი №25-26

ფრაგმენტები ლადო ბედუკაძის წიგნიდან



საჩივი საჯანია: „პოეზიის დედოფლისა“ და „პროზის რაინდის“ ვიერ ოკუპირებული მხარალთა კავშირი — მხარალების სასაქლაო



დამუხ ბიორხელია: რას უქადის საქართველოს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ქალთა ბალანსის შესვლა?

ქვეყანაში შექმნილ ზოგიერთ პრობლემასთან დაკავშირებით, რედაქციაში კვლავ მოვიწვიეთ ჩვენი აქტიური რესპონდენტი, „მართალი სიტყვის რაინდი“, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ანზორ ბაბუსაძია. მასთან გასაუბრებამდე წინასწარ, კიდევ ერთხელ გადავხედეთ მის მიერ ახლახან გამოცემულ წიგნს „მასალური საბრალდებო დასკვნისათვის“ ერთ-ერთ დანართს, რომელშიც გამოქვეყნებული სტატიები, რომელთა აქტუალობა, მათი „ასაკის“ მიუხედავად, ვფიქრობ, დღითიდღე იზრდება.

— ბატონო ანზორ, ვიდრე მთავარ თემაზე შეუდგებით საუბარს, ყოველგვარი მიკბ-მიკბ-ვის გარეშე გკითხავთ: რა ბედი ეწია ამ უმწვავეს პუბლიკაციებში დასმულ პრობლემებს? ვინმე ფორმალურად მაინც თუ გამოგვხმაურათ და საერთოდ, ხელისუფლებას აინტერესებს კი, პროფესიონალების ან, თუნდაც, ცალკეული მოქალაქეების აზრი ქვეყნის მტკივნეულ საკითხებზე?

— პირდაპირ გეტყვი, რომ არა! უფრო მეტიც, იმისათვის, რომ გამეგო, რა რეაგირება მოახდინა ერთ-ერთმა სამინისტრომ ჩვენს მიერ მათი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებზე, „ვინდ დაიჯერე, ვინდ — არა“, რა მითხრეს, იცით? ჩვენ გახეთქვებში გამოქვეყნებულ პრეტენზიებს და წინადადებებს საერთოდ არ ვინილაუთო. სამწუხაროდ, „ასეა ეს!“

— წლებადელი წელიწადი, საქართველოს ისტორიაში შეგა, როგორც ვერთაპასიან ინტეგრირების დასაწყისი. მაინტერესებს თქვენი აზრი, ძალიან მოკლედ, ერთ კონკრეტულ კითხვაზე — რას მოგვიტანს ამ მიზნით ასოცირების წევრობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა?

— გამახსენდა ერთი ანეკდოტი. გასხოვთ ალბათ, ჩვენთან, ლოზუნგების ქვეყანაში ასეთი დევნი რომ არსებობდა: „დავეწით და გავუწოთ აშშ-ს“. ერთმა ენამოსწრებულმა გურულმა თქვა: კი, ბატონო, დევნივით, მაგრამ ნუ გოუსწრებთ, გახეული შარველები გამოგვიჩინდება და შევრცხვებით. ასეა ჩვენი საქმეც. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი პრობლემა უნდა მოგვგვაროთ, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე თავი არ მოვიჭრათ. ისე, მე თუ მკითხავთ, პირადად ქართველობა უფრო მეამაყება, ვიდრე ვინმეს დაყვედრებული ევროპელობა.

— ბატონო ანზორ, თემამ მოიტანა და უნებურად გამახსენდა ჩვენ გაზეთში არც ისე დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებული ერთი ძალზე გახმაურებული სტატია „ქაჯები მოდიან და მრავლდებიან“ იქ ძალზე მკაცრად, თუმცა ობიექტურად, თქვენ საუბრობდით მრავალ საჭირობოროტო პრობლემაზე. ახლაც იგივე აზრის ბრძანდებით თუ იგრძენით რაიმე სასიკეთო ძვრები ამ მიმართებით?

— სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან შორს ვართ, თუნდაც ევროპული ქვეყნის წესებიდან. მართლაც შევრცხვებით, თუ ქვეყანამ და თი-



ყენება ოჯახის წევრების მიერ საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად). ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ პენსიონერს 15-ჯერ ნაკლები პენსია არ ექნებოდა სახელმწიფო მოხელის საშუალო ხელფასთან შედარებით. ევროპის ქვეყნებში კი, პენსიის ოდენობა მხოლოდ 30-40%-ით ნაკლებია სახელმწიფო მოხელის საშუალო ხელფასთან შედარებით.

ანზორ ბაბუსაძია:

არ შეიძლება ხალხის მიერ დაქირავებული ჩინოვნიკი „კარგი მუშაობისთვის“ თვითონ იჯილდოვდეს თავს

თიუელმა ჩვენგანმა რადიკალურად არ შეეცვალა დამოკიდებულება მშობლიური ქართული ენისადმი; ქვეყნის სიყვარულისა და სახელმწიფოებრივად აზროვნებისადმი; საზოგადოებაში ქვეყნის ელემენტარული ნორმების მოთხოვნებისადმი; ყველა დონის არჩევნებისადმი და კიდევ ბევრი სხვა რამის მიმართ. მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენი მომავალი თაობა სიამაყით იტყვის, რომ, ის არის ქართველი.

— ახლახან არჩულმა თბილისის საკრებულოს ერთადერთმა დამოუკიდებელმა (უპარტიო) დეპუტატმა, ალექო ელისაშვილმა, საკრებულოს პირველივე სხდომაზე მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია სამსახურებრივი ავტომანქანების ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსების შეზღუდვის თაობაზე. თქვენ, როგორც დედაქალაქის მერიისა და საქართველოს მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსანი, რას გვეტყვით ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით?

— პრობლემას სერიოზული დარეგულირება რომ სჭირდება, ამაზე სხვა აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელია არა მარტო თბილისის საკრებულოსა და მერიაში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. განსაკუთრებული სიმკაცრით და სერიოზულობით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს მაშინ, როცა ასეთ ხელგამოწმებულ ცხოვრებას ვეწვეით ჩვენი ქვეყნის გასაცოდავებელი ბიუჯეტის ხარჯზე. (ხელგამოწმებული რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს სამსახურებრივი მანქანების გამო-

ახლა კი დაუბრუნდეთ ე.წ. სამსახურებრივ ავტომანქანებთან დაკავშირებულ საკითხს. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, როგორც სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, მივლინებული ვახლდით ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროცესების მიმდინარეობისა და საბიუჯეტო თანხების გამოყენების გამოცდილების შესასწავლად. სხვა საკითხებთან ერთად ჩვენი ყურადღება მიექცია სწორედ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამსახურებრივი მანქანების გამოყენების მექანიზმს. მაგალითად, იქაურ ერთ-ერთ სამინისტროში იყო ერთადერთი პერსონალური სამსახურებრივი მანქანა, რომელიც დიდი ხნის წინსა და სახლიდან სამსახურში მოიყვანდა და სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ სახლში მიაცილებდა. ამასთან, სამუშაო საათებში ამ მანქანის გამოყენება მინისტრს შეეძლო მხოლოდ სამსახურებრივი საქმეების მოსაგვარებლად. სამინისტროს დანარჩენ ნებისმიერ მაღალჩინოსანს უფლება ჰქონდა სამსახურებრივი მანქანით ესარგებლა მხოლოდ სამუშაო საათებში, რასაც სამინისტროს აპარატის ე.წ. დისპეტჩერი არეგულირებდა.

ამ თვალსაზრისით ანალოგიური თანხებისადმი არაადეკვატური დამოკიდებულება. — ამ შემთხვევაშიც სრულად გეთანხმებით. ამა თუ იმ მინისტრმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, დეპარტამენტის უფროსმა თავად

რი მდგომარეობა დააფიქსირეთ სამივე რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა ორგანიზაციაში. ეს იყო, დაახლოებით 20 წელზე მეტი ხნის წინათ. დარწმუნებული ვარ, ამჟამად აღნიშნული მექანიზმი კიდევ უფრო დაიხვეწებოდა. ასე რომ, თუ გვინდა ზემოაღნიშნული პრობლემის დარეგულირება, აშკარაა უკვე აღმოჩენილია. მოვალე ვიქნებით, ჩემი ბატონო, საბიუჯეტო ორგანიზაციების ე.წ. პერსონალური მანქანების საკითხი და წარმოიდგინეთ, რომ დედაქალაქში მანქანებით მგზავრობის გაუსაძლისი მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც დარეგულირდება, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, ცოტა-

თი მაინც მიუვახლოვდებით ევროპული ცხოვრების წესს. — ერთი აქტუალური საკითხიც. ახალი ხელისუფლების პერიოდში სკანდალური ფაქტები განმარტდა პრემიებისა და სახელფასო დანამატების თაობაზე, რომელმაც კარგად წარმოაჩინა ჩვენი მაღალჩინოსნების სახელმწი-

ფო თანხებისადმი არაადეკვატური დამოკიდებულება.

— ამ შემთხვევაშიც სრულად გეთანხმებით. ამა თუ იმ მინისტრმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, დეპარტამენტის უფროსმა თავად

არ უნდა გადაწყვიტოს თავისი დაჯილდოების ფორმა, საჩუქრის სახეობა ან მისაღები პრემიის ოდენობა. ეს აუცილებლად უნდა დარჩეს მისი ზემოდადგომი ორგანოს პრეროგატივად. არ მინდა ვთქვა, რომ მათ „შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი“, მაგრამ სხვაგვარი შეფასება, ალბათ, ამ ფაქტს ძნელად თუ მიესადაგება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნებისმიერ უნებლიედ, გამახსენდა ჩემი ორი სტატიის სათაური: „ესენი თავისი ჯიბის მაყურებელი ხალხია“ და „ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ხომ არ აკეთებენ“. მართალია, ეს წინა ხელისუფლების პერიოდს ეხება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი თავისი პათოსით დღევანდელ პროცესებსაც მიესადაგებიან. რას ნიშნავს ეს, თავად მკითხველმა



„საერთო გაზეთი“
 მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილიაძე
 გამომცემელი: შპს „საგამომცემლო სენტრი „საერთო სიტყვა“
 მის: თბილისი, ალბათინის ქ. 164;
 ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
 რეგისტრ. №202375349; შპს (შპს) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თანამედროვე აზრის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრი. ინფორმაციის სიზუსტეზე ვასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი ჰვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
 ინფორმაცია შპს „საგამომცემლო სენტრი“ ტელ.: 599 95 31 90
 ან ნიშნით ადრინდელი სარედაქციო მასალა.

შავი ორშაბათი გაუთენდათ ჩვენს მინისტრებს. ორიოდე დღის წინ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 7 მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ნაციონალები ქირქილებენ, ერთმა თქვა, ის მინისტრები მოხსნა, ვისაც არავითარი პრობლემა არ ჰქონდა, მეორემ თქვა, ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგოდ მოხდა ამ მინისტრების მოხსნა, თანაც პირადად ივანიშვილის დავალებით (რამდენიმე საათი ვიფიქრე და ვის არ ვკითხე, მაგრამ ვერ გავიგე ამ მინისტრების დატოვება რით გააძლიერებდა ნაციონალურ მოძრაობას) მოკლედ, დიდი აურზაური და აუიოტაჟი მოჰყვა ამ მოხსნებს, თუმცა ჩვენში დარჩენილი და მთავრობა მართლა გამოსაცვლელი იყო. მინიმუმ შესამდობით, მაქსიმუმ – აქ თავი შევიკავოთ. ყოველ შემთხვევაში, რაც ეს მთავრობა დამტკიცდა მას შემდეგ ნაირნაირი შეთქმულებების შესახებ მიდის საუბარი. ხან ალასანია აწყობს შეთქმულებას ღარიბაშვილის წინააღმდეგ, ხან მარგველაშვილი გადადის ნაციონალებთან და უწყობს შეთქმულებას ღარიბაშვილს, ხან რესპუბლიკელები უწყობენ შეთქმულებას მარგველაშვილს, ხან მარგველაშვილი და რესპუბლიკელები უწყობენ შეთქმულებას ღარიბაშვილს. საბოლოოდ, როგორც გარკვეულ ღარიბაშვილი უწყობს „შეთქმულებას“ საკუთარ თავს და მთავრობიდან ზუსტად იმდენი მინისტრი გადააყენა, რამდენიც საჭირო იყო მთავრობის ნდობის საკითხის დასმისა და მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებისთვის.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ რა ნიშნით მიმდინარეობს ეს საკადრო ცვლილებები საჭიროა პრემიერ-მინისტრის განცხადებასაც გავეცნოთ.

„კიდევ ერთხელ მოხდა დადასტურება, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ აქვს საქართველოს მოსახლეობის სრული ნდობა. ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება მთელს საქართველოში. ჩვენი ვალდებულებაა, რომ გავამართლოთ ეს უდიდესი ნდობა და იმისათვის, რომ შევასრულოთ ყველა დანაპირები და დასახული ამოცანები, ამას სჭირდება გარომავებული ენერჯია. ამიტომ მიმანია, რომ სხვა რეჟიმში უნდა გადავიდეთ. აქედან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, რომ მთავრობის შემადგენლობაში შევიტანო ცვლილებები“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ამა თუ იმ სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ხარვეზები, თუმცა მთავარია მათი დროული გამოვლენა და დროული ცვლილება. ამასთან, პრემიერის თქმით, საჭირო იყო განახლება და შეიძლება ეს მომავალშიც მოხდეს.

შეუძლებელია არ დაეთანხმო პრემიერის იმ მოსაზრებას, რომ სანამ ასოცირების ხელშეკრულება არ იქნებოდა ხელმოწერილი, მანამდე დიდი სიბრძნე იყო ისეთი მინისტრების არსებობა, რომლებზედაც ნაციონალებს შეეძლოთ თავიანთი ჩვეული დაბეზვების მეოთხე გამოყენებით და დასავლეთში გაქცეულიყვნენ ფულით სავსე ჩემოდნებით. ამ ფონზე საქმის გამკეთებელ მი-

ნისტრსა და უფერულსა და უდიდესი მინისტრის შორის ირჩევენ უდიდესს, ისეთს, რომელზეც, არც კომპრომატები არსებობს, არც არაფერს აკეთებს და არც არაფერს აფუჭებს, ანუ ნაციონალებისთვის ეს მინისტრები თითქმის არასდროს ყოფილან სერიოზული კრიტიკის ობიექტნი. ჩვენ, რა თქმა უნდა, მაღლობა უნდა ვუთხროთ თითოეულ მათგანს (წასულ კაცზე ძნელია ლაპარაკი და ამიტომ სხვას არაფერს ვიტყვით). ამასთან გადავხედოთ ძალთა თანაფარდობას. პირველი, მარგველაშვილის მიერ შერჩეული და მოყვანილი განათ-

მა თავისთვის, ქვემოდან ზემოთ კავშირის ვინ ჩივის, ეგ ადრეც დაკარგული იყო, არც კი იგრძნობა, რომ განათლების სამინისტრო მართვას განათლების სისტემას – ბრძანებებსაც კი არ იძლევიანო).

აქ ერთ უხერხულობასთანაც გვაქვს საქმე. კონსტიტუციონალისტმა ექსპერტებმა რამდენიმეგვარად განმარტეს კონსტიტუცია: ერთი თვისის, რომ მთავრობა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პარლამენტს პრეზიდენტმა, მეორე კი ამბობს, რომ კონსტიტუციაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მუხლი დევს, ერ-

მასხენდება ნაციონალების პერიოდი, ჯერ თავიდან სულ მატარებელზე იყო ლაპარაკი, ხან გვირბის ბოლოს შუქს ხედავენ, ხან მიმას ვაგონში ვინ იჯდა იმაზე იყო ლაპარაკი, ხან იმაზე მატარებელს ვინ ჩამორჩა, მოკლედ, კარგი რკინიგზული ტერმინოლოგიით გვიხსნიდნენ პოლიტიკური და ფინანსური ხასიათის მოვლენებს. მერე მიშა ველოსიპედზე გადაჯდა და აირია მონასტერი, ახლა ჩვენი მთავრობა, როგორც მეოცნებე სულ ცაში დაფრინავს და ეტყობა სამთავრობო თვითფრინავის ბორტს ეს 7 ადამიანი მოსწყდა. ამიტო-

კონსტიტუციის მიხედვით მას აქვს ამის უფლებამოსილება, რომ წარადგინოს თავისი კანდიდატები. ამას განსაზღვრავს კონსტიტუციის 81-ე პრიმა მუხლი, სადაც პირდაპირ წერია, რომ პარლამენტის მიერ მთავრობისა და მისი სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის 1/3, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრის განახლების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას. ანუ ეს

მინისტრობის ცვლენა



ნიშნავს იმას, რომ რადგან 5 წევრზე მეტით მოხდა განახლება ახლა ნდობა უნდა გამოუცხადოს პარლამენტმა ხელახლა ამ ახალ შემადგენლობას და შემდეგ ამ შემადგენლობას მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ.

– რა ხნის განმავლობაში უნდა მოხდეს ახალი მთავრობის ფორმირება, დამტკიცების ჩათვლით?

– ყველაზე დიდი ორი კვირა, კონსტიტუციაში პირდაპირ წერია. რაც შეეხება ახალ მინისტრებს, ჩემი ინფორმაციით, ისინი პარლამენტის წევრები არ იქნებიან, მეტს ვერაფერს ვეტყვით.

მამუკა ნოზაძე, ადვოკატი:

– ორასროვან განმარტებას იძლევა კონსტიტუცია, მაგრამ ყველა შემთხვევაში მთავრობა პარლამენტს უნდა წარუდგინოს პრეზიდენტმა. პრეზიდენტის წარსადაგენია მინისტრთა კაბინეტი. ვფიქრობ, ეს არის კონსტიტუციური ცვლილება და მეტი არაფერი. იგივე ხდებოდა ნაციონალების დროსაც, თანაც მოხსნეს უმნიშვნელო მინისტრები, მართალია, ახლა კულტურის მინისტრიც და სხვებიც მართლაც მოსახსნელნი იყვნენ იმის გამო, რომ ვერ ასრულებდნენ თავის ფუნქციებს და იყო დასაბუთებული პრეტენზიები, განსაკუთრებით კულტურის მინისტრის მიმართ, იგივე საყდრისის თემასთან დაკავშირებით, მაგრამ ძირითადი მინისტრები ისევ თანამდებობებზე დარჩნენ და ძირითადი პრეტენზია საზოგადოებას, რაც აქვს, ეს არის უშუალოდ, ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღება, ვფიქრობ, ის მინისტრები, რომლებიც მოხსნეს ეკონომიკასთან და ქვეყნის განვითარებასთან არ არიან უშუალო კავშირში და ვინც არის, ისინი კი დარჩნენ თანამდებობებზე.

ქეთი სომარიკი
592 53 53 03

ლების მინისტრი, რომელიც შერჩეული, მოყვანილი და დანიშნულია მარგველაშვილის მიერ, რჩება ადგილზე. მეორე, საკმაო დიდხანს იქნა შენარჩუნებული ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, რომელმაც ლტოლვილთა დიდი უმეტესობის აზრით, თავი ვერ მოაბა სამინისტროს მუშაობას და არაერთხელ იყო ნაციონალების თავდასხმის ობიექტი. მესამე, თავად პრემიერ მინისტრი მთავრობის შევიდ წევრის მოხსნა-გადაადგილების შემთხვევაში, რაკი ეს შეიძლება კაცი მთავრობის შესამდობზე მეტია კონსტიტუციით, ასევე ითვლება პრაქტიკულად გადადგარად, სანამ არ მოხდება ახალი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წარდგენა პარლამენტისადმი და ნდობის გამოცხადება. იმედია, მარგველაშვილი ღარიბაშვილის შეთავაზებულ კანდიდატებს მოიწონებს და პარლამენტი ნდობას გამოუცხადებს, განათლების მინისტრი კი თავის ადგილზე დარჩება. როგორც ამბობენ, განათლების სამინისტრო თავისთვის არის და განათლების სისტე-

მთი პრეზიდენტი არის მთავრობის შემადგენლობის წარმდგენელი პარლამენტის წინაშე, მეორეთი კი, პრემიერ მინისტრი. თავად პრეზიდენტმა არაორაზროვნად განაცხადა სულ არ მიმიღია მე მონაწილეობა მინისტრების კანდიდატურების განხილვაში, სად მცალია მაგისთვის და არც ახლა ვაპირებ, ამიტომ ერთადერთი, რასაც ვთხოვ პარლამენტს, ეს არის ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი. როგორც ირკვევა ისევ პრემიერ მინისტრის მოსაგვარებელია ეს საკითხი და აქედან გონებამახვილური გამოსავალი მოიძებნა პრეზიდენტმა. რაც შეეხება თავად კონსტიტუციას, ვიდაცა კი იტყვის ასეთი რა ბოლმა გაქვსო, მაგრამ რაკქა, ვერ ვიფიქრებ ბუსუსებთან პრეზერვატივებზე ჩატარებულ პარლამენტის სხდომას და იმ პერიპეტებს, რომელიც ამ სხდომას მოჰყვა. ეს დალოცვილები ათას სისულელეზე, რომ ბჭობენ პარლამენტში, არ ერჩივნათ დროზე შეეცვალოთ კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მეორე მუხლს?

მაც გამოცხადდა საზგასმული სერიოზულობით ისინი ჩვენს გუნდში რჩებიანო. მართლა რჩებიან თუ – ზრდილობის ამბავია? ვინ იცის...

ნონა ფილაური, ორისტი:

– ვინ უნდა წარუდგინოს პარლამენტს ახალი მთავრობის შემადგენლობა დასამტკიცებლად?

– დავიწყებ იმით, კარგია, რომ ეს საკადრო ცვლილებები განხორციელდა, ფაქტობრივად, ყველა მინისტრმა ამ ორი წლის განმავლობაში თავის შესაძლებლობა ყველას დაანახა და ამოწურა. ახლა მთავრობას ახალი ნოვაციები სჭირდება. ვფიქრობ, სწორედ ამ ნიშნით მოხდა მინისტრების ცვლილება. ვიმეორებ, ეს არ არის ცული, პირიქით. ეს გამოიწვევს განახლებას ანუ მთავრობა მზადაა ახალი ნოვაციებისთვის და სიახლეებისთვის. რაც შეეხება იმას პარლამენტს ვინ უნდა წარუდგინოს ახალი მთავრობის შემადგენლობა, ვფიქრობ, წარადგენს პრემიერ-მინისტრი.

დემოკრატიის სახელით დემოკრატიის წინააღმდეგ

ჩვენთვისვე მოულოდნელად, „საერთო გზით“ გამოქვეყნებულ წერილს „ია ანთაძე ბიძინა ივანიშვილს დემოკრატია ასწავლის?“ დიდი დისკუსია და გამოხმაურება მოჰყვა.

როგორც ჩანს, „საერთო გზით“ ძალზე მტკივნეულ და პრობლემურ თემას შეეხო და სწორედ ამან გამოიწვია მწვავე დებატები.

საქმე არ ეხება მხოლოდ ორი ჟურნალისტის – ია ანთაძისა და ლაშა ტულუშის მოსაზრებებს.

მათ, რა თქმა უნდა, უფლებ-

ტაციის მიზანმიმართული მცდელობა, იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება და ის ადამიანიც, რომელმაც ეს გუნდი ხელისუფლებაში მოიყვანა, უუნაროა დე-

ცია აკისრია ე.წ. ინტელექტუალურ ფრთას, რომელიც მიუკერძოებელი და ობიექტური შემფასებლისა და მედიატორის როლში გვევლინება და ქვეყნის ჭირისუფლისა და დემოკრატიის გულდათოქული ქომაცის ნიღბით „აპრავებს“ და ამართლებს იმ მარაზმს, რასაც გაოპოზიციონერებული „ნაციონალები“ და მათ კონტროლს დაქვემდებარებული ჟურნალისტები და მედიასაშუალებები აკეთებენ.

* * *

„ნაცმოდრობის“ მმართველობის ცხრაწლიანი მმართველობა კვალიფიციურად რომ გაანალიზებულიყო, აუცილებლად მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ „ნაცმოდრობის“ მთავარი მოკავშირე, მისი მთავარი დამრტყმელი ძა-

ლა სწორედ რომ ჟურნალისტები იყვნენ.

კურ დაჯგუფებაში შედიოდნენ, რომელსაც „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ ეძახდნენ. „ახალგაზრდა რეფორმატორებს“, რომლებიც გამალებულნი ემზადებოდნენ უკვე ძალაუფლებაში მისვლასთან დაკავშირებული მოსასვლელად, ტაქტიკურად და სტრატეგიულად სწორი და ეფექტური მოქმედების გეგმა შეადგინეს და მთავარი აქცენტი მედიასაშუალებების კონტროლზე და ჟურნალისტების მოსყიდვა-გადმობრებაზე გააკეთეს. ასე გაჩნდა არალეგალური მედიაკორპორაცია, თავისი გაზრდით, ტელე და რადიოარხებით, და, რაც მთავარია, უხვად დაფინანსებული ჯიბის ჟურნალისტებით.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ „ნაცმოდრობამ“, როგორც ჩანს, შეინარჩუნა მის კონტროლს დაქვემდებარებული ეს იატაკქვეშა მედიასინდიკატი და დღეს კვლავ ცდილობს მთელი ძალით ააშუშოს იგი.

დემოკრატიის სახელით დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება.

დანიშნული, იმიტომ ვთქვით, რომ ეს ადამიანები, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან სხვებისგან, უფრო მეტიც, ამკარად ჩამორჩებიან ბევრს ნიჭიერებით, ინტელექტით, პროფესიონალიზმის ხარისხით, ეკრანებიდან არ ჩამოდიან.

ზოგიერთი მათგანი დღეში 2-ჯერ, 3-ჯერ შეიძლება ნახოს სხვადასხვა ტელეარხზე, სხვადასხვა თემებზე ექსპერტის და ანალიტიკოსის რანგში მოსაუბრე.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რაღაც სია არსებობდეს და ჭკუის საკითხავად დანიშნულს რიგრიგობით იძახებდნენ ტელევიზიები, რადიოარხები, სამთავრობო თუ არა-სამთავრობო კომისიები და ა.შ.

ასეთი სია თუ მართლაც არსებობს, ამ სიაში პირველი თუ არა მეორე მაინც არის ბატონი ლაშა ტულუშა – კაცი ექსპერტთაექსპერტი, კაცი-უფლებადამცველი, კაცი – პოლიტიკოსი, კაცი-მედიატორი, კაცი-არბიტრი და რაც მთავარია, კაცი-ჟურნალისტი.

მართალია, ტულუშის პოლიტიკაში განსწავლულობა არა-



ბა აქვთ ჰქონდეთ თავიანთი განსხვავებული, თუნდაც ფრიად არაკომპეტენტური აზრი ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერი პიროვნების, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის, საქმიანობაზე ჰქონდეთ თავიანთი შეხედულებები დემოკრატიაზე, მისი განვითარების გზებსა და მეთოდებზე და ამაში საგანგაშო და მიუღებელი არაფერი არ არის, საგანგაშო ის ტენდენციაა, ის ზოგადი სურათია, რაც ბოლო ხანებში მედიაში იკვეთება.

საქმე ის არის, რომ სურათი, რომელიც დღეს არის შექმნილი ქართულ მედიაში, ძალიან ჰგავს, უფრო ზუსტად, თითქმის ერთი-ერთში იმეორებს იმ სურათს, რაც „ვარდების რევოლუციას“ უძღოდა წინ 2000-2001-2002-2003 წლებში.

თითქოს დრო არ გასულა, ამ ხნის განმავლობაში თითქოს არაფერი შეცვლილა – ძირითადად, იგივე საინფორმაციო საშუალებები, იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები, იგივე ჟურნალისტები, იგივე ექსპერტები ჯიუტად ცდილობენ დაამკვიდრონ აზრი, რომ საქართველოში დემოკრატია დღესაც არ არსებობს.

ან საიდან უნდა არსებობდეს – როგორც ქალბატონი ია გვაუწყებს, ბიძინა ივანიშვილმა ბოლო სამი წლის განმავლობაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების ავტორმა და შემოქმედმა, თურმე დემოკრატია არ იცის, საიდანაც ადვილად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: თუ ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, რა რის დემოკრატია, ის დემოკრატია ვერც ააშენებს და ვერც განავითარებს, ანუ რეალობა, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება, არადემოკრატიულია.

ხელისუფლების დისკრედი-

ტიზაციული ინსტიტუციების მშენებლობის საქმეში, ერთ მთავარ მიზანს ემსახურება – დაარწმუნონ როგორც საქართველოს მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ ახალმა ხელისუფლებამ იმედები ვერ გაამართლა, ვერ შეასრულა მთავარი დანაპირები – ვერ აზიარა ქვეყანა დემოკრატიული ღირებულებებს, ვერ აქცია დემოკრატია სახელმწიფოს განვითარების მთავარ საყრდენად და საფუძვლად, რასაც თავისთავად მივეყვართ დასკვნამდე: – აუცილებელია ეს დემოკრატიის უგულვებელყოფილი ხელისუფლება ასპარეზიდან გავიდეს და ახალი პოლიტიკური ძალა ჩაენაცვლოს, ეს „ახალი“ პოლიტიკური ძალა კი ოპოზიციურ სპექტრს თვალს თუ გადავაგვლებთ, სხვა არაფერია თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“.

დაიხ, „ნაცმოდრობის“ განცხადებებს და მასმედიის ერთი ნაწილის რიტორიკას და პათოსს ერთმანეთს თუ შევადარებთ, ეჭვი არ შეგვეპარება, რომ მასმედიის ეს ნაწილი სწორედ „ნაცმოდრობის“ წისქვილზე ასხამს წყალს, უფრო მეტიც, მის დაკვეთას ასრულებს და იმავე გეგმით და იმავე სცენარით მოქმედებს, როგორც მოქმედებდა „ვარდების რევოლუციის“ წინა წლებში.

გასაკვირი ის არის, რომ მათ არ შეუცვლიათ არც ტაქტიკა, არც სტრატეგია, არც პიარტექნოლოგიები და ძველებური უტიფრობით და ცინიზმით ცდილობენ ხელისუფლების „დაჩმორებას“, დაშინებას, მასხრად აგდებას, მოკონილი ბრალდებებით და ცილისწამებებით დამანტაყებას.

მთელ ამ უმსგავსობაში განსაკუთრებული როლი და ფუნქ-

ცია გორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მედიიდან, სააკაშვილთან ერთად ჩეკისტური მეთოდებით „აშენებდნენ“ „დემოკრატიას“, რითაც, ფაქტობრივად, ანგრევდნენ იმ საძირკველს, რაზეც ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებები უნდა დაშენებულიყო.

საიდუმლო კავშირი, საიდუმლო გარიგება, „ნაციონალებს“ და მედიაჯგუფებს შორის, „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე 6-7 წლით ადრე დაიწყო, როცა „ნაციონალებს“ ნაციონალები არ ერქვათ და ისინიც იმ პოლიტი-



* * *

წინა წერილში ბევრი ვილაპარაკეთ ქართული ჟურნალისტიკის „დედაზე“, „მამა“ კი ცოტათი „დაგვეჩაგრა“.

არადა, ლაშა ტულუშს, სანაიას მიერ მოწვეულ ჟურნალისტიკის „მშობელთა კრებაზე“, „დედაზე“ ნაკლები არ ულაპარაკია და ნაკლები „სიბრძნეებიც“ არ უფრქვევია.

ლაშა ტულუშის უდაოდ ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ფიგურაა ვილანოვი უჩინარი რეჟისორის მიერ ჭკუის საკითხავ და ყველაფრისმცოდნე ექსპერტად დანიშნულ პირთა შორის.

ვის სმენია, მაგრამ ტულუში მაინც პოლიტიკოსობს, არც ეკონომიკის ესმის ბევრი რამ, მაგრამ მაინც ეკონომისტობს, არც მისი დაწერილი წერილი უნახავს ვინმეს, მაგრამ ტულუში მაინც ჟურნალისტად იწოდება.

მართალია, წერით არ იწუხებს თავს, მაგრამ ლაპარაკი ნამდვილად არ ეზარება, თუცა არც ლაპარაკი იცის დღევანდელი და თუ ძალიან ყურმახვილად არ ხარ და გონებასაც ძალიან თუ არ დაძაბავ, შეიძლება ვერც მიხვდეთ, რისი თქმა უნდა... ასე მოხდა ვაზო სანაიას „რეპორტაჟში“.

გთავაზობთ ფრანგმენტს ლა-შა ტულუმის „მონოლოგიდან“ და წინასწარ ბოდიშს გიხდით, თუ წაკითხულიდან აზრის გამოტანა გავიჭირდებათ:

ტულუმი: „მე მგონი, ბატონ ბიძინას დაუგროვდა სათქმელი. მე ეგეთი განცდა მაქვს. უფრო კორექტულად ვიტყვოდი. რა თქმა უნდა შეიძლება ვთქვათ რომ ეს რაღაც ხიბლია, მაგრამ როდესაც უკვე გამოსცადე, რა არის ტრიბუნა, წარმატება პოლიტიკაში, გისმენენ, დაგიგროვდა გამოცდილება, ბუნებრივი მჩვენება აბსოლუტურად სურვილი ბატონი ივანიშვილის, რომ მან რაღაცეები კიდევ დამატებით თქვას. გავიდა დრო, მას დარჩა სათქმელი, ხომ. მაღლიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ ეს პროცესი იყოს სოლიდური, იმიტომ რომ გულწრფელად რომ ვითხრათ, შეიძლება ოპოზიციას თავისი ინტერესი გააჩნდეს და ვიდაცა შეიძლება ფიქრობდეს, რომ თუ დამარცხდება, მარცხიანი იქნება ეს მცდელობა, ეს დაზარალებულ ბატონი ივანიშვილის ასევე მმართველი გუნდის იმიჯს და რეპუტაციას. ჩვენს ინტერესში არის, რომ ესეთი გამოჩენა ყოფილი პრემიერ-მინისტრების, მნიშვნელოვანი ფიგურების, იყოს წარმატებული და არა წარუმატებელი. წარმატებულში მე ვვულისხმობ შედეგს, რა იქნება და რა ფორმა ექნება. უარყოფითი რა შეიძლება იყოს და სად არის რისკები ეს არის ძალიან საინტერესო. მაგალითად, უმრავლესობა ვისაც ველაპარაკები, მათ შორის ვინც არის ამ გუნდის მხარდამჭერი, ისინი ამბობენ, რომ ეს არ უნდა იყოს გაუფრთხილები პიარით და არ უნდა იყოს გადასული მთავრობის ან მისი გუნდის ხოტბაზე, იმიტომ რომ თუ ეს იქნება ცალსახად აქეთ მიმართული, რა თქმა უნდა, ეს მცდელობა იქნება წამგებიანი ზოგადად იმიტომ რომ მთავრობას არ სჭირდება გარედან ასეთი ტიპის დახმარება. მათ აქვთ თავიანთი სამსახურები. თუ ეს იქნება მცდელობა, რომ გარედან სატელევიზიო ფორმატებით პოლიტიკური პროცესების მხარდამჭერი იყოს ან პოლიტიკურ პროცესს უსწრებდეს წინ.. აი რაღაც ასეთ კომ-

ბინაციებში თუ ჩაჯდება ეს გადაცემა, რა თქმა უნდა, იქნება ცუდი. მე არ მგონია, რომ ასეთი ფორმა მიიღოს. თქვენ წარმოიდგინეთ გადაცემა, სადაც სიტყვაზე ბიზნესზე საუბრობს ბატონი ივანიშვილი, ეკონომიკაზე, მას მართლა აქვს ძალიან დიდი გამოცდილება, ძალიან წარმატებული ადამიანია, მე ვფიქრობ რომ ასეთი მიმართულებები, მათ შორის კრიტიკული ანალიზი ეკონომიკური პოლიტიკის, ეს არ ნიშნავს, რომ ის თავის პირმშოს ურტყამს ხომ? ეს იქნება ძალიან საინტერესო. ჩემი მთავარი მოლოდინი რა არის, იცით? რომ ეს იყოს ღია, პატიოსანი დისკუსიები, მათ შორის მილიონ სხვა თემაზეც, შეიძლება ეს თემები იყოს აბსოლუტურად განყენებული, სამეცნიერო ხასიათის, არანაირი კავშირი არ ჰქონდეს პოლიტიკასთან, ესეც იქნება საინტერესო იმიტომ რომ ბევრს იცნობთ ისეთ ადამიანს, რომელსაც ამდენი წარმატება მიუღწევია? ცხადია, ამიტომაც საინტერესოა მისი შეხედულებები ყველაფერთან დაკავშირებით.“

ხვდებით, სად უკაკუნებს ბატონი ტულუმი?

სად და იქ, სადაც მანამდე ანთაძე უკაკუნებდა...“

ანთაძის აზრით, ივანიშვილმა ხომ დემოკრატი არ იცის, (ანთაძე ამას რომ ამბობდა, ტულუმი ღუმიღა, ღუმიღი კი, მოგეხსენებათ, თანხმობის ნიშანი ა) ტულუმი კი იმაზე „გვინამიოკებს“, რომ ივანიშვილმა დემოკრატიათან ერთად არც პოლიტიკა იცის და თუ მაინცდამაინც ტელეჟურნალისტობას მოინდომებს, სჯობია, იმაზე ილაპარაკოს, რაც კარგად იცის – ბიზნესზე და ეკონომიკაზე.

აი, ასე შემოუფარგლა სამოქმედო არეალი ექსპერტმა ყოვლისმცოდნეობის დარგში ლაშა ტულუშმა ბიძინა ივანიშვილს და თავის ადგილი „მიუჩინა“.

მოკლედ, რომ ვთქვათ, ფუნქციები ასე განაწილდა – ია ანთაძე ილაპარაკებს დემოკრატიაზე (იცის!) ლაშა ტულუში ისაუბრებს პოლიტიკაზე (იცის!) ბიძინა ივანიშვილს კი ეკონომიკაზე საუბრის უფლება დაუტოვეს (ანთაძის და ტულუშის ფიქ-



რით, ივანიშვილმა სხვა არაფერი იცის).

კი, მაგრამ, სინდისი საერთოდ არ გაქვთ თქვენ, თქვე დლოცილებო? კაცმა, რომელმაც სააკაშვილის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის დამარცხება შეძლო ყოველგვარი სისხლისღვირისა და ძალისხიერი მეთოდების გარეშე, პოლიტიკა არ იცის და თქვე იცით, ანთაძე და ტულუშო?

მართალია, იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებმაც პოლიტიკოსის „დიპლომი“ მეტრო „რუსთაველიდან“ „თავისუფლების მოედანამდე“ ავლა-ჩაგვლაში „იშოვეს“, ბიძინა ივანიშვილი, მისთვის ჩვეული გულწრფელი თავმდაბლობით, ხშირად ამბობს, რომ პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ არ დაიჯეროთ თქვენ ეს ამბავი – ბიძინა ივანიშვილზე უფრო ნიჭიერი პოლიტიკოსი ქართულ პოლიტიკას დიდი ხანია არ ჰყოლია და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ ეყოლება.

თვალი გადავაგვლოთ იმ სამწლიან ხანმოკლე მონაკვეთს, რომელიც ივანიშვილმა პოლიტიკაში დაჰყო და გავისხსენოთ, პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე როგორ უცებ აულო მან ალლო პოლიტიკის ურთულეს ხელოვნებას,

რომელიც მანამდე ტრიბუნასთან არ დამდგარა და ერთი საჯარო გამოსვლაც კი არ ჰქონია, როგორ უცებ იქცა შესანიშნავ ორატორად და მჭევრმეტყველად, რომელსაც სულგანაბლური უსმენდნენ ათიათასები და ასიათასები.

ამას ფულით ვერ იყიდი, ვერც მილიონით და ვერც მილიარდით, თუ ეს შენს შიგნით არ არის, თუ ამის ნიჭი განგებამ არ გიბოძა.

ზოგიერთებს, შეიძლება, ჰგონიათ, ივანიშვილმა ომი „ნაციონალებთან“ ფულით მოიგო.

„ნაციონალებს“ იმ დროისთვის ივანიშვილზე გაცილებით დიდი ფული ჰქონდათ. ამას დამატებით განუსაზღვრელი ძალაუფლება, რომელიც მტკიცედ ეპყრათ ხელთ, მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობიდან და კიდევ სხვა უამრავი ბერკეტი, მაგრამ „ნაციონალობა“ მაინც დამარცხდა და დამარცხდა იმიტომ რომ, ბიძინა ივანიშვილს გამარჯვების ფულით ყიდვაზე არც უფიქრია, მან გამარჯვების მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გზებით, დემოკრატიის ნორმების დაცვით და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის თანამონაწილეობით, მისი ნების პატივისცემით გადაწვიტა.

მართალია, ივანიშვილს მოსესავით ორმოცი წელი არ უტარებია ქართველი ხალხი უდაბნოში, მაგრამ ის ერთი წელი 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, არანაკლებ რთულად გადასალახი უდაბნო იყო... ქართული უდაბნო...

ქართული უდაბნო კი სხვა სირთულის და სხვა სპეციფიკის უდაბნოა...

ეს ერთი წელი დემოკრატიის 365 გაკვეთილი იყო ქართველი ხალხისთვის და იმ გაკვეთილებს ივანიშვილი არა მარტო სხვებს უტარებდა, არამედ თვითონაც სწავლობდა სხვებთან ერთად.

დაბოლოს, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მოპოვებული გამარჯვება და ამ გამარჯვების თანამდევი ძალაუფლება ქართველ ხალხს გადასცა.

უფრო დიდი დემოკრატიულობის მაგალითი საქართველოში კი არა მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში არ მოიძებნება...

ნუთუ ეს ყველაფერი ისე ცოტაა, რომ უმადურობის უკეთურ გრძნობას ვერ მოერიო და სიმართლის და სინათლის დანახვა და დაფასება ვერ შეძლო.

„სამართო გაჯემი“



რამდენიმე დღის წინ გამოვქვეყნე ჩანაწერი ფეისბუქზე – „დისკუსია დემოკრატია, დემოკრატიზაცია და ივანიშვილის ფაქტორი“, სადაც გამოვხატე ჩემი ხედვა ამ ფაქტორის მიმართ. საზოგადოებას შევახსენებ, რომ დისკუსია დაიწყო რამდენიმე დღის წინ „მაესტროში“ ია ანთაძის ფრაზით „ივანიშვილმა ცუდად იცის – რა არის დემოკრატია და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება“.

ანუ, ანთაძემ განაცხადა რომ ივანიშვილის მომავალი გადაცემა ვერ შეუწყობს ხელს დემოკრატია, რადგან ივანიშვილს ეს თემა ცუდად ესმის. ამ აზრს გამოუხატა ოპონენტები მედიაში, ჩემი წერილიც ოპონირება იყო. იყო გამოხმაურება ივანიშვილის მიერ დაარსებული ორგანიზაცია „მოქალაქისთვის“ სადაც გამოთქვა წუხილი დემოკრატიის მსგავსი სერიოზული თემებისადმი მედიის და ექსპერტულ წრეებში ზედაპირული დამოკიდებულების გამო. მოქალაქის რეაქციაზე ანთაძემ კომენტარი დღეს გააკეთა, რაც შემდეგ სააგენტოებმა გააუქმეს.

გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოების და მედიის დემოკრატიაზე გავლენის ხარისხზე მე და ია ანთაძეს განსხვავებული ხედვა გვაქვს, მინდა რამდენიმე კითხვა დავსვა მის მიერ დღეს გაუქმებული პოზიციების მიმართ:

ქალბატონო ია, თქვენ განაცხადეთ – „ვერ ვხედავ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას როგორ შეუწყობს ხელს ასეთი გადაცემა. დემოკრატიის დამკვიდრება დემოკრატიის ინსტიტუტების გაძლიერებას მოითხოვს. ვერ ვხედავ ამ გადაცემით როგორ უნდა მოხდეს ინსტიტუტების გაძლიერება“, – ეს იყო მთავარი სათქმელი.

პირველ რიგში დემოკრატიის ინსტიტუტებზე: თუ ვინმე ფიქრობს რომ დემოკრატიის ინსტიტუტები მხოლოდ ხელისუფლების ლეგიტიმირება, არჩევნები, პარლამენტარობა და სამი სახელისუფლო შტოს ურთიერთკონკურენცია, ძალიან ცუდაა. დემოკრატიის უზრუნველყოფა უმთავრესი ინსტიტუტი არის ხალხი, სამოქალაქო აქტიურობა, სიტყვის თავისუფლება, პლურალიზმი, ოპოზიციის არსებობა და საზოგადოების ინიციატივობა.

დავსვით კითხვა – შეუძლია თუ არა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს და თუკ შოუებს, მძლავრად მედიას დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება?

მედია ახდენს გავლენას საზოგადოებაზე და დემოკრატიის ინსტიტუტებზეც! თავისუფალი მედია კი თავისი პლურალიზმით, შვენივლით და პროფესიონალიზმით ახდენს დადებით გავლენას დემოკრატიისთვის პროცესზე. მაგრამ მხოლოდ კონსერვატივებს და შემოსავალზე ორიენტირებულმა უპასუხისმგებელ მედიამ შეიძლება მოახდინოს ძალიან ცუდი გავლენა.

საკაშვილისპერიოდში მოხდა სწორედ ეს: ხელისუფლებაში მოსვლიდან 2 თვეში სააკაშვილმა დახურა ყველა თუკ შოუ. მედიის უდიდესი ნაწილი „წაუწვა“ სააკაშვილს და გადაიტაცა მისი პროპაგანდისტული მანქანის ჭანჭიკად. იმ მედიას უდიდესი წვლილი მიუძღვის მამინდელი საზოგადოების დაბნელებაში და ბრძოლისუნარიანობაში.

დემოკრატიის ინსტიტუტების გაძლიერება მედიის თანამონაწილეობის გარეშე ვერ მოხდება. ზუსტად მედია უნდა შეუწყოს ხელი მათ განვითარებას თავისი მრავალფეროვნებით, პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით და კრიტიკულობით. ვისაც აქვს ძალა, იმას აქვს პასუხისმგებლობაც.

საქართველოში მედიას აქვს ძალა, მაგრამ აკლია პასუხისმგებლობა. ყოფილიყო მეტი პასუხისმგებლობა და დემოკრატიული ინსტიტუტებიც უფრო წინ იქნებოდნენ წასული.

ქალბატონო ია, თქვენ ამბობთ: ის ფაქტი, რომ მედია დღეს უფრო თავისუფალია, ვიდრე წლების წინ, ეჭვარეშია. ის, რომ სასამართლო უფრო მეტად თავისუფალია, ეჭვარეშია. ის რომ ადამიანებს აღარ ეშინათ აზრის თქმა და ტელეფონებს არ მალავენ,



2 წელი იმდენად დიდი პერიოდი არაა საიმისოდ, რომ დაგვაიწყდეს რა მოხდა: ქვეყანაში შეიცვალა არა მხოლოდ მმართველი ძალა, არამედ მოხდა მმართველობის პრინციპის ძირეული ცვლა. დემოკრატია ჩანაცვალა დიქტატურა და ეს იმ ვითარებაში, როცა მანამდე დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება არც პოლიტიკას, არც საზოგადოებას არ ქონდა.

კიდევ ერთი კითხვა: როდის და სად თქვა ივანიშვილმა რომ „ეს არის დემოკრატია“ და ამის მეტი არ უნდა

კოტეს“ დადგამც რომ შეითავსა, მისი სისტემა იგივეა რაც ივანიშვილის მიერ აწყობილი სისტემა?

ნახეთ დღევანდელი საზოგადოების ერთ ერთ პოპულარული და სამართლიანი პრეტენზია ხელისუფლების მიმართ – როგორ არ გააკონტროლეთ პრემიების და ჯიბების თემა! ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ პრეტენზიას მოჰყვა რეაქცია და მთავრობამ რეგულაციები დააწესა. და ამ პრეტენზიას შეადარეთ სააკაშვილის ხელისუფლებისადმი არსებული პრეტენზიები – ტერიტიკველბები, გაუპატიურებები, წამება, მარცვა.

ეს ერთი და იგივეა? თუ ასე ფიქრობთ, დისკუსიას აზრი არ აქვს.

ტომ არის ასე დაბალი ქართული უფრონალისტიკის პროფესიონალიზმი? პასუხი მარტივია: იმიტომ რომ 9 წლის განმავლობაში, სააკაშვილით, მერაბიშვილით და ახალაბებით დამინებული ბევრი რედაქტორი თუ გამომცემელი უფრონალისტიკის არჩევდა არა პროფესიონალიზმით და ამა თუ იმ სფეროში ჩახვედნით, არამედ უსიტყვო მორჩილების ხარისხით.

საკაშვილი არ ითხოვდა პროფესიონალიზმს, ითხოვდა ლოიალურობას, რასაც მედიის მფლობელების უდიდესი ნაწილი ასრულებდა, სამაგიეროდ კი იღებდა რეკლამას. რამდენ მამინდელ უფრონალისტს აწყობს ცვლილებები? ბევრს არა, იმიტომ რომ

გიორგი უქილაური – დემოკრატია, დემოკრატიზაცია და ივანიშვილის ფაქტორი (კითხვები ია ანთაძეს)

ესეც ეჭვარეშია. გასაგებაა, ეს ეტაპი ჩვენ გავიარეთ და გავიარეთ იმიტომ, რომ პირადად ივანიშვილის პოლიტიკური ნება იყო ასეთი და დიდი მადლობა ამისთვის. მაგრამ, ხომ არ შეიძლება სამარადქმომოდ ამ ეტაპზე გავჩერდეთ და ვთქვათ, რომ ეს არის დემოკრატია.

თქვენი ეს ფრაზა ძირეულად ეწინააღმდეგება თქვენს მიერ „მაესტროში“ გაუქმებულ სიტყვებს – „ივანიშვილმა ცუდად იცის – რა არის დემოკრატია“.

თუ ადამიანმა „არ იცის დემოკრატია“, რა რჯიდა ან დემოკრატიის დამყარებას ან თქვენ რატომ უხდით მადლობას?

ხოლო თუ დემოკრატიის დამყარება „პირადად ივანიშვილის პოლიტიკური ნება იყო“ რისთვისაც მადლობასაც უხდით, მაშინ როგორ გამოდის რომ მას დემოკრატია არ ესმის?



დემოკრატია შემთხვევით არ მყარდება, ან გვაქვს დემოკრატიზაციის გატარების ნება და თავი ან არა.

ენლა რაც შეეხება ციტატის მეორე ნაწილს: – „ხომ არ შეიძლება სამარადქმომოდ ამ ეტაპზე გავჩერდეთ და ვთქვათ, რომ ეს არის დემოკრატია“

დროის რა მონაკვეთს თვლით მარადგამოაბში? ერთი კვირის წინ საქართველოში პირველად ჩატარდა ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური და თქვენი აზრით უკვე სამარადქმომოდ ითვლება ეს პერიოდი? თუ თავისუფალი ადგილობრივი არჩევნები და მითუმეტეს მეორე ტური დემოკრატიის წინსვლა არაა? ადრეც იყო დაწესებული 50%-იანი ბარიერი? ვითომ 35%-იანი რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა? დემოკრატია არ იქნებოდა? ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არის 50%-იანი ბარიერი მაგრამ დემოკრატია არის. აქაც ხომ არ აქვს ადგილი წინააღმდეგობას? რა სამარადქმომობაზე საუბარი, როცა ივანიშვილის შემქმნელი კოალიცია დგამს ისეთ დიდ ნაბიჯებს, რომელთათვისაც ბევრ ევროპულ ქვეყანას წლები და ზოგს ათწლეულებიც დასჭირდა? თან ამ ნაბიჯების ნაწილს მოსდევს უკმაყოფილებაც საზოგადოების ზოგიერთი ფენისგან. „ანტიდისკრიმინაციული კანონი“-ის მიღებაზე რას იტყვით? რამდენი პოლიტიკური ძალა გაბედვდა ამას საქართველოში?

გაგრძელდეს დემოკრატიზაცია? სადოქტრა რომ უნდა გავჩერდეთ? ადამიანს რაც არ უთქვამს, იმას რატომ ვაწვით?

გადავივთ შემდეგ ციტატაზე: „საკაშვილის პრეზიდენტობის დროს მართვის ძალიან მყარად ცენტრალიზებული სისტემა აშენდა და სწორედ ეს იყო ივანიშვილის პოლიტიკური ნების მთავარი გამოწვევა, რომ ეს ცენტრალიზებული სისტემა უნდა დანგრეულიყო და დეცენტრალიზებული სისტემები უნდა აშენებულიყო. ეს არ მოხდა სამწუხაროდ, მართვის სტრუქტურები არის ზუსტად ისეთივე ცენტრალიზებული, როგორც იყო სააკაშვილის დროს და აქ მაქვს მე პრეტენზია.“

ანუ, სააკაშვილის და ივანიშვილის მიერ შექმნილი მართვის სტრუქტურები ერთნაირად ცენტრალიზებულია? და რა უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას? ვინ ითხოვდა ან ივანიშვილს, ან ღარიბაშვილს ამ დეცენტრალიზაციას? ყოფილიყო ისევე, როგორც მიმას დროს. ზემოთ მიიღებოდა გადაწყვეტილება და მორჩა! დღეს საკრებულოები ჭრულია და მათი წარმომადგენლები არ ერიდებიან ხელისუფლების კრიტიკას. ვინ გაბედვდა სააკაშვილის პერიოდში განსხვავებული აზრის გამოთქმას ან მთავრობაში, ან არლამენტში, ან სასამართლოში და ან რეგიონებში?

იქნებ სახელისუფლებო შტოები არაა დაყოფილი? იქნებ სასამართლო არაა დამოუკიდებელი და უსიტყვოდ ასრულებს პროკურატურის მითითებებს, როგორც მიმას დროს?

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება თან ივანიშვილის მადლიერი იყო სასამართლოს თავისუფლებისა და მედიის თავისუფლებისთვის და იმავედროულად თვლიდეს რომ ივანიშვილის შემქმნილი ხელისუფლება ისეთივე ცენტრალიზებულია, როგორც სააკაშვილის იყო?

ანუ, სააკაშვილი, რომელიც პრეზიდენტიც რომ იყო, პარლამენტის თავმჯდომარეობასაც რომ ითავსებდა, მთავარ მოსამართლეობასაც, ყველა რეგიონის გუბერნატორობასაც, არქიტექტორობასაც და ბილოს „ქეთი და

გაურკვეველია კიდევ ერთი ფრაზა: „მისთვის (ივანიშვილისთვის) საკმარისია დემოკრატიის ის ხარისხი, რაც დღეს არის ჩვენს ქვეყანაში, ჩემთვის კი სრულებით არ არის საკმარისი“.

სად თქვა ივანიშვილმა, რომ მისთვის არის საკმარისი? სად თქვა, რომ არ უნდა მეტი არ უნდა განვითარდეს? თუ თვლით, რომ რადგან ივანიშვილი გადადგა პრემიერიდან – ეს ნიშნავს რომ დაამთავრა თავისი წვლილის შეტანა დემოკრატიაში? პრემიერიდან გადადგომისას მან თქვა თქვა რომ აპირებს 20 წელი მიუძღვნას სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებას და დემოკრატიზაციის ხელშეწყობას. რამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს ვინმესთვის, პრემიერის და პოლიტიკოსის სტატუსის გარეშე შეიძლება დემოკრატიზაციის გატარება, მათ შორის გადაცემითაც. საერთოდ, დემოკრატიულ ქვეყნებში გადაცემები მხოლოდ გადაცემის წამყვანისთვის და მისი პოპულარობისთვის არ იქმნება. პირველ რიგში იქმნება მყარებისა და საზოგადო სიკეთებისთვის. ტელეურნალისტიკა არაა ბაზარი, სადაც მხოლოდ რეიტინგზე და საკუთარი თავის პოპულარიზაციაზე ან სარფიანად გაყიდვაზე ზრუნავენ. სწორედ ასეთმა მიდგომამ ჩაკლა ქართული უფრონალისტიკა სააკაშვილის პერიოდში. სწორედ ნეოლიბერალურმა, საბაზრო მიდგომამ გააქრო პროფესიონალიზმი ტელეეკრანიდან და გამოაცალა მედიას მისი ძირითადი დანიშნულება – დემოკრატიის მოდარაჯვობა. დღეს ეს ფუნქცია დასაბრუნებელი – მედია უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და თუ ამ პროცესში თავის წვლილს შეიტანს ივანიშვილი, ეს მხოლოდ მისასალმებელია.

ისე, ცოტა სასაცილოა – ივანიშვილს, რომელმაც მედიაც და ქვეყანაც გაათავისუფლა დიქტატურისგან, ბრალად სდებდა – უფრონალისტებს ჭირხინის და მედიაში არსებულ იმ რეალურ პრობლემებს არ ამჩნევდა, რომელთა გამოსწორება ჯერ არ დაგვიწყია.

ქართულ მედიას რეფორმა სჭირდება... დღეს ხშირად იმისი კითხვა – რა

ასალ რეკლამაში არაპროფესიონალი უფრონალისტები აღარ დასჭირდებოდა მათი ტელეარხების მფლობელებს, საზოგადოება მითითებს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტს.



ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დღეს საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა უფრო წინ არის წასული, ვიდრე ქართული მედია, ჩარჩენილი ჭირხინში, შეიქმნელების თეორიებსა დაზედაპირულად.

დღევანდელი საზოგადოება ძალიან განსხვავდება სააკაშვილის პერიოდის საზოგადოებისგან, ბევრად ენერგიული, ის ბევრად ინიციატივითაა, მიმთხოვნი და კრიტიკული ხელისუფლების მიმართ და უფრო მეტი პასუხისმგებლობაც აქვს აღებული ქვეყანაზე.

და სად არის ქართული მედიის დიდი ნაწილის პასუხისმგებლობა? შუამიზმში? არაპროფესიონალიზმს უფრონალისტიკური ნეიტრალიზა და ზედაპირულობა ვერ დამალავს. პირიქით, მედია და უფრონალისტიკა უნდა იყოს იდეალისტი, უნდა სურდეს და უზაროდეს საზოგადოების წინსვლა, უნდა გაცდეს ზედაპირულობას და ჩაწვდეს პრობლემების არსს, რათა საზოგადოებასაც მიაწოდოს უფრო სერიოზულად შესწავლილი ინფორმაცია, რომ საზოგადოებამ უფრო სწორი ანალიზი გააკეთოს მიმდინარე მოვლენებზე. ჩემი აზრით მედიის ყველაზე მეტი ეთიკურობა მისი პროფესიონალიზმია.

ქვეყანა სწრაფად იცვლება, საზოგადოებაც იცვლება იმიტომ, რომ ის ცდილობს მოვლენებს დაარქვას სახელები და არ დაიმალოს ნეიტრალიზმის უკან, ამაში საზოგადოებას სჭირდება დახმარება როგორც მედიისგან ასევე ექსპერტებისგანაც. დემოკრატია შუამოსტოპით არ ამუშავდება, შენდება პლურალიზმით, გახსნილობით, პროფესიონალიზმით, სამოქალაქო აქტიურობებით და ინიციატივებით. დემოკრატიზაცია არაა ვიწროლიბერალისტური საქმე, ის ყველას საქმე და ყველას პასუხისმგებლობაა, თან მუდმივად მზარდი პასუხისმგებლობა. და თუ პასუხისმგებლობის დონე აიწვეს, 20 წელზე უფრო ადრეც მივაღწევთ დემოკრატიის ევროპულ ხარისხს, მთავარია მოვინდომოთ.

<http://on.fb.me/1qRuSi6>





რატომ უთანთქა „პარდების რევოლუცია“ თავისი ლიდერები?

გეოსტრატეგიული ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელს ბატონ კამრამ მამრამაძეს.

– ბატონო პეტრე, ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ „ვარდების რევოლუციის“ სათავეში მყოფი ლიდერები პრაქტიკულად პოლიტიკურ ასპარეზს გამოეთიშნენ – ზოგი მოკლეს, ზოგი უფუნქციოდ დარჩა. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას?

– მე არ ვეძებ მესამე ძალას, რომელმაც ვითომდა ეს ყველაფერი მოახდინა. პირიქით, მჯერა ქართული ანდაზის, – „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, – ბატონი ეროსის გაურკვეველ სიკვდილზე, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რაც შეეხება დანარჩენებს, შეიძლება კვლავ გავიმეორო, რომ „ძალაუფლება რყენის, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყენის“ ადამიანს. პირადად სააკაშვილის მრავალი თანამოაზრე გადაგვარდა იმიტომ, რომ ნებისმიერ მათ მიზანს ამართლებდა ნებისმიერი საშუალება, ისინი ამ პრინციპით მოქმედებდნენ. წამება, სახელმწიფო თანხების მითვისება თუ სხვა რაიმე, მათთვის იქცა ცხოვრების წესად, შემდგომში ეს აღიარა ოქრუაშვილმა, სააკაშვილის „ღამის მთავრობის“ წევრმა.

„ღამის მთავრობა“ – ტროიკას – მერაბიშვილი, ოქრუაშვილი, ადიშვილი – უწოდა ივლიანე ხაინდრავამ თავის დროზე იმიტომ, რომ ისინი ყოველ დამე იკრიბებოდნენ სააკაშვილთან და გვემუხებოდა. სხვათა შორის, ამ შეკრებებზე არასოდეს ეძახდნენ ჟვანიას, პრემიერს. ბევრჯერ ის ახალ სამთავრობო გადაწყვეტილებებს დილით გეზულობდა ჟურნალისტებისგან. ის ხშირად ცდილობდა მოეჩვენებინა მათთვის თავი ისე, რომ ყველაფერი იცოდა. სინამდვილეში კი ეს ასე არ იყო. თავიდან მას ეჩვენებოდა, რომ ეს იყო პოსტრევოლუციური სინდრომი და მერე ყველაფერი გამოსწორდებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

– რა იყო ამის მიზეზი?
– მიზეზი იყო მარტივი, არ აინტერესებდათ მისი აზრი და

მისი გავლენა სააკაშვილზე. „ღამის გარჩევებს“ ის არ ესწრებოდა, არც ასწრებდნენ იმიტომ, რომ მას სხვა აზრი ექნებოდა გარკვეულ საკითხებზე და არ აწყობდათ.

გავიდა წლები და ოქრუაშვილმა, უკვე ოპოზიციაში გადასულმა, თქვა დიად, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რამდენიმე ადამიანის ხელში, მათ შორის, ჩემს ხელში იყო პრაქტიკულად უსაზღვრო ძალაუფლება და ამან ძალიან დააზარალა ქვეყანა. ეს მართლაც ასე იყო.

ხელისუფლების ასეთ მიდგომას, არ შეიძლება არ მოეგონა ის ნაყოფი, რომელიც შემდგომში ვიხილეთ. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედი ეროსი კიწმარიშვილი, უდავოდ ენერგიული და ნიჭიერი ადამიანი იყო და მან მართლაც მრავალი სტრუქტურა შექმნა ტელევიზიაში, თუმცა, როდესაც



„რუსთავი-2“ ხშირად ამხინჯებდა ფაქტებს თუ მოვლენებს და პრაქტიკულად ლეზინფორმაციასაც ავრცელებდა და ამის შესახებ ვუთხარი თავის დროზე ჟვანიას, მან ეს ძალიან მტკივნეულად მიიღო და მითხრა – ნუ დაგავიწყდება, რომ ეროსი კიწმარიშვილი ჩემი პირადი მეგობარიაო.

„ვარდების რევოლუციის“ მერე ლიდერებში ეროსი კიწმარიშვილის მიმართ მოხდა დაპირისპირება. კერძოდ, ის მიიჩნევდა, რომ ამ რევოლუციაში მან და მისმა ტელევიზიამ შეასრულა გადამწყვეტი როლი და, შესაბამისად, ითხოვდა ძალიან ბევრს. იმ დროს ამბობდნენ, რომ ითხოვდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, საქართველოს რკინიგზას და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, მას ჰქონდა თავისი ამბიციები რევოლუციის შემდეგ. სწორედ ამ დროს მისი მეგობრობა ჟვანიასთან უკვე დასრულდა და პრემიერმა დააყენა სააკაშვილის წინაშე საკითხი, რომ ან მე დავრჩები ამ თანამდებობა-

ზე და მას არ გადაეცემა ეს ყველაფერი, ან ვტოვებ თანამდებობასო. სწორედ ამის მერე კიწმარიშვილი წავიდა ამერიკაში. იყო იქ საკმაო პერიოდი, 2008 წლის თებერვლიდან კი დაინიშნა საქართველოს ელჩად რუსეთში.

2008 წელს სააკაშვილის მიერ მოწვებილი სამხედრო ავანტიურის შემდგომ ის, ფაქტობრივად, აცხადებდა, რომ სააკაშვილი არ მალავდა თავის გეგმებს, კერძოდ, „ბლიც კრიგს“ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, და კარგად მასსოვს ამ დროს დაპირისპირება მოხდა გივი თარგამაძესა და მას შორის, ტელევიზიითაც გადაიციმდა, ფანქარი რომ ესროლა ამ განცხადებისთვის თარგამაძემ მას.

ბატონ ეროსის ჰქონდა ხასიათში ავანტიურისტული კომპონენტი, ისე, როგორც ბევრ ბიზნესმენს მსოფლიოში, იცოდა რისკზე წასვლა, არ ერიდებოდა კონფლიქტებს. მის სიკვდილთან დაკავშირებით რა მოხდა, იმეღია, ამას გამოძიება გაარკვევს, ის მე შემხვდა 9 ივლისს, გარდაცვალებამდე 6 დღით ადრე, „სააგენტო პირველში“ ჰქონდა მას ბრიფინგი და მის მერე ვისაუბრეთ და ვადასტურებ, რომ ის იყო ხალისიანი და ენერგიული, რომელსაც გვემუხებოდა ჰქონდა და იმის დაშვება, რომ ის ადგა და უცებ თავი მოიკლა – ეს ძნელი წარმოსადგენია. აქვე ხაზს ვუსვამ, რომ ასეთი ტრაგედიით სპეკულირებას ვერ დავიწყებ, ცხოვრება ისეთი რთული რამ არის, რომ მომხდარა მსგავსი ფაქტები, როცა ხალისიან და ბედნიერ ადამიანს თავი მოუკლავს.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ის გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე იმდენად, რამდენადც ჟვანიამ შეარჩია თავის ყოფილ თანამდებობაზე, როცა ის თავად გადადგა. ეს მისი არჩევანი იყო. ზოგადი დასკვნის გამოტანა რთულია, თუ „ვარდების რევოლუციის“ ყოფილ ლიდერებზე ვისაუბრებთ, მაგრამ ეს ფაქტები შემდგომში ცხოვრებამ დაადასტურა.



– ეღუარდ შევარდნაძემ, საერთაშორისო დონის პოლიტიკოსმა, რატომ ვერ მოახერხა „ვარდების რევოლუციის“ დამარცხება იმ დროს, მას პრაქტიკულად წინააღმდეგობაც არ გაუწევია...

– იმ წლებში ძალიან მძიმედ ავადმყოფობდა მისი მეუღლე, ქალბატონი ნანული. მასზე ამ

მიერ დაწესებულ მაღალ პროცენტებს ვერ იხდიდნენ ბიზნესმენები, რამაც გააძლიერა ქვეყანაში კორუფციის არსებობა, ფაქტობრივად, ის განხდა ტოტალური ქვეყანაში და შევარდნაძემ ამბობდა კიდევ, რომ თუ ჩვენ ვერ დავამარცხებთ კორუფციას, ის დაამარცხებს ქვეყანას – ასეც მოხდა. სხვათა შორის, მა-



ფაქტმა გამანადგურებლად იმოქმედა, პირადად ჩემთვის არაერთგზის უთქვამს, აქ კი არ უნდა ვიყო, პრეზიდენტის კაბინეტში, უნდა დავტოვო პოსტი და ჩემი ავადმყოფი მეუღლის გვერდით ვიყო. ეს იყო ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი მიზეზი მისი უმოქმედობისა „რევოლუციის“ დროს. უფროსი თაობის თანამდებობის პირები იმასაც ეუბნებოდნენ, რომ თუ წახვალ, მოვლენ ეს ახალგაზრდები და დაეკარგავთ აფხაზეთსაც და ოსეთსაც სამუდამოდ. ასეც მოხდა.

– ბატონო პეტრე, „ვარდების რევოლუციას“ და ახალი ხელისუფლების მოსვლას იმ დროისთვის გამეფებულმა კორუფციამაც შეუწყო ხელი, რაც შევარდნაძემ ვერ დაამარცხა იმ დროს და განხდა მსხვერპლი მძიმე შედეგებისა.

– 1998-1999 წლებში საბაზრო ეკონომიკა საკმაოდ განვითარდა საქართველოში, მაგრამ მსოფლიო სავალუტო ფონდის

შინდელი აშშ-ის ელჩი ურჩევდა შევარდნაძეს, დისტანცირება მოეხდინა საპარლამენტო არჩევნებისგან, თუმცა, რევოლუციის ლიდერებსაც აფრთხილებდა, რომ მოგა დრო, როცა თქვენ უფრო უარესად წახვალთ! აი, რას ნიშნავს გამოცდილება – ასეც მოხდა. ოთხივე ლიდერმა უარესად დაამთავრა!

ასე რომ, ეს შეთქმულების თეორიები, რომელიც ასე პოპულარულია დღეს ჩვენში და ამბობენ, რომ ამერიკა თუ რუსეთი მართავს ქვეყანას, არის მხოლოდ პროვინციული ჭორები და მეტი არაფერი.

დღესაც, ჯერჯერობით, საზოგადოებას არ აქვს იმის ძალა, რომ ისე გააკონტროლოს ხელისუფლება, რომ მან არ მოუყაროს თავის ხელში აბსოლუტურ ძალაუფლებას. სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში რომ კორუფცია იყო ქვეყანაში, შეუღარბებელია იმასთან, რაც „რევოლუციამდე“ იყო. ამიტომ ამ პროცესებში, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ვხედავ აბსოლუტურ კანონზომიერებებს.

„ვარდების რევოლუცია“, ფაქტობრივად, მოამზადა მამინ არსებულმა ხელისუფლებამ, მათმა ქმედებებმა, თუმცა ასევე კანონზომიერი მოვლენა არის ის, რაც შემდგომ მოხდა, ყველა ლიდერი საბოლოოდ დაამარცხდა, ცხოვრებამ ისინი გაინაპირა იმიტომ, რომ უფრო კორუფციული სახელმწიფო შექმნეს და განავითარეს ვიდრე მანამდე იყო, რისი მსხვერპლიც შექმნენ ბოლოს.

ბორის ფარულავა („ბასტი“)



მსჯელობა, მანქანა, ფარულავა, მარტინი — უნდოდათ, ხელი დაეძლია ღარიბაშვილისთვის, თამაზაშვილისთვის და ელიზბარაშვილისთვის, რომ ისინი მიკვთავდნენ პატივართა ნაშობის კალხის გადაღებას...

ბორის ფარულავა, „ბასტი“, გლდანის მე-8 საპრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორი, შემდგომ კი ოფიცერი იყო. თუმცა მან თითქმის ერთი წელიწადი პატიმრობაში გაატარა, როგორც გლდანის, ასევე სხვა საპატიმროებში. ქვემოთ, მის ინტერვიუში, პანორამულად იხილავთ იმ საშინელი დღეების ტრაგიკულს, რაც მან, როგორც პატიმარმა გადაიტანა. „ბასტის“ მონათხრობში დღეს, შეიძლება, ბევრმა ყოფილმა პატიმარმა „უჩვეულო“ ვერაფერი დაინახოს, რადგან მსგავსი რამის ან თვითმხილველნი არიან, ან თავად გადახედნიან თავს...

ეს ჩვეულებრივი მეთოდი იყო სააკაშვილისეული დემოკრატიული საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, რომელსაც ადვილად, მერაბიშვილი, კალმახელიძე და მათნი მსგავსნი ქმნიდნენ და მართავდნენ...

სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მეპარება ეჭვი იმაში, რასაც ბორის ფარულავა ჰყვება, არა იმიტომ, რომ ძალიან მალემრწემნი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ ვინც „ბასტის“ ერთხელ მაინც შეხვდება, შეუძლებელია მის სიმართლეში ვინმეს ეჭვი შეეპაროს...

— მე-8 საპრობილეში არ მუშაობდნენ მხოლოდ ბოროტი და გაიძვერა, მხოლოდ ცუდის მქნელი ადამიანები. როგორც ცხოვრებაშია, ისე იყო იქაც, იყვნენ კეთილებიც, ბოროტებიც, შურიანებიც, უბრალოებიც. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

ჩემს თვალწინ ხდებოდა უამრავი საშინელი რამ, მაგრამ ამის გამოვლენა და გამოაშკარავება მაშინ არსად არ ხდებოდა. მიკვირდა ეს. მე ცოტა ძველმოდური ბიჭი ვარ, შეიძლება, უბრალო, სოფელი და მიკვირდა, ალბათ, მაგრამ, რა გითხრათ, ჩვენს თვალწინ იყო ტკივილიანი, ტანჯული სახეები უდანაშაულო ადამიანებისა. ნებისმიერ სულიერს შეებრალებოდა ისინი, მათ თვალეში რომ ჩაეხედათ.

ამას ვუყურებდი გარკვეული პერიოდი.

— და არავის ეუბნებოდით?

— ვერ ვებედავდი, ვერ ვუმხელებდი ვერავის, არავის არ ვენდობოდი. მაგრამ, ეტყობა, ამას რაღაცნაირად მაინც გამოვხატავდი, ლობიბერად ვეპყრობოდი გაჭირვებულებს, ხელმძღვანელობას ეს არ მოსწონდა. ხან სამსახურიდან დათხოვნილი მე-მუქრებოდნენ, ხან — დასჯით.

თუ არ ვცდები, ერთი პარლამენტარიც მოიყვანეს, მათიანი, გულით დაავადებული იყო. ბინების წართმევა უნდოდათ მისთვის და წართვეს, ალბათ, კიდევაც. რატომღაც ეს კაცი სხვებთან ერთად კარანტინში შეაგდეს, გაუსაძლის პირობებში. 6-კაციან საკანში 20 ადამიანი იყო. ექიმიც რომ მოგვეყვანა, ხელმძღვანელობა არ გვაძლევდა ყურადღების უფლებას.

— რომელი წლიდან მუშაობდით მე-8 საპრობილეში?

— პროფესიით სამართალმცოდნე ვარ. დედისერთა და ჯარში არ გამოიწვიეს. შესაფერისი სამსახური რომ მეშოვნა, მირჩიეს, სამართალდამცავ სტრუქტურებში იმუშავე და ჯარში ნამსახურადაც ჩავეთვლებო. ვიფიქრე, ციხე უწყინარი საშუაოა, ვინმეს დაჭერა არ მომიწევს და დაჭერილებს კი მივხედავ-მეთქი.

2008 წლიდან 2012 წლამდე ვიმუშავე გლდანში.

— „ბასტის“ გემახიან. ციხეში შეგარქვეს?

— ბასტი“ დამარქვა ბატონმა ლადო ბელუკაძემ. მოგეხსენებათ, ვინც შემომხედავს, პირველ რიგში, ჩემი ყურები მოხედება თვალში. იყო ადრე ტელეგადაცემა ბავშვებისთვის, სადაც დიდყურებიანი თოჯინები გამოჰყავდათ. სიყვარულით დამარქვა ლადომ ეს სახელი. ისე ბორისი მქვია და ბუბასაც მემახიან მეგობრები.

— როდის ჩაერთეთ იმ „გემაში“, რაც შემდეგ განხორციელდა? კადრების გადაღებას ვგულისხმობ. თქვენ გადაგიღათ კადრები?

— გეტყვით ყველაფერს. კადრების გადაღების გადაწყვეტილება ლადო ბელუკაძეს ჰქონდა თურმე მიღებული და ამის შესახებ მოგვიანებით მეც მითხრა. არ ვიცი, რატომ მენდო, მაგრამ გამოიხილა.

— რომელ წელს?

— 2011 წლის შემოდგომა იყო. თვე არ მახსოვს.

ბატონ ოპერატიულ მორიგეს (ლადო ბელუკაძეს) ჰქონდა ოთახი, სადაც მოსვენება შეიძლებოდა. იქ ხან ესაუბრობდით, ვჭამდით, ვისვენებდით. იმ ოთახში გამოიხილა თავისი განზრახვის შესახებ. ეს ისეთი შოკი იყო, რომ მერე კარგა ხანს ვერიდებოდი, აღარ ვეპარებოდი საერთოდ.

— რა გითხრათ ასეთი?!



დავით ხუჭუა და გაბა მკურანლიძე

— მითხრა, რომ არსებობდა მამხილებელი კადრები იმ საშინელებების შესახებ, რაც იქ ხდებოდა და თუ შემეძლო, დავხმარებოდი ამ სიკეთის კეთებაში.

რამდენიმე დღის შემდეგ გადავლახე ყოველგვარი ეჭვი და ვუთხარი, რომ მზად ვიყავი ყველაფრისთვის.

დავიწყეთ ფიქრი, სად შეიძლებოდა ვიდუოკამერა ჩაგვემონტაჟებინა. საკნებში სად გადავვამალა კამერები. საიდან გამოი-

ნდებოდა უკეთესად კადრი და ა.შ. თავისთავად ცხადია, ეს არ იყო ადვილი ამბავი, რადგან კამერის ჩამონტაჟებას კი არა, თითოეულ მიზნა-მოზრას აკონტროლებდნენ, მაგრამ არ ვიცი, რაღაცნაირად შევძელით ეს.

— გადამღები აპარატურა იყო?

— ლადომ მითხრა, რომ აპარატურას, ანუ ღილსა და საათს

გთხოვთ ასე დაწერეთ: არასდროს არსად არ მითქვამს და არც შეიძლებოდა მეთქვა, ლომია მავალბებდა კადრების გადაღებას-მეთქი, რადგან ეს ასე არ იყო.

ლიად ვაცხადებ, ვიორგი ლომია იყო ის პიროვნება, რომელიც გვეხმარებოდა. ლომიამ გვეყვოდა აპარატურა და პირადად მე შემასწავლა მისი გამოყენება.

— აპარატურა?

— ეს იყო საათი და ღილი.

საათით იქ არსებული ბეჭი უკანონოა გადავიღე, რომელიც დღეს მთავარ პროკურატურაში ინახება.

საათის შეტანა ცალკე თემაა. მისი შეტანა ადვილი არ იყო.

— რომელი კადრებიც საზოგადოებამ იხილა, იქ თქვენი გადაღებული კადრები არის?

— მინდა ეს საჯაროდ დაფიქსირდეს. ჩემი გადაღებული კადრები, სადაც უნდოდათ, იქ ეჩვენებინათ, ოღონდ კატეგორიულად მოვითხოვდი, რომ, როგორც თანამშრომლის, ასევე პატიმრის სახეები დაფარული უნდა ყოფილიყო.

ცოტა ხანში სხვა სამსახურში გადამიყვანეს, ამიტომ საჭირო გახდა კიდევ ერთი ადამიანის პოვნა, რომელიც მე და ბატონ ლადოს გადაწყვეტილების განხორციელებაში დაგ-



9 გვ.

ფურცხვანიძემ ბრძანა: შეამოწმეთ საკანო, თან იღებდა თურმე ყველაფერს.

მერე მე მომიბრუნდა: დაარტყი, ბიჭო, პატიმარს, დაგვიტყვიც, რომ ჩვენიანი ხარო.

ეს სიტყვები ფურცხვანიძის გადაღებულ კადრებში არ ჩანს. საჭირო იყო, მე რომ ვურტყამ, ის დაფიქსირებულიყო, თორემ ფურცხვანიძის ბრძანება კი არა?! ერთი სიტყვით, დავარტყი პატიმარს. მორჩა, კომპრომატი ჩემს დასაკავებლად უკვე ხელთ ჰქონდათ, იმის დასამტკიცებლად, რომ თვითონ კი არ აწამებდნენ და სცემდნენ პატიმრებს, სინამდვილეში ეს ჩვენ ვიყავით, ხოლო კადრების ძებნა, რაც მათზე მეტყველებდა, ჩემს სახელში და ნათესავების სახლებში გრძელდებოდა თურმე.

იმის შესახებ, რომ მე ფურცხვანიძის ბრძანებით დავარტყი პატიმარს ხელი, ეს თვით პატიმრებმაც აღიარეს შემდეგ სასამართლოზე.

მე ერთხელ დავარტყი გამოლი ხელი პატიმარს. პირდაპირ მედღა და შევაძინე, უკვე ნაცემი იყო. ამასობაში ფურცხვანიძემ „დუბინკა“ მომაწოდა და მითხრა: პირში გათხარეო. მე ვერ გავაკეთე ეს. ფხალაძეს გადავცე „დუბინკა“. მანაც ვერ გააკეთა.

მაშინ ფურცხვანიძემ გამოგვიყვანა საკანიდან და რომ დაიკეტა საკანი, უსაფრთხოების უფროსი გაიქცა. სად მივიღვართ-მეთქი, კვითხე, სადაც გინდათ, იქ წადითო.

წავედით მე და ფხალაძე ღანკაში.

რამდენიმე წუთში დეპარტამენტის თანამშრომლები მოვიდნენ და „გასასაუბრებლად“ წამიყვანეს ღირებულების კაბინეტში. იქვე წამიყვანეს ბრალი. თავიდან ძალიან ბევრი ბრალდება მქონდა: ქრთამის გამოძალკვა, უფლებების გადაშლვა, ჯაშუშობა და სხვ. დამიჭირეს და მომაწერინეს ხელი ისე, რომ არც წამიკითხავს, რაზე მაწერინებდნენ. აღმნიანი იმედით ცოცხლობს, ვიფიქრე, რაც არის, არის, იქნება მთლად ცუდად არ წავიდეს საქმე-მეთქი. გაკრული ხელით მოვაწერე, რომ დამჭირდეს, ვიტყვი, ძალით მომაწერინეს-მეთქი.

ამასობაში ფხალაძე და ფურცხვანიძეც დაკავებული ყოფილან. ოთახში დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ბაბა მკურნალიძე** შემოვიდა და მიბრძანა: რასაც გეტყვით, დაწერო.

მე ვუთხარი: არაფერი მაქვს სათქმელი-მეთქი. მაშინ მკურნალიძე გამოეჩინა და წიხლი ჩამეცხო მეკრძღში, მერე თავში დამიწყო ცემა. პოლიციელებმა გააჩერეს.

ცოტა ხანში გვერდით ოთახში გამიყვანეს, სადაც შე-

მოვიდა **ლავით ხუჭუა**, მე-8 საპყრობილეს ღირებულონი მკურნალიძეც შემოჰყვა. შემოიყვანეს ფხალაძე და ფურცხვანიძე. მათ მითხრეს: თავს ნუ დაიღუპავ, თქვი, რასაც გიბრძანებენო. რა უნდა ვთქვა, რაც არ ვიცი-მეთქი. მაშინ კიდევ მეცა მკურნალიძე საცემრად.

მერე დილოში, პოლიციის სამმართველოში გადამიყვანეს, დროებითი მოთავსების იზოლატორში. არავითარი საბუთი არ გაუფორმებიათ, ამიყვანეს სადაც ზედა სართულზე ლიფტით, და ისე, რომ ფანჯრიდან ხის კენწეროებსაც კი ვერ ვხედავდი და იწყო ჯოჯოხეთი. ოთახში უცნობები დამხედნენ, იყო ორი ქალიც, ვიდეოგადამღებები, რომლებიც იმ ჩვენებას ჩაიწერდნენ, რაც მათ სჭირდებოდათ ჩემგან. ფურცხვანიძის და ფხალაძის ჩვენებები მაჩვენეს კიდევაც ვიდეოთი. მე მაინც უარი განაცხადე და მაშინ დაიწყო ჩემი ცემა. ხუთნი მცემდნენ, თავიდან ვინც მცემდა, იმ სამის სახის ამოცნობა შემიძლია, დამამახსოვრდა, დანარჩენები არ მახსოვს. ცემისგან რომ გავბრუნდებო, თვალები დავხუჭე და გულში გავიფიქრე: მოდი, მომკალით-მეთქი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, წიხლებით მცემდნენ, ხელით, მუშტებით. გავითიშებოდი, მომასულიერებდნენ და ისევ მცემდნენ, უნდოდათ, ხელი დამელო **ლარი-ბაშილიძის** და **მლიჩბარაშილიძის** და **მლიჩბარაშილიძის**, რომ ისინი მიკვეთავდნენ პატიმართა წამების კადრების გადაღებას.

— **ამას გთხოვდნენ პირდაპირ?**

— კი, ვინც მცემდა, ისინი მთხოვდნენ.

— **მერე?**

— კარგა ხანს მცემდნენ, სადაც შენობებში დავყავი საცემრად, ჩვენების მისაცემად. მაგრამ მე არ ვიცი, არც მეცნობოდა ის ადგილები და გათიშული ვიყავი მანამდე, სანამ პროკურატურაში მიმიყვანეს. პროკურატურამდე 19 დღე სად ვყავდი, არ მახსოვს. არც არავის გამოუძიებია ეს. არავინ იცის, სად ვყავდი.

— **საკანი იყო? ოთახი თუ რა, არც ეს გახსოვს?**

— ვიყავი სადაც სარდაფში. ნათურა მუდმივად ანთებული იყო. წყლის დასალევი ონკანიც არ იყო. გადაჭრილი მილი იყო

და იმაშიც წყალი ხანდახან მოდიოდა, იქვე ვეგლე მეც, სკამი არ იყო და არაფერი. შემოდიოლენ და მცემდნენ პერიოდულად, უნდოდათ მეთქვა, რომ ციხის კადრების გადაღებას მთხოვდნენ ღარიბაშვილი, თამაზაშვილი და ელიზბარაშვილი და მაიძულებდნენ, დამეღვა კადრები სპექტაკლივით, თითქოს ასეთი რამ არ ხდებოდა სინამდვილეში და „სპექტაკლების“ გადაღების ხელმძღვანელი იყო ბელუკაძე...

მაგინებდნენ, მცემდნენ და უცნაურ სიტყვებს მიწოდებდნენ, ტანმორჩილი რომ ვარ, უწმალურად მომმართავდნენ.

უნდა მეღიარებინა, თითქოს ღარიბაშვილი მიკვეთავდა წამებას, ბატონი პრემიერ-მინისტრის სიმამრი მაშინ პატიმარი იყო და თითქოს ის მეხმარებოდა, გარეთ ბატონი ღარიბაშვილი ფულს მამდივდა, აი, ეს უნდა „მეღიარებინა“. ისინი დავაგვარებინე და თავისუფალი იქნებო.

მერე აღეშვილი მოვიდა, მაშინდელი გენერალური პროკურორი.

— **სად მოვიდა?**

— არ მახსოვს, სად ვიყავი... იმ სარდაფში მოვიდა. მითხრა: გააკეთე ის, რასაც გეუბნები, თორემ შენ იცი, რა ემართებოდა ხალხს, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მიდიოდა, იცი, როგორ ქრებოდნენ, ოჯახს უწიოკებდნენო.

მე ვფიქრობდი: მაინც დალუპული ვარ-მეთქი და 19 დღის განმავლობაში ერთი ჩვენებაც არ მიმიცია არავისზე.

უარი რომ ვუთხარი აღეშვილის, გადამიყვანეს სადაც სუფთა ოთახში, ლამინატი იყო იატაკზე. ნიღბიანები დამხედნენ იქ. ოთახში მაგიდა იდგა. გადმობრუნეს და გულზე დამადეს, არ ვიცი, რითი, მაგრამ ის კი ვიგრძენი, ფეხის ფრჩხილზე რომ მომიჭირეს, 3 ფრჩხილი მომაგლივებს, თუმცა მე ერთის მეტი არ მახსოვს...

არსად არ აქვს ეს გამოძიებას დაფიქსირებული. მერე ექსპერტისა და მოვითხოვე ბატონი **სუბარისბან**, დავნიშნავთო, მაგრამ მო-

იტყვა... არსად არ დაუფიქსირებიათ, რომ ამის გარდა ხერხების დაზიანება მქონდა, ყბა მქონდა მოტეხილი, ნეკნები დეფორმირებული. ამ ამბების შემდეგ, მე-19 დღეს, ისევ ციხეში დავამიყვანეს.

— **რომელ ციხეში?**

— მატროსოვზე, სამარტლო საკანში და მას შემდეგ 9 თვე ისე ვავატარე, აღმნიანი არ მინახავს, სარკმელზე აფარებული იყო, არაფერი რომ არ დამენახა. ციხეში არ მცემდნენ. თუმცა ვავყავდი და იქ იწყოებოდა ცემა და წამება.

— **სად მიჰყავდით?**

— არც ბადრაგი ამბობს, არც არავინ. კაციშვილმა არ იცის, სად ვავყავდი და სად მცემდნენ. ციხის ადმინისტრაციამაც არ იცოდა, სად მიყავდი და ვის მცემდნენ და კვლავ ღარიბაშვილ-თამაზაშვილ-ელიზბარაშვილის ბრალდებულებას მთხოვდნენ.

თავიდან აღეშვილი მეუბნებოდა კიდევაც: აღიარე ის, რასაც გეუბნები და სადაც გინ-



დათია აქონია („ბუბუ“)

ძებ, ყველა საპყრობილე შემოვიარეო. დიდად მორწმუნე არასდროს ვყოფილვარ და მიკვირდა მერე, ასე რატომ დამეხმარა უფალი-მეთქი.

წასვლისას იმ მოძღვარმა გამაფრთხილა: არაფერი თქვა მამა გაბრიელზე ჩემი ხილვის შესახებ, თორემ გიჟი იყავი და რაღაც წამალს კიდევ გავიკეთებო.

ზუსტად 9 თვის შემდეგ, იძულებითი აღიარების მერე, გამათავისუფლეს. ეს მეორე დაბადება იყო ჩემთვის.

ჩემზე რა ძალადობებიც განცხობოციელდა, სარჩელები შეტანილი მაქვს პროკურატურაში არაერთხელ, მაგრამ რეაგირება დღემდე არ ყოფილა.

— **რამდენადაც ვიცი, მიუხედავად დიდი რისკებისა, ლალო ბელუკაძე შენს გამო დაბრუნდა უცხოეთიდან.**

— ბატონი ლალოს ადვოკატი **ელზა ჯამუხია** რომ შემოვიდა

ჩემთან, მაშინ შევეუთვალე ლალოს, არ ჩამოსულიყო აქ. არ ჩვენები უკვე ჩატარებული იყო, მაგრამ მაინც იგივე სახეებს ვხედავდი და არ მინდოდა, ისიც დაღუპულიყო. მე თავი გაწირული მქონდა და ის მაინც ყოფილიყო ცოცხალი, იქნებ ჯოჯოხეთს ბოლო მოეღობოდა.

— **წელან რომ თქვი, ერთ გაზეთში ინტერვიუ სხვანაირად გადააკეთესო. კერძოდ, რა გადააკეთეს?**

— მე არასდროს არსად არ მითქვამს, რომ **გიორგი ლომია** გვაავალბდა რაიმეს მე და ლალოს და მის დაგეგმვას ვახორციელებდით. ეს მე არ მიტყვამს, იმიტომ, რომ ეს არის ტყუილი. ლომია ჩვენს მხარეში იყო, რომ ვიღებოდა აპარატურას ჩვენთვის და ინახავდა გადაღებულ კადრებს, გეგმის მიხედვით უცხოეთში გასატანად.

მე არ უარყოფ ლომიას წვლილს ამ საქმეში. ეს დიდი საქმე იყო. ის დაგვეხმარა, მაგრამ საბოლოოდ რა მოხდა, ეს მის სინდისზე იყო.

— **ახლა სად ხართ, რას აკეთებთ. ბორის, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით ამდენი ცემა-წამების შემდეგ?**

— რაც შეეხება ჯანმრთელობას, რაც გამათავისუფლეს, როგორც ვითხარით, მას შემდეგ კარგა ხანს კიდევ ფსიქოტროპულ პრეპარატებზე ვიყავი დამოკიდებული. ძლივს შევძელი ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა, თუმცა რაღა ნორმალურია, წესიერად ახლაც არ მძინავს, ფიზიკურადაც არ ვარ კარგად, მაგრამ იმედია, ყველაფერი გაივლის.

ამჟამად ვცხოვრობ მარტვილის რაიონში, დიდიჭყონში დედ-მამასთან ერთად, ვნატრობ, იქნებ ერთი პატარა სამსახური გამომიჩნდეს, რომ მოხუც მშობლებს დავეხმარო...

გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ ბიორხელიძე:

ბატონო დემურ, ბოლო დროს გააქტიურდა საუბრები ხუთეულის – რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიისა და სამხრეთ-აფრიკის კავშირის შესახებ. საუბრობენ რომ ერთიანი საფინანსო ფონდის შექმნა დიდი მსოფლიო სავალუტო ფონდის ანალოგი იქნება. რას გვიქვამის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ძალთა ბალანსის შეცვლა?

ძალიან საინტერესო კითხვაა და კიდევ უფრო საინტერესოა ის პროცესები, რაც მიდის. საქმე ისაა, რომ ლათინო-ამერიკასთან ჩინეთისა და რუსეთის დაახლოების პროცესი, აშშ-სთან ლათინური-ამერიკის მთავარი სახელმწიფოების ურთიერთობების გაძლიერების ფონზე მიმდინარეობს. ბუნებრივია, ასეთ უზარმაზარ მზარდ რეგიონს, რომელიც სერიოზული ზრდის პერსპექტივებითა და პოლიტიკური სტაბილურობით ხასიათდება, უკვე სერიოზულ ყურადღებას აქცევს და მილიარდობით ინვესტიციებს ახორციელებს როგორც ჩინეთი, ასევე ზალიან გააქტიურებულია რუსეთიც, რომელიც ძალიან გააქტიურდა და საკმაოდ წარმატებითაც. საინტერესოა, ბანკის შექმნის იდეა. იგი ჩვეულებრივი ბანკისგან განსხვავებით, ერთობლივ ინტერესებზე იქნება დაფუძნებული და განვითარებას შეუწყობს ხელს. ბრიკის – რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია და სამხრეთ-აფრიკა უზარმაზარი სივრცეა და რა თქმა უნდა, მას, პირველ რიგში, ეკონომიკური დატვირთვა აქვს, რაც პოლიტიკური დატვირთვისგან განსხვავდება. აქვე აღვნიშნავ, რომ რთული პროცესი მიდის ევროპაშიც. ფაქტობრივად, უკრაინის კრიზისი – ეს არაა დაპირისპირება რუსეთსა და უკრაინას შორის, არამედ ბრძოლა ევროკავშირის უზარმაზარი, ასობით მილიარდის მოცულობის ბაზრისათვის. კრიზისი, რომელიც 2008 წელს მიიღო მსოფლიოს მოედო ჯერ ფინანსური და მერე სერიოზული ეკონომიკური კუთხით, დაძლეული არაა. ეკონომიკა თავისი კანონზომიერების ფარგლებში ფუნქციონირებს. გასაღების ბაზრებზე ბრძოლა დომინირებულ ფაქტორად რჩება. საქართველოში ჰგონიათ, რომ იდეებისთვის ვიღაც დემოკრატის ამყარებს და ვიღაც სიბნელის მქადაგებელია. ეს იდეოტიზმი იდეა-ფიქსების მონური მსახურებისა და აბსოლუტურად მცდარი პოლიტიკის შედეგია.

ბრიკის თანხმდება, რომ ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობა დოლარზე კი არა, არამედ მათთვის მისაღებ ერთიან ვალუტაში მოხდეს, რაც შეიძლება ჩინური იენი იყოს, ეს დოლარისთვის გამოცხადებული იმია?

ბუნებრივია, ეს პროცესი ცოტა უფრო ადრე დაიწყო, როცა რუსეთმა და ჩინეთმა მილიარდობა კეს, რომ ანგარიშსწორება რუბლსა და იენს შორის განხორციელებინათ, ანუ ჩინეთ-რუსეთის სავაჭრო, სავაჭრო ურთიერთობებში დოლარი, პრაქტიკულად, ამოგდებულა. არ ვფიქრობ, რომ ეს უმეტესწილად პროცესია იმიტომ, რომ დოლარის შესწორება ავტომატურად უკავშირდება იმ სერიოზულ პრობლემებს, რაც აშშ-ს ეკონომიკაშია, რაც 20 წლიანი არასწორი პოლიტიკის შედეგია. ამის მწვერვალი 2000 წელი იყო, როცა ამერიკელები დიდ კრიზისს გადაურჩნენ, ამიტომ, წარმოებები სასწრაფოდ აშშ-დან ჩინეთში გაიტანეს. ახლა, უკვე, 2014 წლის თავზე უკუბრუნდებიან. საქართველოში ბარაკ ობამას პოლიტიკა შეუქმნეველი დარ-



რას უქადაგებს საქართველოს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ძალთა ბალანსის შეცვლა?

ტყუილად უთხარით „დარმაედებს“ — ევროკავშირში შევალთ და უზრუნველად ვიცხოვრებთ — ევროკავშირი საქველმოქმედო ორგანიზაცია არაა

ჩა, არადა, იგი, სწორედ უზარმაზარი პოტენციალის უკან დაბრუნებას ცდილობს. ჩინეთში იაფი მუშახელი აღარაა, ხელფასები გაიზარდა, საშუალო კლასი საკმაოდ პრეტენზიული გახდა. ამიტომ, დიდი ეკონომიკური ეფექტი, გარეთ გატანას, არ აქვს. წარმოდგინეთ, „ეფლო“, რომელსაც აშშ-ში ათი წელია არაფერი უწარმოებია, არიზონაში უზარმაზარი ქარხნის მშენებლობას აფინანსებს. ასევე, სხვა დიდი კომპანიებიც. რთული პროცესია — ბრძოლა, დაძაბულობა, ყველაფერი ეკონომიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მიდის ჩვეულებრივი საინფორმაციო ომები. მსოფლიოს მთავარ მოთამაშეებს შორის ბრძოლა კი ძალიან მარტივ რამეზე მიდის, რომლის გარეშეც რაიმე განვითარებაზე საუბარი ძნელია — ვინ შეიძლება მსოფლიოს ყველაზე უფრო წამყვან და მოცულობით ბაზრებს დაეუფლოს. ევროკავშირი, ამ შემთხვევაში, პასიურ როლშია, რადგან მას მძლავრი პოლიტიკური ძალა არ გააჩნია, ამორფული სტრუქტურაა. ევროკავშირი, არასწორი პოლიტიკის შედეგად, თანდათან, შესანიშნავად გრძნობს, რომ საკმაოდ რთული პერიოდი დგება — კერძოდ, აშშ-სა და რუსეთის დაპირისპირება, ევროკავშირში საერთოდ უყურადღებოდა დატოვებული ჩინეთსა და აშშ-ს შორის ინტერესების დაპირისპირება, არადა საშუალო კლასის, შემოსავლების დონის შემცირება, ადამიანებს, ევროპაშიც და აშშ-შიც ჩინური იაფი პროდუქციის შესყიდვას აიძულებს იმიტომ, რომ ეს, გარკვეულწილად, მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ეს კი, გარკვეულწილად, ისეთ სიტუაციაში, როდესაც აშშ-ში სერიოზული პრობლემებია, რა თქმა უნდა, კონკურენციის გაძლიერებას იწვევს და მიდის ბალანსების, გაწონასწორების, შეკავების მექანიზმების ძიება.სამწუხაროდ, უკრაინას ძალიან სუსტი პოლიტიკური ელიტა ადმოაჩნდა, მათ, პრაქტიკულად, საკუთარი ქვეყანა გაწირეს. ამიტომ, მალე ენახავთ, რომ უკრაინას ძალიან გაუჭირდება. უახლოეს თვეებში გამოიკვეთება უკრაინის მომავალი, რომელიც კლასიკური დაშლადი

ქვეყანაა და მას, უკვე, სახელმწიფოდ ველარავინ აქცევს. ასე, რომ უკრაინის საკითხი წლის ბოლომდე გაირკვევა — დარჩება კი იგი ევროპაში ერაყის ანალოგად, თუ შემლებს კიდევ თავის გადარჩენას. ჯერჯერობით, ამის იმედები, არ ჩანს.

ვცდილობ სიტუაციაში გავერკვე და მოსალოდნელი ტრაექტორიების შესახებ წარმოვდგენა მქონდეს. ჩემი საინფორმაციო უზრუნველყოფა, ძირითადად, ამერიკული, ევროპული და აზიური წყაროებია.

რა დასკვნების გაკეთება შეგიძლიათ ამ წყაროებზე დაყრდნობით?



შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიოს წინ ურთულესი პერიოდი ელის, განსაკუთრებით, ცუდ მდგომარეობაში ჩვენ ვართ. ჩვენი ილუზიები, ტრამპანტი, რეალობას მოკლებულია. ჩვენ იმ ევროპისკენ მივდივართ, რომელიც 5-10 წელიწადში შეიძლება ისეთი ევროპა არ იყოს, როგორც წარმოგვიდგენია ან გვიჩვენა. მაგრამ ეს ჩვენი ერთადერთი სტრატეგიაა იმიტომ, რომ თუ ეს გზა არ მოგვინჯვით, მართლაც არ ვიქნებით. იქნებ გაამართლოს და საქართველოში დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოს მოდელი რეალიზდეს. თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ ევროკავშირის წევრები გავხდით, რაც ძალიან საუკვოა, და ბულგარეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნებზე ვით დავრჩით, ეს არაფერში

გვაწვობს. 16 ივლისს ევროკავშირის სამიტი დაიწყო. გითხრათ სიმართლე, სამიტზე, ერთიანობა არ არის, პირიქით, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა კემერონმა ძალიან სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ, რადგან ისინი თავიანთი პრობლემების მოგვარების მიზნით საკუთარი მოქალაქეების ევროკავშირში გამოდევნის პოლიტიკას დაადგინენ. ამიტომ უზარიათ საქართველოში „დარმაედებს“ — სავიზო რევიზიის გავამარტივებთ და ევროპაში სამუშაოს ადვილად ვიშოვით. ეს არ არის პოლიტიკა. ევროპასთან ურთიერთობა, ასოცირება იმიტომ გვჭირდება, რომ საკუთარი

ვილიზაციური შეცდომა დაუშვა და რაც დღეს გავაკეთეთ ევროკავშირთან ასოცირება და ა.შ. სწორედ იმ შეცდომის გამოძახილია, რუსეთი იმკის იმ შეცდომის შედეგებს, რამაც ჩვენ სავალალო მდგომარეობაში ჩაგვავლო, უფრო მიზანმიმართული გავგზავნა. თუმცა ჩვენ შიდა სერიოზული პრობლემები გვაქვს და ჯერჯერობით, პოლიტიკური პროფესიონალიზმი ძალიან დაბალ დონეზეა, პასუხისმგებლობა კი თითქმის განულებულია.

საწესდებო კაპიტალი 100 მილიარდს შეადგენს, რომლიდანაც 48 მილიარდი მხოლოდ ჩინეთისაა.

დრო გვიჩვენებს, თანამშრომლობა, როგორ განვითარდება. ჩინეთს საკმაოდ დიდი რეზერვები აქვს, ასევე დიდი რეზერვები აქვს რუსეთსაც, იგი თავის პორტფელში ამერიკულ საზაზინო ვალდებულებებს თანდათან ამცირებს. ასე, რომ ძალიან, ძალიან მძიმე პროცესს უნდა ველოდეთ. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ აქ, ილუზიებზე არავინ არ თამაშობს და დემოკრატია-არადემოკრატიულობაზე აპელირება უბრალოდ, სულელების ხვედრია. უნდა გვესმოდეს, რომ სასიცოცხლო ინტერესების დაპირისპირებაზეა საუბარი, ბალანსები მთავარ მოთამაშეებს შორის მიღწეული არაა. ერთი ქვეყანა ვერ იქნება დომინანტი. აშშ-ს მცდელობა ლათინო-ამერიკასთან ურთიერთობის გარკვეულწილად შეზღუდვის და ევროპის ბაზრის სრული კონტროლისაკენ, დღეს, ამერიკის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა. მაგრამ ევროპას თავის ინტერესებზე აქვს ჯერჯერობით, ცუდად გამოხატული, მაგრამ ევროკავშირის ზონაში საკმაოდ პრაგმატული ხალხიცაა. ისინი ფიქრობენ, რომ ერთიანი სივრცე, რომელიც ევროკავშირისა და აშშ-ს სუბიექტის გაერთიანების კვალაზე დაიწყო, ევროპის ქვეყნებში, სპეცსამსახურების კონტროლის გამო, ძალიან სერიოზულად იქნა დამუხრუჭებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო სკანდალი. მოკლედ, ამ სკანდალების გამო კიდევ ახალ სერიოზულ დაპირისპირებებს უნდა ველოდეთ, მაგრამ როგორი იქნება შედეგი, ამის პროგნოზირება, არავის შეუძლია. დღეს, ამ დაპირისპირებას უკრაინა ეწირება. უკრაინელები დათანხმდნენ, რომ საკუთარ თავს ხარაკირი მოუწყონ.


საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. ჩინეთს საკმაოდ დიდი მოსახლეობა ჰყავს, მათ მიწები არ ჰყოფნიან. ციმბირს საფრთხე ზომ არ ემუქრება?

იცით რაშია საქმე, ურალს იქითა რუსეთის მოსახლეობის სიმჭიდროვე, რა თქმა უნდა, ძალიან დაბალია და ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სასიკვდილო პრობლემა, რაც რუსეთს გააჩნია, ეს სწორედ

რას უნდა სთავაზოთ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ რუკაზე ქალბატონის პოზიცია?

11 გვ.

დემოკრატიული პრობლემა. მართალია, ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა, 10 წლის თავზე, რუსეთს რაღაც შედეგი მისცა და ნელ-ნელა დემოკრატიული მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ იგი თანამედროვე, ცივილიზებული, კონსტიტუციური წყობის ქვეყნად ვერ ჩამოყალიბდა. მათთვის, მაინც, სულ სხვა, სპეციფიკური მეთოდები ღმინირებას. ვერ გეტყვით, რომ ეს, მომავალი განვითარებისთვის, ეფექტური მეთოდები იქნება, მაგრამ რუსეთის ისეთი არიან, როგორებიც არიან. ისინი თავიანთ ქვეყანას ისე ხელავენ, როგორც ხელავენ და ჩვენ მათ წარმოდგენებს ვერ შევცვლით. ჩვენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, მეზობელი ქვეყნის შეხედულებებს პრაგმატულად უნდა მივუდეთ. მათ უნდა გავაგებინოთ, რა გვინდა და მათაც უნდა გავაგებინოთ, რა უნდათ. არის ერთი თემა, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობაში ვერ ავცდებით და რასაც ვერავითარი აშშ, ევროკავშირი, ნატო ვერ შეცვლის – რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ღმინირებული არა ეკონომიკა, არამედ უსაფრთხოების საკითხები. თუ ჩვენ ერთმანეთს ნდობით არ მოვეკიდებით და ერთმანეთს საფრთხეებს შევუქმნით, შედეგს ვერასდროს მივაღწევთ. ჩვენ გვავიწყდება, რომ სამხრეთ-კავკასიაში ვცხოვრობთ, რაც გვაძილებს ფხიზლად, ფრთხილად ვიყოთ და ის რეალობა გავიაზროთ, რომელიც ჩვენს ირგვლივ ყალიბდება. ჩვენთან, უშუალოდ სახელმწიფო – ახლო-აღმოსავლეთში დაძაბულობაა. ასევე, სამხრეთი დაძაბულობა უკრაინაში, პაკისტანში. ამას ემატება შუა-აზიის რეგიონის, კასპიის და ირანის ნავთობის ევროპისკენ ტრანსპორტირების ტრასების გაურკვევლობა. ამ რესურსებზე და ტრასებზე კონტროლის გაურკვევლობა, სამხრეთ-კავკასიის, ძალიან სახიფათოს ხდის. აქ, თუ საგარეო პოლიტიკა ფილიგრანული ტექნიკით არ განვითარებ, კრახი გარდაუვალი იქნება. ამიტომ, ეს ყველაფერი, რაც ხდება, მაშინვე განსაკუთრებით



კი ის უდარდლობა, რომ ერთ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, რომელიც აშკარად პოლიტიკური უფროა, ვიდრე დღევანდელი გადასახედიდან, ეკონომიკური დატვირთვისა, ქართულ ხელისუფლებას დიდი რეზერვების გატარების სტიმულს არ აძლევს. თავისთავად ხელმოწერილი ხელშეკრულება ფართინა ქალაქი და სხვა არაფერი. სერიოზული მცდელობები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციისა არ იქნა, ამ ხელშეკრულებიდან ვერანაირ შედეგს ვერ მივიღებთ.

– ამ ხელშეკრულებიდან ყველა ქვეყანას რაღაც რესურსი აქვს, მაგალითად, სამხრეთ-აფრიკის მდინეები. ამ კუთხით რამდენად შეიძლება დაზარალებული შეიძლება აშშ?

– როგორც ჩანს, ამერიკა უახლოესი ორი-სამი ათეული წელი ერთ-ერთ ყველაზე უძლიერეს ქვეყნად დარჩება, მაგრამ უკვე აშკარაა რომ იგი, ერთადერთი, ვერ იქნება. ამის თაობაზე აშშ-ში ანალიტიკური ცენტრები საუბრობენ. საუბარია ახალი ძალოვანი ცენტრების გაჩენაზე, გარკვეულ ინტერესებზე. არამდინა ეს ახალი ცენტრები ომისთვის იყენებენ მოწადინებული იმიტომ, რომ ომში ყველა ვერ მოიგებს, გამოირიცხვება, თანამედროვე ომში, გლობალურ დაპირისპირებაში ვინმე გამარჯვებული დარჩეს. დიდი სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად გადარჩებიან, მაგრამ ჩვენ ვიკითხოთ. ამი-

ტომ, არ ველი ძალისმიერ დაპირისპირებას, მაგრამ ველი სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას იმიტომ, რომ იგივე უკრაინის პრეცედენტი გვეუბნება – ევროპისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრი იქნება. ვერ ველოდები წინაა, მათ შორის, სერიოზული დაპირისპირებაც. მოსალოდნელია კონფლიქტებიც. როგორც კამერონმა განაცხადა, უახლოეს წლებში, ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე რეფერენდუმი დაიწყება, ამას სხვებიც აპირებენ, უკვე რა მოხდება ძნელი სასაუბროა. ასე, რომ ვერაინ ვერავის სანაგვეზე ვერ მოისვრის. ეს დაპირისპირება იქნება. ჩვენ უბრალოდ გონიერებას უნდა მოვუხმოთ და გავიაზროთ, მსოფლიოში რა ხდება. პროფანული, დილეტანტური მოსაზრებების გამოთქმის ნაცვლად, უმჯობესია, ქართველებმა ორი კითხვის დასმა ვისწავლოთ – რა ხდება და ვისთვის არის ეს ხელსაყრელი. სანამ ადამიანი სერიოზული საბუთების, არგუმენტების მოშვებით ამ ორ კითხვას არ უპასუხებს, მანამდე ყოველთვის ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის მონა იქნება. ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მონა თავის ფსიქოლოგიით მონაა, გინდა ჩრდილოეთზე იყოს ორიენტირებული და გინდა დასავლეთზე.

– თქვენ ახსენებთ, რომ ჩვენ ილუზიებში ვართ, მოდით კონკრეტულად ვთქვათ, რა საფრთხეებს შეგვიქმნის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ძალთა ბალანსის შეცვლა?

– ძალიან სერიოზული საფრთხეების წინაშე ვართ. ეს საფრთხეები იზრდება და არ იკლებს. საუბარი არაა იმაზე, რომ საფრთხე გველის და ჩრდილოეთში შევიდეთ, ანდა ახლა, ალტერნატივა გაჩნდა და დასავლეთს შეგაფაროთ თავი. სამხრეთ-კავკასიიდან ვერსად წავალთ. ეს არ ესმით არაოლიტიკური აზროვნების ადამიანებს. იქ, სადაც მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრია, უახლოესი 30-დან 50წლამდე, საგარეო და საშინაო პოლიტიკას დისბალანსებზე და ცალმხრივ პოლიტიკაზე თუ ააგებ, ყოველთვის კისერს მოიტეხს. ჩვენ 22 წლის მანძილზე კისერი მოვიტეხეთ, ახლა დაგვრჩა კიდევ ცოტა, რომლის მოტეხვის შემდეგაც მოსატეხიც აღარაფერი დაგვრჩება. პერსპექტივაში საშიშროებები უზარმაზარია და ასე მარტივი გადაწყვეტილებები, რომ სადაც შემგვრები, რაღაცას ხელს მოაწერ და კარგად იქნები და გააგრძელებ ქიფს, დაუშვებელია. ჩვენ ეს ეტაპები გავიარეთ და არაფერი შეგვცვალეთ. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, რამდენიმე საუკუნის წინ, ერთმანეთს თავპირს ამტვრევდა, ოსმალ სეზობა თუ სპარსი. ახლა ჩვენ იგივე სიტუაციაში ვართ, ოღონდ, ვმსჯელობთ დასავლეთი სეზობს თუ რუსეთი. სქემა, აზროვნება ვერ შეგვცვალეთ და დაგვაიწყვდა, რომ გამოსავალი მხოლოდ საქართველოში, ქართველ ხალხში, მის გონიერებაში, განათლებულ, საღ და პრაგმატულ პოლიტიკაშია.

– როგორ ფიქრობთ, რუსეთი ხუთეულში შევლით უფრო მეტად ხომ არ შეეცდება საქართველოში თავისი ინტერესების გატარებას?

– ამ სივრცეს, ერთპიროვნულად, ვერცერთი ძალა ვერ დაეუფლება, ეს ილუზიაა. კიდევ ვამბობ, გაჩნდა კასპიისა და ირანის ნავთობი როგორც წავა ევროპისკენ, რა ფრთხვებით, როგორი იქნება კონტროლის ბალანსი. ილუზიები იმის შესახებ, რომ სამხრეთ-კავკასიაში ღმინირებული ამერიკელები იქნებიან, ან რუსები, ან თურქები, ან ევროკავშირი, ეს უბრალოდ, არასერიოზული მიდგომაა. სასურველია დიდმა მოთამაშეებმა ბალანსები მოძებნონ, ჩვენ კი ჩვენი ინიციატივებით ხელი შევეწყვიტოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სულელური პოლიტიკა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა და ფაქტობრივად, დღესაც უცვლელია, ძალიან მძიმე შედეგებამდე მივყავართ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პროექტის „სამხრეთ-კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე“ პრეზენტაციის შემდეგ, წიგნმა „საქართველოს არჩევანი“, რომლის ავტორიც ზურაბ ხონელიძე გახლავთ, საზოგადოების ფართო წრეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია. ახლახან, წიგნის გარშემო დისკუსია რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა. შეხვედრა ამავე უნივერსიტეტის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის, დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრისა და ჟურნალ „კრიმინოგენის“ ეგიდით ჩატარდა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტმა არამარტო სამეცნიერო წრეების, ანალიტიკოსების, ექსპერტების, არამედ ახალგაზრდების დიდი დაინტერესება გამოიწვია. შეხვედრას უნივერსიტეტის სტუ-

ახლენ და ქვეყნის ბელს განსაზღვრავენ. აღსანიშნავია, რომ არჩევანს საქართველო აკეთებს, ეს ჩვენი უპირატესობაა. ხომ უნდა გავბელოთ და გადავდგათ ეს ნაბიჯი? ხვალ და ზევ გვიან იქნება. ის პროცესები, რაც მსოფლიოში მიდის, იქითკენ გვიბიძგებს, რომ ახალი პროექტი წარვსდგეთ – უპასუხა ხონელიძემ. თავისი კითხვა დააფიქსირა ვემალ გახლიძემაც: იდეა მისაღება, მაგრამ ჩნდება კითხვები – რამდენად მიღწევადია, რა გზით ვიაროთ და რა ინტერესი უნდა გაუჩნდეს თამაშის ყველა მონაწილეს, რათა ამ იდეის ხორცხესხმაზე წამოვიდეს? საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ეკონომიკის ექსპერტმა ვაჟა ბერიძემ: 1555 წლიდან იმპერიებს მივსდევთ, მათ შორის ვართ გახლენილი. 30 წელია



საქართველოს არჩევანი

შეხვედრა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში

დენტებიც ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრის წამყვანმა აღნიშნა, რობაქიძის უნივერსიტეტი ყოველთვის მხარს უჭერს ახალ ინიციატივებსა და პროექტებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროექტის თაობაზე, საზოგადოებამ, პირველად „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციით შეიტყო.

როგორ გამოვიდეთ იმ მდგომარეობიდან რაშიც დღეს ვართ, რა არჩევანის წინაშეა დღეს საქართველო, რა გადავარჩენს, ამ საკითხებზე თავად ავტორმა ზურაბ ხონელიძემ ისაუბრა: „ეს გლობალური პროექტია, რომლის განხორციელებაზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ და ამ საქმეში თითოეულმა ჩვენგანმა თითო აგური დავდოთ“. ხონელიძის თქმით პროექტი არაა მხოლოდ ქართული, რადგან ასე მისი განხორციელება შეუძლებელი იქნება. პროექტი საერთო ინტერესებზეა მორგებული და აზერბაიჯანის და სომხეთის ჩართულობას ითვალისწინებს.

რატომ სამხრეთ-კავკასია? როგორ დაეუბრუნდეთ ისტორიულ ფესვებს? როგორ შეგვცვალთ ამოცანის პასუხი? ამ და სხვა კითხვებზე, ავტორმა დისკუსიის მსვლელობისას უპასუხა. ავტორს შეკითხვები ცნობილმა ექსპერტებმა და მეცნიერებმაც დაუსვეს, ასევე გამოითქვა საინტერესო მოსაზრებებიც. ანალიტიკოს დემურ გიორგულიძის შეკითხვას – ხედავთ თუ არა საფრთხეებს იმ კუთხით, რომ იზოლირებული სამხრეთ-კავკასიის იდეა შეიძლება სხვა უფრო დიდ გლობალურ პროცესებთან შეუსაბამობაში მოვიდეს, ავტორმა უპასუხა.


შეკითხვა დაისვა გურამ გვეტაძისგანაც: თუ გაიმართა ამ თემაზე კონსულტაციები მეზობელ სახელმწიფოებთან? – აზერბაიჯანში საუბარი გვექონდა იმ პირობით რომლებიც აზრის ფორმირებას

ვერც ეკონომიკა შევქმენით, ვერც დამოუკიდებელი ინსტიტუტები და როგორც ციფვი ბორბალში ისე ვტრიალებთ. ვითარება უკიდურესად მძიმეა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ახალი ხედვის, პარადიგმის ჩამოყალიბება, რასაც საქართველოს არაფერ სთავაზობს. რთული პროცესები მიდის – ინგრევა დიდი სივრცე უკრაინა, დასავლეთის კურსი რუსეთის დეზინტეგრაციაზე, განადგურებისკენაა მიმართული. ამ ფონზე ელიტებმა თავის ქვეყნებს უნდა მიხედონ. აქედან გამომდინარე, ხონელიძის ხედვა უადრესად საყურადღებოა. ბატონი ზურაბის კონცეფციას გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს გიორგი ანაბაძემ მიმართა: პროექტს გავცანო და ძალიან მომეწონა, აქ ჩანს სურვილი გამოსავლის მოძიებით პრობლემის გადაწყვეტისა. ამიერკავკასიაში სამი ძირითადი ძალა თუ ერთიანი სივრცის შექმნას მოახერხებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს ერთად გადაწყვეტს, მაშინ დომინანტი ქვეყნებისთვისაც უფრო მეტად მისაღები, ანგარიშგასაწიფი ძალა ვიქნებით.

შეხვედრის დასასრულს აღინიშნა, რომ მხოლოდ პერიოდულად შეკრებებით არაფერი გამოვა, საჭიროა ორგანიზაციულ ჩარჩოებზე ფიქრი, რათა ეს იდეა განხორციელდეს. ხომ ნათქვამია: მომეცით ორგანიზაცია და მსოფლიოს გადავებრუნებ. ვინ უნდა შესხას ხორცი პროექტის განხორციელებას? – აკაკი ასათიანის აზრით, ეს საქართველოს ინტელექტუალურმა ელიტამ უნდა გააკეთოს და თანდათანობით, მთელი საზოგადოების მთავარი ამოცანა გახდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24



სერბი სეზაია

გაბრძენა. დასასყინი
ნ. ნინა გოგოლაშვილი

ეს კიდევ რა! როგორც ვახსოვთ, მიმდინარე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიდან წინამდებარე ე. წ. 24-ე ყრილობამდე ხაშურის, ქარელის, გორის, საჩხერის, კასპის, ახალგორისა და ა.შ. იმ სოფლებიდან, რომლებიც საოკუპაციო ხაზთან მდებარეობენ, აგრესორებმა და ოკუპანტებმა გაიტაცეს, დაიხ, ქართული მიწიდან ტყვედ წაიყვანეს ჯონჯოლის მკრეფავი და ძროხის მწყემსავი დედაბრები, ხეობარი მოხუცები, ქიტესა გლეხები, უწყვეტად ჭაბუკებიც კი. დაახლოებით იგივე ხდებოდა მდინარე ენგურის გასწვრივაც. სხვადასხვა ცნობით, ორივე ოკუპირებულ რეგიონში ზემოთ მითითებული დროის მანძილზე მოხდებოდა 80-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი დააპატიმრეს, აწამეს, შეურაცხვეს, სულში ჩაფურთხეს, დახარალებს... ხმაძალა, ვიძიორებ, მათ შორის მშვიდი, კინაღამ მიხრწნილი დედაბრებიც იყვნენ, რომლებსაც ჯონჯოლის ჩამწნილებით უნდა მოეკლათ შიშხილი. ის კი არადა, ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ტყვეთა სეიდვა, მონათმფლობელობა და კატორღა ჩვეულებრივ ყოველდღიურად იქცა, რისთვისაც სათანადო ნედლეულად ისევ და ისევ ქართველები გამოიყენებინან.

როდესაც ასეთი ეროვნული თავზარისადმი დამოკიდებულება მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საანგარიშო მოხსენებაში არ აისახება, იქ გათელილია დიდი გალაკტიონის მიწოდება, „დრო, დრო აღნიშნე...“ ასეთ უღარდებლობას, ჩანს, უფრო ღრმა მიზეზიც აქვს, — აქ დიდი ხანია, „ერის წყლული მანდეს წყლულად...“ არ გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის მესვეურ ნაწილში მსოფლმხედველობრივი სვლაგეზი.

უფრო მეტიც, 2014 წლის 20 მარტს ისტორიულ პერიოდში, დღეს აზერბაიჯანის მფლობელობაში არსებულ ქ. კახში, საკუთარ სახლებში ოჯახებითურთ ამოხოცეს მძები ბესარიონ და იასე როსტიაშვილები (როგორც ვახშაურად, მკვლელობა ისლამური რიტუალის შესრულებით მომხდარა — ყელის ნიშნადობლივი ჭრილობა). ამის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის ყოფილა, რომ მათ ქართული ოჯახები ჰქონდათ. იქნებ, გამოძრმა, თქვენ გვითხებით, ამასთან დაკავშირებით არ უმდა გაესაჯარისებინა სათანადო განცხადება და სამხმარი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობას?! ოღონდაც! „პროზის რაინდი“ და „პოეზიის დელოფალი“, ეტყობა, ამ დროს დახლოთან იდგნენ და „ვიდაც“ როსტიაშვილებისთვის ხომ არ მოცდებოდნენ!

ეს კიდევ რაა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი საეჭვოდ გაიტრუნა მიმდინარე წლის 6 მაისსაც, როდესაც გიორგობის დღესასწაულზე საქართველოდან

„პროზის დელოფლისა“ და „პროზის რაინდის“ მიერ ოკუპირებული მხარეთა კავშირი — მხარეების სასაკლაო

მლოცველებს ისტორიულად ქართულ ქუჩებში შესვლის ნება არ ღართო „მოძრა“ აზერბაიჯანის საელჩომ. როგორც გაირკვა, გიორგობის მლოცვა ქუჩების ქართველობასაც აუკრძალა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ. არაფერს ვამბობ მეზობელი აზერბაიჯანის მესაზღვრეთა თვინიერებებზე დავით გარეჯთან და სხვა ამდგავარ „გაუგებრობებზე“, რომლებიც ყოველთვის ქართველთა საზიანოდ „გვარდება“.

ამ შემთხვევაში უცნაური ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, 7 მაისს ქობულისში შედგა აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა მესვეურების შეხვედრა, ქართული ხელისუფლებიდან ამგვარი „უშინებელი“ რამეებისთვის არავის შეუწყნებია თავი. ასეთ ვითარებაში მშობლიური მწერლობის მოძიებელი რჩება ხოლმე ხალხი, მაგრამ ამ ამბებს ჩვენი მწერლობის მესაზღვრე ჩვეული ყურადღებით შეხვდნენ.

მეგონა, ის მაინც აღაშფოთებდა ქალბატონ მაყვალას ან ბატონ რეზოს, რომ ტაო-კლარჯეთში ქართული ეკლესია-მონასტრების განადგურებისგან გადარჩენის სანაცვლოდ თურქული მხარე ითხოვს, საქართველოში ახალი მქრეთების აშენებას. ჩანს, ამ შემთხვევაშიც მიუხედავად მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა პელოკრატული მთავრობის ხმაჩემნდას და საქვეყნოდ არ გაუთხოვიათ, რომ ქართული ეკლესია-მონასტრები უნდა ქართულ მიწაზე აშენებული და ისინი ქართულ ე. ი. მშობლიურ სულიერებას გამოხატავდნენ ამ მხარის მკვიდრი ქართველებისთვის, ხოლო მეჩეთი, რომელიც ქართულ მიწაზე შენდებოდა (ან აწი უნდა აშენონ), ანიშნავდებოდა დაპყრობილ საქართველოში დამპყრობის ძალმომრეობასა და დიდმყრობობას. ასეთია საქმის სამდვილი ვითარება და ნურავინ დაგვწყალებს ისლამისადმი მტრობის ქადაგებას, პირიქით, ჩვენს ქვეყანაში მაჰმადიანურ სათვისტოოებს ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ თავიანთი მქრეთი იქ, სადაც ის უნდა იყოს და მას ყოველთვის მიაგებენ პატივს.

დაიხ, ბატონებო, არც ამ შემთხვევაში მოესურვება ქალბატონ მაყვალას და, შესაბამისად, გამგეობას, ერის წყლულს მიერთსეულებოდა, არადა, „...მხოლოდ იმ ცეცხლით იცნობა კაცი... და თუ ჩაქრება ის ჩვენს თვალებში, მაშინ ვიქნებით მართლა მონები. შეურაცხყოფა და დამცირებაც მაშინ იქნება გამართლებული... ამიტომ ვგდება ის ასე ძვირი, დღემდე ამიტომ არ ადევს ფასი... მის სინათლზე კარგავს უფლებებს დაღატიც, დვარძლიც, მტრობაც და შურიც... კარგია მაინც თვითონ, რომ ნახე, თუ რა ტრიალებს ამ ჯოჯოხეთში...“ (ო. ჭილაძე). აი, რას დადავებს ჭეშმარიტი მწერლობა ასეთ დროს!..

ის, რომ დღეს საზოგადოებაში მიხნობრივად იმლება ზღვარი ზნეობრივსა და უხნეობას შორის, რომ ქართველ ერს გარედან დაკვეთით მოსაგულად მიერეკებან ე. წ. საკანონმდებლო ხუფში საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა ღუმლით ანუ ჩუმი თანხმობითაც ხდება.

ასე, მაგალითად, რამდენიმე კვირაა (იქნებ, თვეც) აჭარის არ უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონს (ვინაობას არ ვაზუსტებ) ხმაშეწყობილად უკითხებენ და ლოლსატყორცებით გარშემოწყვნიენ ჩვენში თვითდამკვიდრებული და ქართველთაგან მღებისგან დაფინანსებული ვითომ არასამთავრობო, რომლებმაც დღეს სკკპ ცკ-ის კომპარტიული კონტროლის კომიტეტის ფუნქცია გაიპიროვნეს, რათა ჯვარს აცვან აღნიშნული ქალბატონი იმიტომ, რომ მან არ მოუწონა რომელიღაც ფურნალისტად შემოსაღებულ ფაწვილს მისი სურვილი, იქცეს სქესობრივ უმცირესობად (სხვათა შორის, კომპარტიის კონტროლის კომიტეტი, გასაგებია, სარჩევნო ფარსით ყალიბდებოდა. ესენი ამისთვისაც არ იწუხებენ თავს).

უნდა დამეთანხმოთ, დღეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი რომ თავის სიმაღლეზე იყოს (დიდი ილიას მიძღვრებას იგაკეთებდნენ ან დიდოსტატ კონსტანტი-

ბული ე. წ. არასამთავრობოებისა (რიგ შემთხვევაში, ლეგალური აგენტურის) და თვითმარქვია ექსპერტების მითითებით არ მოგვახვიონ თავს ქართველი ერის მარადიულოფისთვის სახიფათო გადაწყვეტილებები.

ის, რომ მწერლობამ ერის დაკვეთა უნდა გაიპიროვნოს („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა...“ ი. ჭავჭავაძე) და არ დაუშვას დღეს კრემლს ჩანაცვლებული აგრესიული გლობალიზმის თითისქნევითა შესაბამისი ზემოქმედება სრულიად საქართველოს ცნობიერებასა და სულისკვეთებაზე, რომ ქართულ ზეპურობას არ გაუბატონდეს მისავე წიაღში ეთნო-დივერსიული ინდუსტრიის წარმოების წესით საგანგებო ძირგამოთხრელობისთვის ინკუბირებული „საზოგადოებრივი აზრი“, ასე უნუგემოდ არ უნდა ავიწყდებოდეთ „პოეზიის დელოფლებსა“ თუ „პროზის რაინდებს“!

... და კიდევ ერთი, უბედურებაა, როდესაც მათხოვრობა მდგომარეობაა, მაგრამ ავგზის სათავზაროა, როცა ხელგამკვრა მოთხოვნილება და კიდევ უარესი, ხელობა გახლავთ. არადა, მწერლობამ უნდა დაინახოს, რომ სახალხო



ნესა თუ მიხეილ ჯავახიშვილს ემოწავებოდნენ), რატომ უნდა აძლევდნენ აძენის უფლებას და რად უნდა უბედვდნენ თითისქნევას ქართულ საზოგადოებას, საერთო, ქართველ ერს შვიდნერ-მარიკოვული სისხლადრევის პირშმთა რაზმები და საქტები?!

ცხადია, ერთი კერპისა და ბელადის ძალადობისგან თავდახსნა და მის ნაცვლად ჯოგური აღვირახსნილობისადმი დამორჩილება თავისუფლება არ გახლავთ, თავისუფლება არის შინაგანი ღირებულებების წესრიგი.

კვლავ და კვლავ ხმის ჩახლქამდე უნდა ვიფირო, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის უპირველესი მოვალეობაა, ქვეყანასა და მოსახლეობას (ერს) დაუზუსტოს ერთიანი ეროვნულ-სახალხო მიზნისკენ სავალი სვლაგეზი, რომელიც სავალდებულო გახდება ადამიანად, ქრისტესმხედრად და გიორგიაწვლად დარჩენის მსურველთათვის.

იგი (მწერალთა შემოქმედებითი კავშირი) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად უნდა ფლობდეს საძალისხმევე ბერეკტებს, რათა ქართული სახელმწიფოს სამომავლო საფრთხის (რისკების) გაუთვლელად, ჩასაფრებულ ავმოსურნეთა თანხებით ზურგმომავრე-

ის მხოლოდ პირადი კვარცხლებებისთვის გაისარჯა...

საანგარიშო პერიოდი, რომელიც მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობას უნდა განეხილა, მოიცავდა ხუთ წელს. ამ დროის მანძილზე როგორ უნდა დაესაჯათ იმ ზომამდე ქვეყანა, რომ მინისტრებად დაენიშნათ უეცილობაში მოხვივინე და ზნეობასთან მწერალად მყოფი ვერა ქობალია ან ხათუნა კალმახელიძე (მე თუ მკითხავთ, ამ მხრივ არც დღეს გვაქვს სატამ-ფანდურად საქმე). სხვათა შორის, ქალბატონი ხათუნა სხვიტორში გზად გავლისას გადაეყრა აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმს. იქვე მოიკითხა დიდი მონისის საფლავი, რათა „პატივი მივეთ“. მას აუხსნეს, რომ ა. წერეთლის წმინდა განსაცხენებელი მთაწმინდაზეა. ეს ისე, ცოტა რომ გავიციოთ, მაგრამ რა დროს სიცილია, საუბედუროდ ჩვენდა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი „პოეზიის დელოფლამ“ და „პროზის რაინდმა“ ვერ აქციეს ქართველ მოღვაწეთა თანამოსანერგობად. იმისთვის, რომ მოღვაწე ვახუშტი, პიროვნება უნდა იყოს, ხოლო პიროვნება ყოფნას პირადობის მოწმობა არ განაპირობებს მხოლოდ, მას საკუთარ სულში უნდა ჰქონდეს ამოწურაქვებული წმინდა ილია მართლის ცნობიერი სვლაგეზი — „ამაღლი, ენა, სარწმუნოება“.

წედა ვთქვი და იქნებ ვიდაცას მოიქვენა, რომ ნამეტან უღრანში ვსახავ მოვლენებს, როდესაც მეგონა, რომ საზოგადოებას მოსაგულად ე. წ. საკანონმდებლო ხუფში მოერეკებან. განა ამგვარი „რა მოხდა, მერეს“ წესით არ კოწიწებოდა რაჭის, ზემო იმერეთისა და შიდა ქართლის მამულეში ე. წ. სამხრეთ ოსეთი ან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „გასხვაქვეყნება“ ასეთი საკანონმდებლო უგუნურებითა და წინაგუხედაობით არ მოხდა?! რატომ ვუხსობთ ყურებს ფაშაბერის გაფრთხილებას? ან, როდესაც რაღაც მიზეზით საზოგადოება არ ემოწავებოდა ისტორიას, რატომ დუმს მაშინ მწერლობა?!

სუ უგინათ მშვიდად, თქვენს ძილსა და უსაფრთხოებას არ სდარაჯობს ე. წ. ქართული კანონმდებლობა და სუ ვისულებლეთ თავს, სად ხელდავთ თქვენ ჩვენს ქვეყანაში ქართველი ერის, გნებავთ, საქართველოს მოსახლეობის უფლებათა დამცველები?!

ამიტომ, სწორედ ასეთი მომგუდავი იარაღი გახდება თავის დროზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობის წინმსწრებად მიღებული დადგენილება, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მომხდურს, „ჩვენს“ კანონის შესაბამისად, ანუ „ლეგიტიმურად შეისყიდოს“ ქართველთა მამული (საკონსტიტუციო სასამართლოს მესვეურმა გიორგი პაპუაშვილმა მოაწერა ამ „კანონს“ ხელი, ხოლო რომელიღაც არასამთავრობოთა სახელით ამისთვის იმუამდგომლა ქართველი ერისთვის ვინმე გიგაურმა).

მიუხედავად იმისა, რომ უშინდესმა და უნეტარესმა ილია II- გაილაშქრა ამ ძალზე, სახიფათო წინაგუხედაობის წინამდებდე, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დონეზე მისმა თავკაცობამ საჭიროდ არ მიიჩ-

13 გვ.

„კოზიის დედოფლისა“ და „პროზის რაინდის“ მიერ ოკუპირებული მხარეთა კავშირი – მხარეების სასაკლავო

ნია. საგანგაშო განცხადებებით გვერდში დადგომოდა ჩვენი მამულის უსაფრთხოებას.

სამწუხაროდ, ეს პირველად არ მოხვალა მას: ასევე მოიტყა იგი ე. წ. 24-ე ყრილობის წინარდ და ჩირგვეტში თავმჯდომარის წესით გაერიდა აღმშენებელურ ერსა და ბერს, როდესაც „საიდანაც ვერ არს“ ხელდასხმულმა საქართველოს პარლამენტმა, ისევ და ისევ წინააღმდეგ უწმინდესისა და უნეტარისის თხოვნა-გაფრთხილებისა, ქართველი ერის ჯინაზე მანც მიიღო დევისმგობელი, ღირსების შეფინებელი და ბუნებრივს შებრძობელი ე. წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონი“.

ასლა მე გვეითხებით თქვენ, თუ ქართული მწერლობა არა „... ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნათ ადამიანებს და არა მონებს, არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ეინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონა ისიც...“ (ო. ჭილაძე). დიახ, თუ ამ ყველაფერს გაეცევი და არ გაირჯები იმ კრებითობის გასაერთმუშებლად, რომელსაც მწერლობა შემოქმედებითი კავშირი ჰქვია, მაშინ, რაც არ უნდა გიდასტურონ ბატონებმა გურამ გოგიაშვილმა და ბადრი ქუთათელაძემ (23-ე და 24-ე ყრილობათა თავმჯდომარეებმა), ყრილობა წესდების დაცვით ჩატარდა, დროსთან, დიახ, დიახ, უმცლარ ფაშობებთან მინც ვერ ჩააწყოთ საქმეს, ერი არ გაღარბებ და დარჩებით ასე პამპულა. კი, ბატონო, ნება თქვენია, თუ მართლ იმას დასჯერდებით – ერთმანეთს იქით-აქით რაინდი და დელიფალი უძახით...

ქრისტესმცირე მძერი სიყვარულით, გულწრფელად და არა ნიშნის-მოგებით ვუბნებთ ამას ქალბატონ მაყვალას.

საქართველოს მწერლობა ე. წ. 24-ე ყრილობაზე, სხვა მრავალთან ერთად, გამოიკვეთა ერთი, მეტად საჩივრითი საკითხი – რიგმა მწერალმა ქალბატონ მაყვალას და ბატონ რეზოს ბრალი ორგანიზებულ კორუფციამ დასდეს.

რაც შეეხება თანხათა არამიზნობრივ ხარვეზს, გასაგები მიზეზების გამო მე ჩახვეული არა ვარ საქართველოს მწერლობა შემოქმედებითი კავშირის საფინანსო საქმიანობაში. ამ მხრივ, როგორც ვახსოვთ, არც სარევიზო კომისიის წარმომადგენელი ანგარიში (არადა, უნდა ყოფილიყო მეთქი), მაგრამ ის, რაც ამის შესახებ ძალიან წესიერი ადამიანებისგან მათზე თითქმის ყოველთვის მისი, თქმა არ უნდა, ხელს არ უწყობს ქალბატონ მ. გონაშვილის საპოეზიის დელოფლო-ო ტახტზე ნებებობაში. ეს ყველაფერი ვერც „პროზის რაინდ“ თავდადგენილ რევაზ მიშველაძეს აამხედრებს უკვლავებისკენ თავაწვეტილ რაშზე.

ვიცი, ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას ე. წ. 24-ე ყრილობისადმი ქალბატონი მაყვალა „პირადი განაწყნების გამო“ ჩასაფრებლად გასაჯარისებს, ამიტომ ამ საკითხს, რაკი სიტყვამ მოიტანა, თავადვე განემარტავ. საქმე ის გახლავთ, რომ 2008 წელს მე მომენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიტერატურული პრემია. სიგელი ამის შესახებ მ. გონაშვილმა 2009 წლის 18 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გადმოტყა, სადაც მიმდინარეობდა აფხაზეთის არ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შეხვედრა საზოგადოებრივობასთან. მან აღნიშნა: „...არემია უნდა გადაეცემა ბატონ სერგი საჯაას წიგნისთვის „დემოკრატიული“ გადაგარებითი „ცივილიური“ გადასახე“. როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ბატონო სერგი, უნებლიედ

გამახსენდა – ტიციან ტაბიძეს აქვს ასეთი სიტყვები: „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, სხვას არავის აქვს ერის სახელით ლაპარაკის უფლება, ეს მწერლის საღვთო საქმეა და თუ ვინმეს საქართველოს მოკვლა სურს, ვერ მწერალს უნდა ესროლო“. აი, თქვენი წიგნი სწორედაც რომ არის საღვთო წიგნი და სიმართლის წიგნი...“

მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, მე ნამდვილად ვიცი ჩემი ადგილის რიგი და საკაცდემროთ კვარცხლებლისთვის არასდროს გამოვკვინებულვარ, მაგრამ ამ პრემიებულ წიგნს (რომელიც აფხაზეთის მწერალთა კავშირმა და მეცნიერებათა აკადემიამ წარადგინეს) მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ნაწილი, რომლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის არ-ის უმაღლეს საბჭოში მაღალ თანამდებობაზე ვმუშაობდი, ვამხილე პრეზიდენტ მ. სააკაშვილის, მისი ოჯახისა და გარემოცვის, რაც მთავარია, თავისი პოლიტიკური გუნდის ქართველთაგანითი საქმიანობა. ამავე დროს დაეუპიროსიპირი აფხაზეთის არ-ის რესპუბლიკის ხელისუფლებაში ელიტური კორუფციის თაოსნებს. ამ უკანასკნელებმა ჩემი წიგნები ჩემს დასამსახრებლად გამოიყენეს (ვახსოვთ, მათგან ერთ-ერთს ქალბატონმა მაყვალამ საღვთო წიგნი და სიმართლის წიგნი უწოდა) სხვათა შორის, ჩემს დასაბეზღებელ საჩივარს, შეტანილი მ. სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლების ერთ სახელგატეხილ სტრუქტურაში, რომელსაც ძალიან კეთილად მქვია სახელი – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კულ-ი) ერქვა, ხელი მოაწერა ორმა მწერალმა (მათ შესახებ მე საკმაოდ ბევრი ნასაუბრები მაქვს სხვაგან და სხვა დროს, ამიტომ დააკლდეს ჩემს კაცობას, ამაზე აქ სიტყვას აღარ განვაგრძობ).

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამ სამსახურიდან, სადაც საზოგადოებისთვის არაერთი წასაღებო საქმე, ვვიქრობ, რომ გავაკეთე, ყველაზე სულდამბლური იდეებით ვამაძვევე.

ასეთ დროს, ვის, თუ არა მწე-

მიგტიროდე, მაგრამ რატომ? ბრიყვიც არა ვარ და საჯაროდ ვაცხადებ, მე აწი რომც მეხვეწონ, ამ ფულის ამლები არ ვარ. უფალმა მკურნალობის საშუალება მაპოვნინა, ამიტომ, იგი უახლოეს ხანებში მთლიანად უნდა ჩაირიცხოს ჩვენი სასიქაღლო ერისკაცის – პატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდში, რათა ვინმესთვის წასაშველებლად მოიხმარონ.

თავის მხრივ, საქართველოს მწე-



რალთა შემოქმედებითი კავშირის კანცელარიას ვთხოვ, ეს საუბარი ამ გაზეთის ფურცლებიდან ოფიციალურ განცხადებლად მიიღოს, სათანადოდ აღრიცხოს და არსებული წესით მაცნობოს, თუ როგორ განკარგა მწერალთა შემოქმედებითი კავშირმა ჩემთვის 2008 წლიდან მონიჭებული პრემია ან რა რეაგირება მოჰყვება ჩემს ამ წინადადებას.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ქალბატონი მაყვალასადმი, ე. წ. 24-ე ყრილობის დაწყებამდე ენახე იგი. თბილად და კეთილმოსურნელ დამოკიდებულებით ხელი და წარმატებულ ვეუსურვე, მაგრამ ერთია, თუ რას უუსურვეთ ჩვენ და რა გზას დაადგება თვითონ. ვიმეორებ, ამ წუთშიც ქრისტესმცირე სულიერ დად მინდა ჩაყოფა და სწორედ ამის გამო მივმართავ: ქალბატონი მაყვალა, აფხაზეთში მცხოვრებ პონტოელ ბერძენებში მომისმენია ერთი ანდაზა „...სესხე ათი მანეთი და გაიგებ, რა კაციაო“. ასლა შეეცადეთ, ჩემი მშურა აღიდგინოთ, მას თვალი გაუსწოროთ და ზერულად კი არა, ძალიან მონდობით, დრამა ჩაუფიქრდით იმას, რაც ხმადალა არ ვთქვი... ეს ერთი და მეორეც: დამიჯერეთ, ის აგრესია, რითაც იმ ე. წ. 24-ე ყრილობაზე დარბაზი დაგვიპირისპირდა

და გლანძლათ, თქვენივე არც მთლად მოსწონი საქმიანობის (უფრო ზუსტი სახელი აქვს მას) შედეგი გახლავთ. თქვენ ვერ კიდევ შეგიძლიათ ქართველ სულიერებას არგოთ. დაანებეთ თავი კაც (ქალ) დემოკრიბის კვარცხლებლისთვის ბრძოლას, რამეთუ წმინდა მთაზე ასვენებული პოეტი, სწორედ საანგარიშო პერიოდში რომ მიგბარა ამ სავენეს, ამგვარად ადგენს: „პატრიისციუმის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს...“

სამშობლო დედასავით მიმტყუბელია.

ნუ დაუჯერებთ ასეთ ანდაზას: „რაც არ უნდა სუფთა იყოს მეწიესვილე, მას ფეკელი მანც მოეცხებაო“. არაა ასე: სისუფთავე ის ღირებულებაა, რომელსაც ვერანაირი ფეკელი ვერ ამოგანგლავს.

წუთშესვენება: ამ დღეებში ერთი მცოცვანი მწერალი შემოთქმნა, – 2004 წელს მიშველი ტრიუმფარ-

ტის წევრ ქალბატონს დაუბარებია იმ დროს უნარიანად ხელგამოღებული მ. გონაშვილი და ამგვარად გარიგებულანო, – ოღონდ თ. წიფწივაძე გაავლეთ და შენ რომ ჩაუდგები სათავეში მწერალთა კავშირს, ჩიტის რძე არ მოგაკლდებათ (მოგეხსენებათ, მანამდე ბატონი თამაზი თანამდებურულად ამხელდა მ. სააკაშვილის ასტვენილ საქციელს).

როგორც ჩანს, ქალბატონ მაყვ-



ლას დასაც გააჩნია ქვეშევეშური (ი-ატაკვეშური არ აგერიოთ) მოღვაწეობის გუშანი. შესაბამისად, ეს დაკვეთა გაურჩევია კიდევ მოკაცდემროთ მწერლობა წრეში (რამდენადაც ირკვევა, მასში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან, ანუ აფხაზეთიდან ისეთი „ადამიანთა სულის ინტენერცი“ მონაწილეობდა, აქამდე ე. წ. წიფწივაძეს მხრებზე ამბობით რომ ეყოველდღიურებოდა). ამრიგად, ასე იყო თუ ისე, დაუდგენიათ, რომ ერთკვერცხს მართლაც ვერ გააკეთებ, თუ კვერცხი არ გატეხე... დიახ, ბატონებო, დანარჩენი იცით, ამგვარად აიტანსტაო მ. გონაშვილმა...

გავიდა დრო, ის რბის ნაკადული, რომელიც სოლოლაკში, მაჩაბლის ქ. № 13-ში უნდა შემოიჩინებულყოფი, კი არ დაშრა მართლ, ამ სასახლიდან თვითონ სარბიო ჭკამომარჯვებული მწერლებიც გამოყარეს, რითაც ქართული მწერლობის ადადადებულ სიწმინდეთა დასამარების მცდელობა და ხელყოფა ამათი საკაცდემროთ კვარცხლებლების გაქილიკების გასწვრივ მიხდა...

სხვათა შორის, ზუსტად იმ ხანებში ეროვნულ ღირებულებებზე მოხალისედ მივირბეულმა მიშნაკებმა იფივე მოუნდომეს საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა საზოგადოებას, მაგრამ აქ „ჩიტის რძეს“ დასარბეული, ეტყობა, არ აღმოჩნდა იმდენი, გლეჯინიბის ქუჩაზე მსახიობთა სასახლის კლიტებს მიმხედურს რომ ჩაბარებდა.

ზურაბ ჟვანიას სახელის უკვდავსაყოფად 2006 წლის 9 დეკემბერს, ზურაბ ჟვანიას დაბადების დღეს, საქართველოს პარლამენტის შენობაში, პრეზიდენტის ფლიგელში ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიუსტი გაიხსნა. ბიუსტის გახსნას დაესწრნენ მ. სააკაშვილი, ნ. ბურჯანაძე, ჟვანიას ოჯახის წევრები და მეგობრები, ასევე პარლამენტის წევრები და მინისტრები, სადაც სააკაშვილ-



ბოლოს და ბოლოს დაგასვენეთ და მიტხარით: გე თვითონ მოვკვდი თუ მოკლეს?

მა განაცხადა: „ჩვენ მართლაც ვყალიბდებით სახელმწიფოდ და თუ ვინმემ პირველმა ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფოებრივ ტრადიციას, ამ კედლებში, ისე როგორც მთელი ქვეყანაში, ეს ზურაბ ჟვანია იყო.“

ზურაბის იდეა იყო აქ, საქართველოს პარლამენტში, პირველი რესპუბლიკისა და ნოე ჟორდანიას სახელობის დარბაზების გახსნა, კონსტიტუციების გამოფენა და ერთი სიტყვით, ყოველივე იმის გაკეთება, რაც სახელმწიფოს ქმნის, რადგან მანამდე ჩვენ, როგორც ქვეყანა ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებდით.

მეორეა ის, რომ ჩვენ დღეს ეხსნით იმ ადამიანის ბიუსტს და ავლნიშნავთ იმ კაცის დაბადების დღეს, რომელმაც რეალურად შექმნა ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიცია.

რა თქმა უნდა, ზურაბ ჟვანია იყო ძალიან კარგი ადამიანი, კარგი მეგობარი, ძალზე ნაკითხი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული კაცი, მას ჰქონდა ყველა ის თვისება, რომელიც ჯერ კიდევ იმ-ვითაა ყველა ღონის მმართველ



წრეებში; მაგრამ მთავარი, რაც ადამიანის წასვლის შემდეგ რჩება, თუკი ის მართლაც მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, არის თამაშის ახალი წესები, ახალი ინსტიტუტები და ახალი პერსპექტივა, რომელიც უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე.

ყოველივე ეს ზურაბ ჟვანიამ შექმნა. (govemnt.gov.ge) სტუდია „რეპორტიორმა“ წა-

რმოვედიგანა ვახტანგ კომახიძის ფილმი „ტყვიის გარეშე“, სადაც ნათქვამია შემდეგი, რომ „2005 წლის სამ თებერვალს 8 საათსა და 38 წუთზე საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალური პროკურორის თანხლებით, გამოაქვეყნა ცნობა, რომ რამდენიმე საათის წინ მომხდარ უბედურ შემთხვევას საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის სიცოცხლე შეეწირა.“

აქვეა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრ ვანო მერაბიშვილის განცხადებაც, სადაც იგი ამბობს, რომ დაღუპულია ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბატონი ზურაბ ჟვანია და რომ ეს არის გაზით მოწამვლის ფაქტი.

როგორც ფილმშია გადმოცემული, ფარულ ჩანაწერში, ჟვანიას დაცვის წევრი მიხეილ ძამაძია იმ საღამოს მოვლენებზე მისეულ ვერსიას ავითარებს და ყვება, რომ როცა სახლთან მივიდნენ „ჟვანიამ დაავალა მას უსუპოვისთვის დაერეკა. 23 საათი და 59 წუთი იყო.“

ფილმის მიხედვით, „ამის შემდეგ ძამაძია ყვება, რომ ისინი საბურთალოს ორმოცდაცამეტში, კონსპირაციულ ბინაში შევიდნენ, სინათლე ანთო, გამათბობელი ჩართო. ამ დროს უსუპოვმა კარზე დააკაკუნა. კარი ჟვანიამ გააღო და ძამაძიას უთხრა: წადი და როცა დაგირეკავ, მაშინ მოდი. ძამაძია ამ დროს ჟვანიასთან ერთად საბურთალოს 53-ში ვერ იქნებოდა და ვერც სინათლეს, ვერც გამათბობელს ვერ აანთებდა, რადგან 23 საათსა და 59 წუთზე ძამაძიას ტელეფონმა დიდუბის ანდიდან დარეკა. პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრი შემთხვევის ადგილზე, სავარაუდოდ, მხოლოდ სამ საათზე დაბრუნდა და მისივე თქმით, ჟვანიასთან დაკავშირებას ცდილობდა.“

ძამაძია გაზის შხუილზე მიუთითებს, არადა თბილგაზის საავარიო სამსახურს ამ უბანზე გაზი ერთი საათით ადრე გადაეკეტა.“

ფილმის ავტორის ცნობით, მათ „ხელთაა ლოკუმენტი, რომელიც, სანდო წყაროს ცნობით, გამოიძიების ვადრალური ბიუროს ანგარიშის თარგმანია და თან ახ-

ლავს საქმის მასალებს. თარგმანში დასკვნითი დებულების შინაარსი საწინააღმდეგოდაა გადმოცემული და წერია, რომ ექსპერიმენტის დროს ნახშირბადის მონოქსიდის კონცენტრაციამ მიაღწია და გადაჭარბა ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლისთვის საშიშ ზღვარს. ინგლისურენოვან ვარიანტში იყო, რომ არ მიუღწევია და არ გადაუჭარბებია.“

და კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ამ უბედურ შემთხვევას საეჭვოს ხდის ისაა, რომ ბინაში, სადაც გამოიძიების ვერსიით პრემიერ-მინისტრმა უკანასკნელი დამეგათარა, სადაც ივანშმა და ცო-

ვითარი სასიკვდილო გარემოთაში არ ყოფილა. დიდ ეჭვს იწვევს ისიც, რომ ე.წ. კონსპირაციულ ბინაში, სადაც ორი ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს, დაღუპულებმა თითების ანაბეჭდები არ დატოვეს, მით უმეტეს, რომ ოფიციალური ვერსიით, ისინი წყალს, ბორჯომს და კონიაკს სვამდნენ. საგამომიბელო ექსპერიმენტისას, დაცვის ბიჭები, იმ ფანჯარაში, სა-

დაცვის ბიჭები, იმ ფანჯარაში, სა-



დაცვის ბიჭები, იმ ფანჯარაში, სა-





„მაესტროს“ ეთერში აჩვენეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ზურაბ ჯაფარიძის კომენტარი ამ კადრებთან დაკავშირებით: „ეს კადრები, როგორც ჩანს, არის ექსპერტიზის მასალებიდან აღებული კადრები, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანს. ამაზე ხელი მიუწვევებოდა მხოლოდ საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს, ამიტომ ეს ინფორმაცია იქიდან ვიღაცამ გამოიტანა, ხელოვნურად შემდეგ, ვიღაცამ ააწყო შემდეგ აქედან ვიდეო და ატვირთა „youtube“-ზე. მიზანი არის იგივე მითის რაღაცა ხელშეწყობა, თითქოს აქ იყო რაღაცა მკვლელობა. მთავრობას შეუძლია გაასაჯაროსოს სრული დოკუმენტაცია, რომელიც არსებობს ზურაბ ჯაფარიძის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით“.

2014 წლის 20 მარტს newposts.ge-მ პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადება შემოგვთავაზა სახელწოდებით „ზურაბ ჯაფარიძის და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე პროკურატურამ ლევან ჩაჩუა დააკავა.“ სადაც წერია, რომ „სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 2014 წლის 20 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილი გამგე ლევან ჩაჩუა დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ 2005 წლის სამ თებერვალს ლევან ჩაჩუამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჯაფარიძის და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გვაგების გამოკვლევისას გამოიჩინა გულგრილობა და არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა, კერძოდ, სრულყოფილად არ აღწერა გვაგებზე არსებული დაზიანებები მაშინ, როდესაც გვაგებს აშკარად აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები.“

ლევან ჩაჩუას მიმართ სისხლის სამართლებრივი ღონისძიება დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.“

2014 წლის 20 მარტს timer.ge-მ გამოაქვეყნა მთავარი პროკურატურის განცხადება ზურაბ ჯაფარიძის და რაულ უსუპოვის გავრცელებულ ფოტოებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ „მოცემულ მომენტში პროკურატურა დგას ზურაბ ჯაფარიძის და რაულ უსუპოვის გვაგების ექსპერტიზის და ახალი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროების წინაშე, ვინაიდან, საქმის ანალიზით დგინდება, რომ ჩატარებული ექსპერტიზები არასრულყოფილია. მათში არ არის ნამსჯელი გარდაცვალების სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებების ნიშანდობლივ კვლევებზე, რაც ბევრ კითხვას ბადებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მთავარი პროკურატურა აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებას სხვადასხვა ქვეყნის ავტორიტეტულ საექსპერტო დაწესებულებებთან, რათა უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით მოხდეს გვაგების ექსპერტიზა და ჩატარებულ იქნას ახალი სრულყოფილი ექსპერტიზა ზურაბ ჯაფარიძის და რაულ უსუპოვის გარდაცვალების მიზეზების დასადგენად.“

ასევე საზოგადოებას გვინდა ვამცნოთ, რომ 2012 წლის არჩევნების შემდგომ ზურაბ ჯაფარიძის და რაულ უსუპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვიდეო და ფოტომასალა აღმოჩინდა იქნა ყოფილი მთავარი პროკურორის მიხეილ ზოიდავას სამუშაო ოთახში განთავსებულ სეიფში, საქმიდან განცალკევებით, რაც ასევე ბევრ კითხვას ბადებს.“ ინტერნეტით გავრცელებული გარდაცვლილი რაულ უსუპოვისა და ზურაბ

ჯაფარიძის ვიდეო არც ინვა გრიგოლიას გადაცემას „რეაქცია“ დაუტოვებია უწყურადღებოდ 2014 წლის 21 მარტს, რომელიც „იმედზე“ 22 საათზე გავიდა, სადაც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა: „ფაქტები გამჟღავნდება და ყველა ადამიანი, ვინც ცდილობდა თავისი გულგრილობით, რამენაირად დაეფარა დანაშაულებით, რომელიც ცდილობდა განერიდებინა საქმიდან ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომელიც ხელს აფარებდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, ყველა ადამიანი, ეს იყო დაცვის ყოფილი წევრი, დაცვის უფროსი თუ ცვლის უფროსი, ეს იყო ექსპერტი, გამოძიებელი, ვისაც ევალებოდა ეს საქმე და სწორი გზით წაეყვანა ამ შემთხვევაში, გამოძიება და ეს არ გააკეთა, ნებით თუ უნებლიედ, ვიღაცის დაგვლებით, ვიღაცის მითითებით, მაგრამ ფაქტია, რომ საქმის გამოძიება, ეს ყველაფერი, პირდაპირ ვიტყვი, რომ ჯაფარიძის სიცოცხლის უფლება არის ხელყოფილი და ამაში როდესაც 10 წლის განმავლობაში, 9 წლის განმავლობაში, ხელისუფლება არ აწარმოებს ეფექტურ გამოძიებას და არ ღებს რეალურ შედეგს და აძენს კითხვა კიდევ რჩება, პირდაპირ პასუხისმგებლობა ყველა საერთაშორისო სტანდარტით და მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლით, რომელიც სიცოცხლის უფლებას იცავს, ყველა ამ სტანდარტით პასუხისმგებლობა ეკისრება სწორედ ხელისუფლებას... ათეულობით ადამიანი თავიდან დასაკითხი, იქ მტკიცებულებები, ექსპერტიზები თვითნებურად ჩასატარებელი, აუცილებელია ექსპერტიზის ჩატარება და მე ვიცი, რომ ოჯახისთვის თანხმობა არის და ვიცი, რომ არის გარკვეული მოლაპარაკებები იმისთვის, რომ ამაში უცხოელი ექსპერტები ჩაერთონ“.

გოგლა ჯაფარიძის პირდაპირ ეთერში გააკეთა სატელეფონო კომენტარი: „ეფ ბი აი“-მ ჩაატარა ორი გამოკვლევა: ერთი იყო ტექნიკური, ესებოდა „ნიკა-



ლას“ მუშობას და ეს გამოკვლევა ცალსახად მეტყველებდა, რომ იქ შეუძლებელი იყო CO-თი გაგუფება. მეორე გამოკვლევა იყო რამდენიმე ნივთზე, შეისწავლეს დნმ-ის არსებობა, რაც იყო არასრულყოფილი გამოკვლევა და ამ გამოკვლევით რამის დადგენა იყო შეუძლებელი და ამჟამად მიმდინარეობს ყველა ნივთის, ყველა ნივთმტკიცების შესწავლა და ხელახალი გამოკვლევა. სხვა დასკვნა ამ საქმეში „ეფ ბი აი“-სი არ არსებობს და ეს „ნაციონალური“ ხშირად რაღაც იდეოლოგიით მოცულ დასკვნებზე ცდილობენ ისაუბრონ და საზოგადოება შეიფხვანონ შეცდომასში. გამოძიება მალე დასრულდება და ყველა დოკუმენტი, ბუნებრივია, გასაჯაროდება, როდესაც გამოძიება დასრულდება და შედეგი დადგება, ყველა დოკუმენტი გახდება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი“.

თინათინ გულიაშვილი
598 91 80 49
(გაგრძელება იქნება)

არ ვარ ის პიროვნება, ვინც ვიწინააღმდეგებოდი რომ გავაკრიბოქო, მაგრამ ფაქტია, 10-15 წელიწადია, საქართველოში ფეხბურთი უკან მიდის...



გიორგის ვერ ვხედავ და, ალბათ, ვერ ვერ ვნახავთ, რადგან მაღალი კლასის ფეხბურთელს დიდი ფული სჭირდება, რაც ჩვენს კლუბებში არ არის და როდის ექნებათ, არ ვიცი. ამიტომ შეუძლებელია, დღევანდელ პირობებში საქართველოს რომელიმე კლუბში მოხედეს რომელიმე მაღალი კლასის ლეგიონერი. საერთოდ, ავტობუსს, გაგზარდოთ ჩვენი მოთამაშეები.

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რათა საქართველოში ფეხბურთი აღორძინდეს?

— პირველ რიგში, საჭიროა ფინანსური სახსრები. დღეს მხოლოდ იმ ადამიანებს ავტორიტეტული გუნდი, რომელსაც დიდი ბიუჯეტი არ აქვს. ჩვენთან ერთ ან ორ კლუბს თუ აქვს

მსოფლიოს მეოცე ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელსაც ბრაზილია მასპინძლობდა, უკვე ისტორიის საკუთრებაა. ასპარეზობას პლანეტის მილიარდობით მაყურებელი ადევნებდა თვალს, სადაც ბევრი მოულოდნელობაც დაფიქსირდა. ჩვენთვის საინტერესოა, რას ფიქრობენ, როგორ აფასებენ განვლილ ჩემპიონატს ფეხბურთის სპეციალისტები, ამიტომ ვესაუბრეთ ჩვენს ლეგენდარულ ფეხბურთელს ვლადიმერ გუსტავოს.

— ბატონო ვოვა, როგორ შეაფასებთ მსოფლიო ჩემპიონატს?

— მართალია, ჩემი სიმპათიები ბრაზილიის მხარეს იყო, მაგრამ კარგი თამაშის ნახვა ყოველთვის გახარებს ადამიანს, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს. განსაკუთრებით გერმანიის ნაკრები აღსანიშნავი, რომლებმაც ბოლო 10-12 წელიწადში დიდი ნაბიჯი გადადგეს. მათი საკლუბო, სანაკრებო ფეხბურთი ჩაგრდნო იყო, მაგრამ იმდენი იშრომეს და გააკეთეს, რომ ჩვენ ვხედავთ, გამოჩნდნენ ნიჭიერი მოთამაშეები, რაც მისასალმებელია. მათი ფედერაცია და ხელისუფლება ერთად მუშაობდნენ და შედეგაც აქვთ, ღირსეული მსოფლიო ჩემპიონია. დაუფასდათ გარჯა.

— აქვე მინდა გკითხოთ ისეთი სახელოვანი გუნდების, როგორებიც არიან ესპანეთი, იტალია, ინგლისი, რით იყო გამოწვეული ესოდენი სუსტი თამაში?

— სიმართლე გითხრათ, ინგლისის ნაკრები არასოდეს მომწონდა, ისინი არასოდეს თამაშობდნენ კომბინაციურ ფეხბურთს. აქ მხედველობაში არ მაქვს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი გუნდი. თუმცა მაშინ შინ თამაშობდნენ. იმ გუნდმა 1970 წელსაც კარგი თამაში აჩვენა, იტალია რომ ავიღოთ, წლიდან წლამდე მათი ჩემპიონატი სულ უფრო უინტერესო, ნაკლებსანახაობრივი ხდება. მწვრთნელებმა ისეთი ტაქტიკა შეიტანეს, ფეხბურთელებს მოედანზე თავისუფალი მოქმედების საშუალება მოუპოვეს. ამან გააღარიბა იტალიური ფეხბურთი, არც გამოკვეთილი ძლიერი მოთამაშეები ჰყავთ. მათი სუსტი ასპარეზობა ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჩემთვის გასაკვირი იყო ესპანეთის ჩაგრდნა. კარგი ფეხბურთელებიც ჰყავთ, მაგრამ, ვფიქრობ, გადაღიდნენ. ფეხბურთელი შეიძლება მოგებებმაც გადაღალოს.

— საქართველოშიც თითქმის ყველა გუნდში არიან ლეგიონერები, რამდენად სწორად მიგანიათ მათი მოწვევა. ხომ არ ვჯობდა, ჩვენი ფეხბურთელები დავტვირთოთ?

— კარგია, როდესაც ქვეყანაში მაღალი დონის, კლასის ლეგიონერია და საკუთარი ქვეყნის ნაკრებშიც ასპარეზობს. მაგრამ, როდესაც ჩამოჰყავთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უცხოელია, გაუმართლებელია. საქართველოში დღეს, სამწუხაროდ, მაღალი დონის ლე-

თანხები, დიდი შედეგით არ გახლავთ, ყველას უნდა ჰქონდეს ხუთი მილიონი ევრო მაინც, რათა თავიანთ კლუბებში განავითარონ ბავშვთა ფეხბურთი. კლუბები უნდა ავზავნიდნენ ბავშვებს სხვადასხვა ტურნირებზე. დღეს საქართველოში ბავშვებს შერეულ წრეზე უხდებათ ტრიალი, მხოლოდ ერთმანეთს ეთამაშებიან. სათამაშო პრაქტიკის უქონლად მაღალი კლასის ფეხბურთელი ვერ გაიზრდება. უამრავი ტურნირი ტარდება ევროპაში, მაგრამ უსახსრობის გამო იშვიათად თუ ვინმე მიდის.

— ბატონო ვოვა, როგორც ვიცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის სურველი გამოთქვით. თუ გავით თქვენი გუნდი?

— კი, გუნდიც გვყავს და გვაქვს ჩვენი აზრი, ხედავ, როგორ განვითაროთ საქართველოში ფეხბურთი. იცით, ის პიროვნება არ ვარ, უმიზეზოდ ვინმე გავაკრიბოქო, მაგრამ ფაქტია, რომ აგერ, 10-15 წელია, საქართველოში ფეხბურთი უკან მიდის. არც მთავრობა, არც ფედერაცია, არც ის ხალხი, ვინც მათ ირჩევს, არ ფიქრობენ, რატომ მივიდვართ უკან. გამოდის, რაღაც სწორად არ კეთდება, სერიოზული ცვლილებებია საჭირო. ვგონებ, მაქვს უფლება, ჩემი კანდიდატურა წამოვაყენო. სამწუხაროდ, ხმები მოგვდის, მთავრობის ზოგიერთ წევრს თავიანთი ფავორიტი ჰყავს. არავის მხარდაჭერა არ მინდა, უბრალოდ, მსურს, ფეხბურთის სამყაროს ჩინოვნიკები არ კარნახობდნენ, თუ რა გააკეთონ. ამომრჩეველმა ნახოს, ვის რა გაუკეთებია ქართული ფეხბურთისთვის და ისე გააკეთოს არჩევანი. პრეზიდენტად არ დაგზავნებულვარ, თუ არ ამირჩევენ, არც გული გამისკდება. მხოლოდ პროგრამის დაწერა არ კმარა, მთავარია, როგორ განახორციელებ დაწერილს. ფეხბურთში ცალკეული პრიორიტეტი არ არსებობს, თავად ფეხბურთია პრიორიტეტი, თავიდან ბოლომდე საჭირო განვითარდეს კლუბები, ბავშვები, მწვრთნელები, მსაჯთა კორპუსი. პროფესიონალიზმის ამაღლება საჭიროა. ვისაც შეუძლია საქმის კეთება, იმან უნდა იყაროს კენჭი პრეზიდენტად და მხოლოდ სახელისთვის არა. კლუბებს სპონსორები არ ჰყავთ, თუმცა საქართველოში არიან კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ გუნდებს, მაგრამ არ აინტერესებთ, რადგან კლუბებს შედეგები არ აქვთ. გული მწყდება, როდესაც ქუჩაში დადინარ, მაგრამ ფეხბურთის მოთამაშე ბავშვებს ვერ ხედავ. საქართველოში რაგბი უფრო პოპულარული გახდა, ვიდრე ფეხბურთი. სპორტი უნდა იყოს ქვეყანაში განვითარებული, მაგრამ ფეხბურთი არ უნდა დაიჩაგროს. გულწრფელად მინდა კიდევ ერთხელ დავეხმარო ქართულ ფეხბურთს.

გიგა ბურღული
551 71 27 07

ამერიკის კონგრესის მიხედვით

amerika postsabWoTa qveynebisTvis nato-s CaanacvI ebs

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მოკავშირის სტატუსს მიიღებენ

ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი საქართველოსთვის (აგრეთვე უკრაინისა და მოლდოვასთვის) „ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირის“ სტატუსის მინიჭების შესახებ. ამ კანონით ვაშინგტონის მნიშვნელოვან დაუფაროვებელს ამ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობის ასპარეზი. თბილისში მიაჩნიათ, რომ ამერიკელ კონგრესმენტთა გადაწყვეტილება ერთგვარი კომპენსაცია იქნება, რომ საქართველოს ევროპის რამდენიმე ქვეყნის წინააღმდეგობის გამო ვერ აძლევენ „საგზაო რუკას“ ალიანსში შესასვლელად.

კანონი „აგრესიის პრევენციის შესახებ“, რომელიც კონგრესმა ორი მოსმენით მიიღო, ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ნატო-ში ფორმალურად შესვლის გარეშე „ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირის“ სტატუსს ანიჭებს. აწესებს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაში საქართველო,

უკრაინამ და მოლდოვამ რეფორმები უნდა გაატარონ თავდაცვის დარგში და ამერიკასთან სამხედრო-ტექნიკური მჭიდრო თანამშრომლობისთვის მოემზადონ. კონგრესმენტები რეკომენდაციას აძლევენ ამერიკის პრეზიდენტს, დაუყოვნებლივ გააძლიეროს თავდაცვითი ურთიერთთანამშრომლობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან. ამ კანონის მიღებიდან არაუგვიანეს 90 დღეში, სახელმწიფო მდიანმა და პენტაგონის მეთურმა მოლაპარაკებები უნდა დაიწყო საქართველოსთან და სხვა ქვეყნებთან როგორც თავდაცვით,



ისე კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით. კანონი ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის მიღებული – კონგრესის შესაბამის კომიტეტში გაგზავნილი დასახვეწად. ამის მიუხედავად, „ისტორიულმა კანონმა“ საქართველოში უკვე გამოიწვია სასიხარულო ემოცია. თბილისში ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ

უელსის სამიტამდე ასეთი კანონ-როექტის მიღება ძალზე მნიშვნელოვანია ამერიკასთან შემდგომი სამხედრო თანამშრომლობისთვის. ექსპერტთა შეფასებები ფრთხილია – მათი აზრით, ამ კანონით კონგრესმა თეთრ სახლს განუმარტა, რომ არ ეწინააღმდეგება საქართველოსთან თანამშრომლობას, თუკი ადმინისტრაცია ამ ურთიერთქმედებას სასარგებლოდ მიიჩნევს. სამხედრო დარგში რეალური თანამშრომლობის დაწყებას დაბატობითი იურიდიული ინსტრუმენტები სჭირდება, და რაც მთავარია, სჭირდება ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკური ნება. ამასთანავე, ეს არის ერთგვარი პასუხი ევროპის იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც საქართველოსთვის „საგზაო რუკის“ მიცემას ბლოკავენ. ერთი რამ კი უდავოა – ამ კანონპროექტით კონგრესმა მოსკოვს მკაფიო სიგნალი გაუგზავნა თბილისთან დაკავშირებით.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირში ინტეგრაციასთან ევროსაბჭოსთან პოზიციის უზღვევად

მაისში ევროპარლამენტში გამართულ არჩევნებზე გამარჯვება მიაპოვა ევროსაბჭოს პარტიამ. სწორედ ამიტომ, აქტუალური გახდა კითხვა – მაღალეხს კი საქართველო თავის დიდი ხნის ოცნება-მიზანს, გახლეს ევროკავშირის წევრი მას შემდეგ, რაც ასოციაციის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი?

სტრასბურგში განლაგებული ეს საკანონმდებლო ორგანო ბლოკის ერთადერთი სამთავრობო დანაყოფია, რომელსაც პირდაპირი არჩევნებით ირჩევენ და ევროკავშირის წევრობის, სამიგრაციო და საბიუჯეტო საკითხები ახარია.

ევროსაბჭოს კომისიამ პარლამენტის 751 ადგილიდან 140 მიიღეს, მაგრამ ეს რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ დაამხრულოს საქართველოს და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინისა და მოლდოვას) ევროკავშირში შესვლის ინიციატივა. ევროპის უდიდეს ქვეყნებში – დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ხმების უმრავლესობა მიიღეს იმ პარტიებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ევროკავშირს, მის გაფართოებასა და იმიგრაციას. გარდა ამისა, პარლამენტში მოხვდნენ გერმანიის ულტრამარჯვენე ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია და საბერძნეთის „ოქროს

საშუალება მიეცემა, ყველაზე რაციონალურ გადაწყვეტილებად ბრიტანეთში წასვლას მიიჩნივს. კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს, რომლებიც შეუზღუდავ გაფართოებას ემხრობიან.“

როგორც ჩანს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები გაამკაცრებენ სამიგრაციო კანონმდებლობას. საქართველოს რამდენიმე მოქალაქე მუშაობს ევროკავშირის ტერიტორიაზე, ამის სტატუსტიკა არ არსებობს, რადგან ბევრი მათგანი ოფიციალური დოკუმენტაციის გარეშე ცხოვრობს. უფრო ადვილია, შეფასდეს მათი ეკონომიკური ზემოქმედება: 2013 წელს საქართველოს მოქალაქეებმა ევროკავშირის ქვეყნებიდან 403 მილიონი დოლარი გაგზავნეს თავიანთ სამშობლოში.

ევროსაბჭოსთან ერთგვარი სი-

დენენ მის რატიფიკაციას. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ უეიზო რეჟიმი, რომელიც 2016 წლის დასაწყისში ასეთი რეჟიმის ლიბერალიზაციის შეთანხმებით გაფორმდება, არ ნიშნავს მუშაობის ნებართვას და ეს არც „მწვანე ბარათია“.

ზოგიერთი ანალიტიკოსის ვარაუდით, სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ევროკავშირში ინტეგრაციის ხელს შეუწყობს ის ფაქტორიც, რომ ევროსაბჭოსთან პარტიებს შორის არ არის ერთიანობა: ერთობლივად მოქმედება მათ უძნელდებათ და შესაბამისად, გაუჭირდებათ რაოდენობრივი წარმატება პოლიტიკურ კურსზე გადგენის მოსახდენად გამოიყენონ.

„ისინი (ევროსაბჭოსები), როგორც არ უნდა შეეცადონ, მაინც ტროცკისტებზე უარესი არიან – განხეთქილების, ანგარიშსწორების, უთანხმოებისა და ავალ-მავალის თვალსაზრისით“, – წერს ცნობილი ექსპერტი მაიკლ გავინი „ბერფროის“-ში.

საფრთხე მაინც არსებობს – რა პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, თბილისის ევროპულ მისწრაფებებს შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა. ასეთ ფაქტად ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი ასახელებს თბილისის ყოფილი მერის გივი უგულავას სისხლის სამართლებრივი დევნას.

ევროკავშირის საგარეო უწყება თბილისისგან გამჭვირვალე და პოლიტიკურად „ნეიტრალურ პროცესს“ ითხოვს. უკრაინა საქართველოსთან შედარებით ვერ გახდება მიგრანტთა „მსხვილი მიმწოდებელი“ – ასეთია ბრიუსელში მდებარე ევროპული პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის ანალიტიკოსის მაიკ ემერსონის ვარაუდი. უკრაინაში 45 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც ათჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობის ოდენობას. „ამიტომაც, თუ საქართველო სიფრთხილით მოეკიდება ევროკავშირის სურსებს, უახლეს მომავალში უეიზო რეჟიმს მიიღებს. ეს ხომ არც ისე დიდი ქვეყანაა“, – აცხადებს ექსპერტი.

ევროპის სტაბილურობის ილუზია MH-17-ის მგზავრთა დაღუპვაზე

დაახლოებით ერთი თვის წინ ვლადიმერ პუტინი დასავლეთის არჩეული ლიდერების გვერდით იდგა, როდესაც ნორმანდიაში საბჭოთა ჯარების გადასხმის წლისთავს აღნიშნავდნენ. სავარაუდოდ, უხერხულობას უნდა გრძნობდეს ის, ვინც პუტინს ამ დინამიკის მოსაწვევი გაუგზავნა.

უკრაინაში მიმდინარე რეატივან ექსკლავაციას და რუსეთის ძალადობას ევროპული სახელმწიფოების ნაწილი სერიოზულად არ აღიქვამდა – რაც უკრაინაში ხდება, უსიამოვნოა, მაგრამ ევროპულ კონტინენტზე მშვიდობას საფრთხეს არ შეუქმნის... ევროპული სახელმწიფოების მთავრობები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათთვის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანი იყო და ეს ილუზია 17 ივლისს გაქრა, როცა მალაიზიური ავიკომპანის თვითმფრინავის მგზავრები დაიღუპნენ.

ის, რაც უკრაინაში ხდება, არ არის ორმხრივი რუსულ-უკრაინული კონფლიქტი, ისევე როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის ომი არ იყო ორმხრივი. რუსეთის ასეთი მოქმედება – სეპარატისტების იარაღით მომარაგება და ომის პროვოცირება, საფრთხეს უქმნის მილიანად კონტინენტის სტაბილურობას.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომი ათი წლის განმავლობაში, ევროპელებს სჯეროდათ, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან გახდებოდა სახელმწიფო, რომელსაც თავის ქვეყანაშიც და სამეზობლოშიც მშვიდობა ენდობებოდა; მოიქცეოდა ისე, როგორც 1945 წელს გერმანია მოიქცა. რუსეთი მიიწვიეს „დიდი შვიდი“ ნატომ გადახედა თავის მისიას და დასავლური ალიანსის ნაცვლად, რომელსაც რუსეთის შეკავება ევალებოდა, საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციად გარდაიქმნა; შეეცადა, დაემყარე-

ბინა ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან და დაერწმუნებინა, რომ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ამერიკულ საჯარისო ნაწილებს არ განათავსებდა. ხელისუფლებაში პუტინის მოსვლამ ეს იმედები გააქარწყლა. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ევროპელებიცა და ამერიკელებიც თვალს ხუჭავდნენ იმაზე, თუ რა ხდებოდა რუსეთში. საამისო მიზეზებიც ჰქონდათ – პუტინი ხანდახან ეთანამშრომლებოდა დასავლეთს, მაგალითად, ავღანეთში. იყო ნეგატიური ფაქტორებიც და დასვლეთი მიხვდა, რომ ძველი რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები კვლავაც აქტუალური... გვიანდაც გვევლინება, რომ პუტინი „დასანანი ზიგზაგა“ რუსეთის განვითარებაში და ეს ქვეყანაც დაადგება ევროპული და დემოკრატიული მომავლის გზას. მაგრამ არ შეიძლება, ეს იმედი სამომავლო პოლიტიკის საფუძვლად გაქციეთ. რუსეთი კვლავ სახიფათოა. არც იმდენად, როგორც ადრე იყო, მაგრამ საკმარისად სახიფათოა, რომ ანგარიში გაუწიო. პოლანდის, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების ოჯახებმა ახლობლები დაკარგეს და თავიანთ თავზე გამოსცადეს უკრაინელების განსაცდელი, როცა რუსმა სნაიპერებმა კიევის მთავარ მოედანზე მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს. ახლა ევროპა იმის იმის შედეგებს, რაც რუსეთის საფრთხის შემთავსებელი ინსტიტუტების გაქმნებამ გამოიწვია. ეს ინსტიტუტები უკრაინული კრიზისის დაწყებისთანავე რომ ამუშავებულიყო, MH-17-ის ტრაგედიასაც ავიცილებდით.



განთავსის“ წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ თავს ნეონაციტებად მოიხსენიებენ, აგრეთვე უნგრული პროფაშისტური პარტია „იობიკი“.

ამის ფონზე ევროპული ბლოკის 28 სახელმწიფოსთვის ევროკავშირის შემდგომ გაფართოებაზე ლაპარაკი „თვითმკვლელობის“ ტოლფასია. ეს ბარიერს შეუქმნის ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ამ ევროპული გაერთიანების სრულფასოვან წევრობას ესწრაფვის. ახალი ვითარება ახალ პრობლემებს მოუტანს მათ.

ინგლისელი დეპუტატი უილიამ დარტმუტი დაუფარავად აცხადებს თავის პოზიციას – თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, დიდ ბრიტანეთში ამ ქვეყნის მოქალაქე მასობრივი იმიგრაცია დაიწყება. მაგალითად მოჰყავს პოლონეთი, რომინეთი და ბულგარეთი. „საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, თუ მას ამის

ბუღილი იმიგრაციის მიმართ სერიოზულ პრობლემას შეუქმნის თბილისს და შესაბამისად, გაართულებს საქართველოს და უკრაინის შანსს, მათი ქვეყნის მოქალაქეებმა ევროკავშირის 22 სახელმწიფოში უეიზო შესვლის უფლება მიაპოვიონ (90 დღით). ამას სჭირდება ევროპარლამენტის ნებართვა, აგრეთვე ევროსაბჭოსი და ევროკომისიისაც. მოლდოვას მოქალაქეები უკვე სარგებლობენ ასეთი რეჟიმით.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი ოპტიმისტურად არის განწყობილი და სჯერა, რომ ევროსაბჭოში გაივლის – ასოციაციის შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროპეზაციის გეგმა და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები შეუფერხებლად მოახ-

ბუღილი იმიგრაციის მიმართ სერიოზულ პრობლემას შეუქმნის თბილისს და შესაბამისად, გაართულებს საქართველოს და უკრაინის შანსს, მათი ქვეყნის მოქალაქეებმა ევროკავშირის 22 სახელმწიფოში უეიზო შესვლის უფლება მიაპოვიონ (90 დღით). ამას სჭირდება ევროპარლამენტის ნებართვა, აგრეთვე ევროსაბჭოსი და ევროკომისიისაც. მოლდოვას მოქალაქეები უკვე სარგებლობენ ასეთი რეჟიმით.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი ოპტიმისტურად არის განწყობილი და სჯერა, რომ ევროსაბჭოში გაივლის – ასოციაციის შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროპეზაციის გეგმა და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები შეუფერხებლად მოახ-

„საერთო გაზეთის“ რედაქციას მთანხმდის რ-ნი, კოჯრის მკვიდრის ნინო ალთუნაშვილის პ/ნ 12001005728 გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„საერთო გაზეთის“ 02/07/2014 №24/291 ნომერში გამოქვეყნდა სტატია შემოფოტებული სოფლის მაცხოვრებლების სახელით ჩემი აღვირახსნილი ცხოვრების შესახებ. განაცხადი არის ცილისწამება:

ხელისმომწერები – კლარა ფეიქრიშვილი, ნინო ლომიძე, თეა კანდელია, ფეიქრიშვილი ბარამია, თინათინ აფციაური, მზია გათენაშვილი, ნინო კვარაცხელია, დიდა ზურაბიშვილი, ლიდა კიკნაძე, ზინა უმუღუმოვი. ესენი საერთოდ არც მცნობენ და წარმოდგენაც არა აქვთ ამ წერილზე. არც ერთი მათგანი არ ცხოვრობს ჩემს მეზობლად, გარდა ეთერ ნინუასი, რომელიც არის ფსიქოურად დაავადებული.

მოგახსენებთ, რომ წერილში ნახსენები ქონება საკადასტრო კოდექსით 81.01.06.485, 81.01.05.437, 81.01.98.914 არასდროს არ ყოფილა ჩემი საკუთრება და ასევე არანაირად ხელი არ მიმიწვდება მის რეალიზაციაში (გარდა დიდა მის მას. სახლისა, რომელიც 2013 წლიდან აღარ არის ჩემს საკუთრებაში) გთხოვთ ამ მოწმეთაგან გამოკვეთილი გახადოთ ვინ გამხდავს ამხელა ქონების პატრონი. გარდა ამისა, მოგახსენებთ, რომ ამ ნაწილმა ხელმოწერების ავტორებმა არაფერი იციან (გარდა პირდაპირი შესყიდვებისა) აუქციონების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ აუქციონის შემთხვევაში შესყიდვა ხდება საბაზრო ღირებულებით სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით და მე სწორედ ამ საშუალებით ვაპირებდი ფართის შექმნას. სხვა დანარჩენი დანაშაულებრივი ქმედებები რაც ამბულატორიის ქონებებთან დაკავშირებით ხდებოდა, პროკურატურის მოკვლევის საგანია.

გაზეთის რედაქციას ვთხოვ მოკვლევას – ხელმოწერებიდან ვინ არის ჩემი მეზობელი, ვინ მიწვევს ანგარიშს??? ვის არ მიუტოვებდით გასაჭირში??? და მომავალში ვინ აპირებს ჩემთვის ხელის გამართვას???

შემქმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2013 წლის დასაწყისიდან დაგირჩი უმუშევარი, ჩემი ერთადერთი შემოსავალი შედგენდა 180 ლარს, მიემართე ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების შესახებ, სამინისტროდან მივიღე უარი 04/09/2014 არგუმენტით „გასული პერიოდის შემოსული თანხები“, რეალურად, 2012 წლის ჩათვლით, მე მართლაც ვმუშაობდი და ჩავთვალე კანონმდებლობა გასულ პერიოდზე ვრცელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, კანონმდებლობაზე მეტად თურმე ამ სამინისტროში სხვების გაგონა ვრცელდებოდა.

2013 წლის დეკემბერში ხდება ყველაზე მტკივნეული ნაწილი ჩემს ცხოვრებაში, საკმაოდ უხეში კანონდარღვევებით ახდენს ჯანდაცვის სამინისტროს სოც. უზრუნველყოფის სამსახური ჩემთვის ბავშვის წართმევას, ვინაიდან წინა დღით ამ ქმედების აუცილებლობა ვერ დინახავს და არ ჩათვალეს ამის განხორციელება საჭიროდ, სანამ მათზე ზეწოლა არ განხორციელდა (მეორე დღეს ბავშვის გაყვანა მოხდა საბავშვო-ბაღის შენობიდან). ასევე დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ ჩემთვის დელობის ჩამორთმევას. სასამართლოთი მოხდება იმ მტკიცებულებებისა და კავშირთაგან განთავისცხების ფაქტების დადასტურება, ვის რა კავშირი და თანამონაწილეობა ჰქონდა ამ საქმესთან დაკავშირებით. 2013 წლის სექტემბერში ჯანდაცვის სამინისტრომ მაღალი შემოსავლების გამო (რაც გულისხმობს, რომ აქტიურად ვმუშაობდი და მრავალი წლის განმავლო-

ბაში მქონდა მაღალი ანაზღაურება) უარი მითხრა დახმარებაზე და იგივე სამინისტრო 2 (ორ) თვეში მაცხადებს ისეთ ქრონიკულ ლოთად, რომ ლამის დელობა ჩამომართვა.

ვისთვისაც კარგი გაუკეთებიათ გიულისა და გია მარლიშვილებს, ღმერთმა შეარგოთ, არა გვეკერა და ვისაც გვეკერა, გაგვატარეთ, პირადად მე და ჩემს პატარას ისეთი ტიპიანი მოგვაცემს, უშავლთან აბრე პასუხი, თვითონაც მოგვალაბი არიან.

ჩემი სტატუსის მიხედვით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ქრონიკა“-ში, მარლიშვილების კეთილი მესურვები კოვლორში ავრცელებენ ხმებს, რომ მე ქ-ნ გიულისაზე დაწერილ სტატია – გიული მარლიშვილის კავშირთაგან განთავისცხების ნარკოტიკების საქმეზე, რაც არანაირად სინამდვილეს არ შეესაბამება, ღმერთმა გიულისაზე დაწერილ სტატიას ბადალი არა ჰყავთ, მაგრამ მე მას ვუსვამ კითხვას: თუ ეს სიტუაცია, რატომ არ მიმართავს სასამართლოს? რატომ არ უჩივის სტატუსის ავტორს? ეს ზომ სერიოზული ბრალდება სამინისტროში მომუშავე ქალბატონისთვის?

არ ვაპირებ გაზეთების საშუალებით მიმოწერის გავრცელებას, თვითონ ჩემზე უკეთ უწყვიან, რა კონტინენტმა მოაწერა ხელი ჩემთან დაკავშირებულ წერილს. მარლიშვილებმა მე შეურაცხვევს, მათ ინტერესებში მოქცეულ ფართში შესვლისთანავე და ამ წერილით ახალი არაფერი არ თქმულა. გათვალისწინონ ის ფაქტიც, რომ როგორც მათ, ასევე მეც მყავს, მათდა გასაოცრად, ძალიან ბევრი გულშემატკივარი კოვლორში.

ჩემზე დაწერილი სტატიის ავტორები ნაწილი გონზე არ არიან თუ რა წერილია და რაზე აქვთ ხელი მოწერილი, დარჩენილი ნაწილი უწყევს მათ დათურ სამსახურს.

დაუშვათ, მე ცუდი აღძრავი ვარ, გიული კარგი, ცუდს ფულით ყიდვა არ შესძლებია ჩვენ ქვეყანაში და კარგ გოგოს ყველაფერი უნდა აჩუქოს სახელმწიფომ? ვინ ადგენს ამ კანონებს?

მარლიშვილებს სახელმწიფო ქონების მიტაცებაში საქართველოს მამულები ანალოგი არა ჰყავთ.

ქ-ნ გიულისა მართლაც ჰყავს გულშემატკივრები კოვლორში, მაგრამ რაოდენ უსენსაციო არ უნდა იყოს, გამოქვეყნებულ წერილში ხელმოწერები მათ არ გაუკეთებიათ და ასევე შეგახსენებ, რომ უფრო მეტი მტერი ჰყავთ ვიდრე ვარაუდობენ, ჩემგან განსხვავებით, ვინაიდან, მე ძალიან ბევრი ტკივილი მომაყენეს.

კეთილგონიერებას თუ არ მიმართავენ. უკიდურეს შემთხვევაში, მიემართე ყველა უწყევას:

საკრებულოს, მერიას, ჯანდაცვის სამინისტროს (უფლებამოსილების გადაშეცდისთვის), ფინანსთა სამინისტროს (ქონებრივი დეკლარაციის დაზუსტებისთვის), სამოქალაქო სასამართლოებს, პროკურატურას (რაც თან ახლავს ქონებრივი საბუთების ქრონოლოგიით)... შესაბამისი განცხადებებითა და სარჩევებით, ვინაიდან ჩემზე გამოქვეყნებული წერილის ავტორების სიტყვებით, რომ ვთქვა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ძალიან უწყევტებსა და პროკურატურას შეუძლია მოკვლევა დაიწყო და დაადგინოს ჭეშმარიტება.

ნინო ალთუნაშვილი
(წერილის ტექსტი ქვეყნდება უცვლელად)

„saerTo gazeTis~ iuridiul i konsul tacia



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კვეციანი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

– ვმუშაობ კერძო საწარმოში. ახალი წლის დღეებში დამატებით რამდენიმე დღით დავასვენებს. ერთი თვის შემდეგ შევითხოვ, რომ ეს ჩვენი შევბუღების ხარჯზე მომხდარა. რამდენად კანონიერია ეს?

–სრულიყოფილი ინფორმაციის მისაღებად, წარმოგიდგინოთ საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის შინაარსი:

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს შრომის შინაგანაწესი და ვალდებულია, გააცნოს ის დასაქმებულს.

2. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

- ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;
- ბ) დასვენების ხანგრძლივობა;
- გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი;
- დ) ანაზღაურებადი შევებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ე) ანაზღაურების გარეშე შევებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;
- ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;
- თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

3. სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

მიხედვით, ამ შინაარსიდან გამომდინარე, დამსაქმებელს ჰქონდა უფლება, ახალ წლებში დამატებითი დასვენების დღეები მოეცა თქვენთვის შევებულების ხარჯზე, მე-19 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სპეციალური წესების განსაზღვრის უფლების გამოყენებით, მაგრამ, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებული იყო, ეს წესი გაეცნო თქვენთვის.

როგორც მონათხრობიდან ჩანს, თქვენ ერთი თვის შემდეგ შეიტყვეთ, რომ ახალი წლის

დღეებში დამატებითი დღეები მოგცეს შევებულების ხარჯზე. აქ უკვე დარღვეულია თქვენი შრომითი უფლება. ამ წესის შესახებ უნდა გცოდნოდით თავიდანვე.

მკითხველის სრულიყოფილი ინფორმაციისთვის და მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, ვაზუსტებ შემდეგს:

მოგეხსენებათ, საქართველოს შრომის კოდექსში შევიდა ბევრი ცვლილება. მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი არ ითვალისწინებდა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის შრომის განაწესის წესების გაცნობის ვალდებულებას. 2013 წლის 12 ივნისის ორგანული კანონით აღნიშნული დამატება ხსენებულ მუხლს. თქვენმა დამსაქმებელმა, როგორც ჩანს, იმოქმედა ძველი მოქმედი კანონმდებლობით, მაგრამ ეს არცვლის საკითხს. ახალი წლის დღეებში უკვე მოქმედებდა ახალი კანონი და, შესაბამისად, თქვენი დამსაქმებელი ვალდებული იყო, ემოქმედა მის შესაბამისად.

– არის თუ არა შესაძლებელი, პირველად ჩადენილი დანაშაულის დროს პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან?

– დიახ, ეს შესაძლებელია. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ის, ვინც პირველად ჩადენდა დანაშაულს ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მასივით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გასწავს და აანაზღაურა ზიანი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ის, ვინც ჩადენდა სხვა კატეგორიის დანაშაულს, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით

–რა შემთხვევაში ინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?

–საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.


ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თერაპეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

ამავე კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის.

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი

დარეკით ყველა მოგილური ოპერატორიდან **თეონი ბანკი**
0 901 500 540 ა/ნ GE88TB117236080100001

მსოფლიოს 10 ცნობილი ნარკომანი



1. ფრიდრიხ შლეგი 1884 წელს გაიხიზა და გაოგნებული დარჩა მისი შედეგებით. ამ ნივთიერების გამოყენების შემდეგ მოეხსნა დეპრესია, დაუბრუნდა საკუთარი თავის რწმენა.

ახალგაზრდა ზიგმუნდმა სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით „კოკაინის შესახებ“, სადაც იგი რეკომენდაციას უწევდა კოკაინს, როგორც ადგილობრივი გაუტკივარების საშუალებას, როგორც ასთმის, საკვებმომწელებელ წამალს, რაც დეპრესიასა და ნევროზებს შველის.

ფსიქოანალიზის მამამ იმ ხანებში ბევრი ნაშრომი გამოაქვეყნა კოკაინის თვისებების შესახებ, სადაც აღწერილი იყო ამ ნივთიერების მიღებით გამოწვეული ფეხლარეაქცია. თუმცა ფროიდის დანტერესება კოკაინით შემთხვევითი არ ყოფილა. ნარკოტიკის ბოროტად გამოყენების გამო დაიღუპა ფროიდის უახლოესი მეგობარი ენსტ ფონ ფლაიშლი.

მეგობრის სიკვდილამდე ფროიდი ცდილობდა ფლაიშლი განეკურნა ნარკოდიამოკიდებულებისაგან და კოკაინის შენაცვლებით მკურნალობდა მას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ფლაიშლი ახლა კოკაინდამოკიდებული გახდა. მიიღო დიდი რაოდენობის კოკაინი და გარდაიცვალა.

მაგრამ დაუბრუნდეთ კვლავ ზიგმუნდ ფროიდს. თვითონაც ბევრს ცდილობდა გაეცვოდა თეთრ ფხენილს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

2. ენი უორსოლი - ობატროლი

ობეტროლი არც თუ ისე გავრცელებული ნარკოტიკია. ამ კლასიფიკაციაში ადერალს უფრო იცნობენ. ამ უკანასკნელს რეცეპტით იძლევიან პაციენტისთვის, რომელსაც სამუშაოზე მუშაობის უნარი დაკარგა და შრომისუნარიანობა სჭირდება. პოპ ვარსკვლავი ენი უორსოლი ობეტროლის აბებს ისე ვლავდა, რომ გორც „ტიეტაის“ მარცვლებს. მით უფრო, ასეთი ტიპის პრეპარატები ფსიქოლოგიურ არამდგრადობას, დეპრესიას, გულის მუშაობის შეფერხებას იწვევს. მაგრამ ობეტროლს კიდევ ერთი თვისება აქვს - ის სწრაფად იწვევს მოქმედებას და სწრაფადვე მთავრდება. რა უნდა ჰქნა ამ დროს? უნდა ყლაპო და ყლაპო აბები. შედეგი? ყოველთვის ფატალურია.




3. მაილზ დევისი - პაროიზი



თქვენი არ ვიცით, მაგრამ მაილზ დევისი ჩემი უსაყვარლესი მუსიკოსია. მას „ჯაზის შავ ბარონსაც“ უწოდებენ. მე-20 საუკუნის ამ უდიდეს კომპოზიტორს სერიოზული პრობლემები ჰქონდა ნარკოტიკებთან. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს იყო პერიოდები, როცა მუსიკოსი საერთოდ ვერ მუშაობდა. და ყველაფერ ამაში ნარკოტიკი იყო დამნაშავე. მაგრამ მაილზ დევისის უახლოესი მეგობრის, ცნობილი ბოქსორის შუგა რეა რობინსონის დახმარებით ოთხწლიანი „ბრძოლის“ შემდეგ შეძლო გამოემკრალიყო ნარკოტიკული ჯიუჯიდან და დაბრუნებოდა შემოქმედებას.

4. ბალზაკი - კოფეინი

ბევრი თქვენგანი იტყვის, დილით ვერ ვეხიზდებით, სამუშაოს ვერ შევუდგები ჭიქა ყავა თუ არ დავლიეთ. მაგრამ ეს არის ზუსტად ვადადამოკიდებულება და ეს „აწუხებდა“ სწორედ დიდ ფრანგ მწერალსაც. მოგესხენებათ, ბალზაკი საკმაოდ ნაყოფიერი შემოქმედი იყო, იგი ყოველდღე საათობით მუშაობდა. ჰოდა. ფორმში რომ ყოფილიყო, სვამდა ბევრ ყავას, ძილს რომ გაეცვოდა. მას უყვარდა თქმა - ეს სურნელოვანი ნაყენი ჩემს გონებაში არაჩვეულებრივ აზრებს ბადებსო. მაგრამ დღეს ითვლება, რომ სწორედ ყავის გადაჭარბებული მოხმარების გამო დაავადდა მწერალი გულის ავადმყოფობით, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა ახალგაზრდა ასაკში. ბალზაკი ხომ 50 წლისა გარდაიცვალა?! იგი დღემდე ოც ჭიქა ყავას მიირთმევდა. ასეთ მდგომარეობას ვადადამოკიდებულება ანუ კოფეინიზმი ჰქვია და ტოქსიკომანიის ერთ-ერთი სახეა. იგი იწვევს გულისხმადარღვევა დაავადებებს, ნერვული სისტემის დაავადებებს, თავის ტკივილებს, ძილის დარღვევას, ნერვულ აშლილობას, ადგენილობას, შფოთვისას. ხშირად ადამიანს პესიმისტურ განწყობას უქმნის.



5. ლუის კეროლი - ოპიუმი



კეროლის ახალგაზრობისას ოპიუმს ლაუნდუნს ეძახდნენ და ბევრი ადამიანი სვამდა ოპიუმს, როცა ოდნავ შეუძლოდ იყო, ან თავი სტკიოდა. არაფერი დაფიქრებულა მამის იმაზე, რომ შეიძლებოდა ამ წამალზე დამოკიდებულება გამხდარიყო. ასე მოუვიდა ინგლისელ მწერალს ჩარლზ ლუტიჯე დოლჯონს, ლუის კეროლის სახელით ცნობილ ადამიანს. იგი მიგრების მძიმე დაავადებით იტანჯებოდა. ტკივილის გასაყუჩებლად მწერალი ლაუნდუნს სვამდა. მით უმეტეს, რომ ადრეულ ბავშვობაში მას სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები

ჰქონდა. ნარკოტიკი კი „ეხმარებოდა“ მას კომპლექსის მოხსნასა და საკუთარი თავისადმი რწმენის დაბრუნებაში. როცა მის წიგნს „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ ლუის კეროლი, ამ წიგნის წერისას ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ სწორედ ნარკოტიკი იყო, რამაც მის ცხოვრებას სერიოზული ზიანი მიაყენა.




6. ელიზ ბიუი

ყველაფერს იღებდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის საყვარელი მომღერალი 1951 წელს სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოხვდა. რომლის შედეგადაც მომღერალმა დაკარგა ხელი და ორი ნეკნი და საკმაოდ არასახარბიელო შესახედაობა მიიღო. ამის შემდეგ მიმართა მან მორფინს. სვამდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. ამ საშინელ ავარიამდე ცოტა ხნით ადრე სწორედ ავტოკატასტროფაში დაიღუპა ელიზის საყვარელი ადამიანი. მომღერალს რეალობით გამოწვეული საშინელი დეპრესიისგან თავი რომ დაეღწია, ალკოჰოლს მიეძღა. თვითმკვლელობისგან იგი მეგობარმა ქალბატონმა იხსნა. ალკოჰოლიზმისგან განსაკურნებლად მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. სასმელსა და დეპრესიას მომღერალმა თავი ვერ დააღწია. მიუხედავად ამისა, მომღერალი სცენაზე მაინც გამოდიოდა. თავის დიდ მწუხარებას სცენაზე გამოსვლისას ვერაფერ ამჩნევდა, მაშინაც კი, როცა ის უკვე ფილტვის კიბოთი მძიმედ იყო დაავადებული და სუნთქვას უხუთავდა ყელში მიბჯენილი სისხლი.

7. მადრამ ისით, თქვენ რომ უილიამ ფოლკსერი ალკოჰოლიკი იყო?

დახს, სწორედ ის ამერიკელი მწერალი და ნოველისტი, რომელიც უნდა გითხრათ, დღემდე რჩება ჩემთვის უსაყვარლეს მწერლად და ლიტერატურული აზროვნების უგვირავი მეფედ. თუმცა, როგორც ამბობენ, სხვა არანაკლებ ცნობილ და სახელგანთავსებელ მწერლებსაც სტანჯავდა თურმე ეს საშინელი ჩვევა. ფრენსის ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, ედგარ პო, სინკლერ ლუისი, ინგლისელი პოეტი და დრამატურგი დილან ტომასი. ალკოჰოლი ძალიან ბევრი ცნობილი მწერლისთვის იყო ნარკოტიკი, რომელმაც შეიძლება ითქვას, მათ დიდი სიკეთე არ მოუტანა.



8. მარია კალასი - კჟალუდი

ცნობილი ბერძენი ოპერის მომღერალი მარია კალასი საკმაოდ პუტკუნა ქალბატონი გახლდათ, მაგრამ თავისი კარიერის მწვერვალზე მან მომენტალურად დაკარგა წონა, ამბობენ, რომ ის სვამდა კუალუს და სწორედ ამ აბებმა ჩამოაცილა ზედმეტი კილოგრამები, თუმცა ის ყოველთვის ირწმუნებოდა, რომ მისი სივამხდრე მკაცრი დიეტის შედეგი იყო.

9. ტრუმენ კაპოტი

ტრუმენ კაპოტი მწერლურ წარმატებას მამის მიადღწია, როცა არავინ ელოდა ამას, მაგრამ სწორედ ამ წარმატებამ დაღუპა იგი. ფუფუნება, ცხოვრების არასწორი წესი, ამავე დროს ბევრი სტრესი და ნერვიულობა იყო ის, რამაც ტრუმენ კაპოტი ალკოჰოლიზმამდე მიიყვანა. თუკი ვინმე მას სასმელს დაუმალავდა, მწერალი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ბოლო წლებში ის ნარკოტიკებს მიეძღა. სიკვდილის შემდეგ მწერლის სისხლში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით ბარბიტურანი, ვალიუმი, ეპილეფსიის საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების კვალი.



10. ჰემფრი დევი

ცნობილი დიდი ბრიტანელი ქიმიკოსი და გამოგონებელი, რომელმაც უდიდესი აღმოჩენები გააკეთა ქიმიკოსი მიიჩნევდა, რომ აზოტი არ არის საწამლავი. ყოველივე ეს მან საკუთარ თავზე გამოსცადა. ჰემფრიმ დაიწყო აზოტის ყნოსვა და აღნიშნა, რომ აზოტის სუნმა შეიძლება ადამიანში სასიამოვნო განწყობაც გამოიწვიოს. იქედან მოყოლებული ქიმიკოსი ყოველდღე ყნოსავდა აზოტს და მით უფრო მეტად ვრძობდა მათობელა ევექტს, რაც მასში მხიარულ ჰალუცინაციებს წარმოქმნიდა. ამ „ზეზუნებრივი გაზის“ ზემოქმედებით დაწერა ჰემფრი დევიმ ლექსები. ის ამ ლექსებში აზოტის მოქმედებით გამოწვეულ განწყობაზე ლაპარაკობდა. ერთხელ, როცა სახელოვანმა ქიმიკოსმა გაზის 5 დიდი ღოზა შეიყნოსა, 3 საათის განმავლობაში გონება დაკარგა, თუმცა გამოფხიზლების შემდეგ ექსპერიმენტები საკუთარ თავზე არ შეუწყვეტია. სწორედ ამან გამოიწვია მეცნიერის სერიოზული დაავადება და სიკვდილი.



ასკროლოგიური პროგნოზი

მერძი - სასიყვარულო ურთიერთობებში საინტერესო ცვლილებები გელოთ. საქმიან ცხოვრებაში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. მეტი დრო დაუთმეთ თქვენს გარეგნობას.

კურო - წარმატება გელოთ ბიზნესში დაიბლომატიურ სფეროში. ხელმძღვანელებთან ურთიერთობა ახალ პერსპექტივას დაგანახებთ. ოჯახურ ცხოვრებაში პატარ-პატარა პრობლემებია მოსალოდნელი.

ტყუპები - წინ წარმატებული პერიოდი გელოთ. ყოველ ნაბიჯზე ძლიერი პარტნიორის მხარდაჭერას იგრძნობთ. დრო დასვენებისთვისაც გამოიხსნება.

მირჩხი - ამ პერიოდში თქვენი ცხოვრების დევიზია სიყვარული, ამიტომ ცხოვრების სხვა მიმართულებებს ნაკლები ყურადღება დაუთმეთ.

ლომი - სასიყვარულო ურთიერთობებში შეგიძლიათ თამამად გარისკოთ, რასაც არ გირჩევთ საქმიან ცხოვრებაში. ეცადეთ, კოლეგების კეთილგანწყობა მოიპოვოთ.

ძალწული - კარიერაში წინსვლა გელოთ. კარგი იქნება, თუ თქვენს ბიზნესს ახალ მიმართულებას მისცემთ. თქვენი იდეები და შრომისმოყვარობა ხელმძღვანელობისაგან დაფასდება.

სასწორი - თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც სასწრაფო მოგვარებას მოითხოვს. ეს საკუთარ ძალებში დაგარწმუნებთ. შრომა დაეფასდებათ.

მორიმი - ენერჯის მომატებას იგრძნობთ, ამიტომ, კარგი იქნება თუ დამატებით სამუშაოს აიღებთ. ამ პერიოდში ყველაფერი ადვილად გამოგივათ.

მშვილდოსანი - დასახულ მიზნებს ადვილად განახორციელებთ. პირად ცხოვრებაშიც თქვენთვის სასურველ პოზიციებს დაიკავებთ, ამიტომ დროა, იმოქმედოთ.

თის რქა - დროის დიდი ნაწილი საყვარელ ადამიანს და ოჯახის წევრებს დაუთმეთ. მათგან მიღებული მუხტი ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. გელოთ სასიამოვნო სიურპრიზი.

მმრწმული - ეს პერიოდ ახალ ურთიერთობებსა და სამომავლო გეგმების ორგანიზებას დაუთმეთ. პირად ცხოვრებაში ჰარმონიის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.

თმწმული - ეს პერიოდი კარიერაში სერიოზულ პერსპექტივებს გაიხსნება. საქმიანი შეხვედრები თქვენთვის სასურველი შედეგებით დასრულდება. პირად ცხოვრებაში იდეალური სიტუაცია შენარჩუნდება.